ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა"
+„რიშელიე"
8 ლარი
30 მაისიდან
13 ივნისამდე




ხუთშაბათი, 9 ივნისი, 2011 | №135 (5516) | ფასი: 30 თეთრი

# რა ხდება „მედიაპალიტრაში?"



გვ.2

## საზოგადოება და ჟურნალისტები „მედიაპალიტრას" სოლიდარობას უცხადებენ

### „ახალი თაობის" განცხადება

ბოლო დღეებში „მედიაპალიტრაში" მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით გაზეთი „ახალი თაობა" გამოთქვამს შეშფოთებას და იმედს იტოვებს, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ „მედიაპალიტრის" რიგი ობიექტების შემოწმება თავისუფალ მედიაზე პოლიტიკური ზეწოლის საშუალებად არ იქცევა.

დემოკრატია და თავისუფალი აზრი ის მონაპოვარია, რომელზედაც დღევანდელი საზოგადოება დგას. მისი დაკარგვის შემთხვევაში მივიღებთ რთულ და, შესაძლოა, უმართავ პროცესებს. ამის შედეგად კი ყველა თანაბრად დაზარალდება — როგორც ხელისუფლება, ისე საზოგადოება. ამიტომ ახლა ძალიან მნიშვნელოვანია ხელისუფლების მხრიდან პოზიციის მკაფიოდ დაფიქსირება თავისუფალი მედიის და თავისუფალი აზრის მიმართ.

იმედს გამოვთქვამთ, რომ „მედიაპალიტრაში" მიმდინარე მოვლენები არ გასცდება კანონიერების და ობიექტურობის ფარგლებს და ჰოლდინგში შემავალ ყველა საინფორმაციო საშუალებას კვლავინდებურად ექნება თავისუფალი აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება.

## ხელისუფლებას თავისუფალი მედიის ეშინია

სახელმწიფო გადატრიალებების არ მჯერა



გვ.3



გვ.5

## ქუჩაში ერთხელ ჯიგრული გამოსვლით ხელისუფლებას ვერ შევცვლით

რუსეთის მოწყობილ სახელმწიფო გადატრიალებაში გაბაშვილი მონაწილეობდა



გვ.8

## ხელისუფლების დაუოკებელი სურვილია, აკონტროლოს ყველა მედიასაშუალება

## მიხეილ მაჭავარიანი: „მედიაპალიტრას" მუშაობაში ხელი არ შეეშლება!"

გვ.2



## სოსო ჯაჭვლიანი იზოლატორში დააბრუნეს

გვ.8





გვ.6

## ოპოზიცია ხორცის გაძვირებამ ალაშფოთა



გვ.4

## რუსი ჯარისკაცებისთვის აფხაზეთი ოაზისია



გვ.9

## მოკვდა თუ არა ბაღაფში თავისი სიკვდილით?

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში"

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის" უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

7 ზონდერებმა 1000-ლარიანი პრემიები მიიღეს

10 ჩვენი საზეიმო თარიღები ტრაგედიასთან, სისხლთან გვაკავშირებს

11 რატომ თქვა უარი 2532-მა ოჯახმა დახმარების მიღებაზე?

3 „საქართველოში ნაწლავური ინფექციის მასობრივად გავრცელების საფრთხე არ არსებობს"

# რა ხდება „მედიაპალიტრაში?“

## საზოგადოება და ჟურნალისტები „მედიაპალიტრას“ სოლიდარობას უცხადებენ

ნათია ხურცილავა



7 ივნისს „მედიაპალიტრის“ 6 შპს-ში შემოსავლების სამსახურმა შემოწმება ერთდროულად დაიწყო. მათ შორის 4 კომპანიის საწყობები დალუქეს ინვენტარიზაციისთვის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „მედიაპალიტრამ“ განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ ის არ არის საგადასახადო შემოწმების წინააღმდეგი ზოგადად.

— თუმცა, ერთდროულად 6 სხვადასხვა შპს-ში მოულოდნელი შემოწმების დაწყება ლოგიკურად ბადებს ეჭვს და იწვევს შეშფოთებას, ხომ არ არის ეს მიზანმიმართული მცდელობა, მოხდეს მედიასახლზე გარკვეული ზეწოლა. „მედიაპალიტრის“ ჰოლდინგში შემავალი საინფორმაციო საშუალებები ჩვეულებრივ რეჟიმში განაგრძობენ მუშაობას, თუმცა, მაკონტროლებლების მუშაობის გამო იყო გარკვეული შეფერხებები გაზეთების (აღსანიშნავია, რომ ამ სტამბაში „მედიაპალიტრის“ გამოცემების გარდა, სხვა ჟურნალ-გაზეთებიც იბეჭდება) დისტრიბუციასთან დაკავშირებით, — აღნიშნულია „მედიაპალიტრის“ განცხადებაში.

საზოგადოების წარმომადგენლებმა და ჟურნალისტებმა გუშინ, 8 ივნისს, „მედიაპალიტრის“ სახლის ეზოში მხარდამჭერი აქცია გამართეს. მხარდამჭერ აქციას ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. აქციაზე მივიდა ნინო ბურჯანაძეც.

ჟურნალისტებმა მიმართვაც გაავრცელეს. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მიერ გავრცელებულ მიმართვაში ნათქვამია:

— შემოსავლების სამსახურმა და საჯარო სტრუქტურების წარმომადგენლებმა გამჭვირვალედ წარმართონ შემოწმების პროცესი და ამ დროს ხელი არ შეუშალონ ჟურნალისტებს საკუთარი პროფესიული მოვალეობის სრულყოფილად შესრულებაში.

ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის საბჭო ასევე მიმართავს დიპლომატიურ კორპუსს და ჟურნალისტთა უფლებების დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს:

— მივმართავთ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებსა და ჟურნალისტთა უფლებების დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს, არ მოადუნონ ყურადღება და არ დაუშვან თავისუფალი სიტყვის შეზღუდვა საქართველოში.

ქარტიის საბჭო საქართველოს საზოგადოებას მოუწოდებს, რომ იბრძოლოს ცენზურის ღია და ფარული მეთოდის დამკვიდრების წინააღმდეგ.

ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის საბჭო იმედს გამოთქვამს, რომ „მედიაპალიტრის“ შემოწმება არ უკავშირდება 26 მაისის მოვლენების ობიექტურად გაშუქებას.

**გიორგი თევდორაშვილი, „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორი:**

— ყველა შპს ჩვენი ჰოლდინგის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს ჰოლდინგის გამართულ მუშაობას. გაზეთების გამოსვლა შეფერხდა, დისტრიბუციას ხელი შეეშალა, დაახლოებით ოთხი საათის დაგვიანებით გამოვიდა. ამდენად, არასასიამოვნო ფაქტია. გარდა იმისა, რომ ჩვენი გაზეთები იბეჭდება, იქ სხვა გაზეთებიც იბეჭდება. რასთან შეიძლება ეს ყველაფერი კავშირში იყოს, სავარაუდოდ, სამ-ოთხ დღეში გამოჩნდება.

**მარიკა დარჩია, „მედიაპალიტრის“ კრეატიული დირექტორი:**

— თითქოს პირდაპირ საინფორმაციო საშუალებებს არ შეხებიან, მაგრამ შეეხნენ ყველა იმ სტრუქტურას, რომლებიც უზრუნველყოფენ საინფორმაციო საშუალების გამართულ მუშაობას. სტამბაში იყო პატარა შეფერხებები. რაც შეეხება პოლიტიკოსების მოსვლას, ყველას აქვს უფლება, რომ გამოხატოს თავისი პოზიცია და შეაფასოს ის მოვლენები, რომლებიც ჩვენ გარშემო ხდება. ჩვენც გვაქვს იმის უფლება, რომ ეჭვი გაგვიჩნდეს. ერთდროულად 6 ორგანიზაციის შემოწმება აჩენს გარკვეულ ეჭვს. ყველა სამსახურს თავისი გრაფიკი აქვს, ეს გრაფიკები აირია, რა თქმა უნდა, ეს შეფერხებაა.

**ელისო ჩაფიძე, გაზეთ „რეზონანსის“ რედაქტორის მოადგილე:**

— მოვედი მხარდასაჭერად, სოლიდარობის გამოსათქმელად. ვფიქრობ, რომ ეს არის 26 მაისის მოვლენების გაგრძელება, როდესაც „მედიაპალიტრის“ ჟურნალისტები და ჩვენი ძალიან ბევრი კოლეგა დაზარალდა. პირველ რიგში, ხელისუფლებას მოვუწოდებ, რომ ის ფაქტები გამოიძიოს, რომლებიც არა მხოლოდ „მედიაპალიტრას“ უკავშირდება, არამედ სხვა ფაქტებსაც. ნინო ზურიაშვილმა შესანიშნავი ფილმი გადაიღო ამასთან დაკავშირებით. მეორე, რაც მინდა აღვნიშნო — პროცესი, რომელიც აქ ჩატარდება, გამჭვირვალე იყოს. გეგმიური შემოწმების შემთხვევაში 10 დღით ადრე მაინც უნდა იყოს გაფრთხილება. როგორც ვიცით, ამ შემთხვევაში მსგავსი რამ არ მომხდარა. ამიტომ საგადასახადო სამსახურს კანონის დაცვისკენ მოვუწოდებ, რაც არც დანაშაულია და არც კრიტიკა.

**ზვიად ქორიძე, ჟურნალისტი:**

— პროცესი, რომელიც ახლა მიმდინარეობს „მედიაპალიტრის“ ოფისში, მაქსიმალურად გამჭვირვალე გახდეს და საზოგადოებამ იცოდეს, რა ოპერაციას ატარებს შემოსავლების სამსახური, რადგან ისინი თავიდან ამბობდნენ, რომ ეს იყო გეგმიური შემოწმება, ახლა ამბობენ, რომ ეს არის ინვენტარიზაცია. ხვალ შეიძლება თქვან, რომ მისამართი შეგვეშალა და გვაპატიეთ ან პირიქით, საერთოდ დააყადაღონ. ჩვენ არ ვიცით, რას იზამენ. ამიტომ ვთხოვთ და მოვითხოვთ, რომ შემოსავლების სამსახურმა დროულად გახადოს გამჭვირვალე ეს პროცესი. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რაც შეიძლება მეტი საზოგადოებრივი კონტროლი განხორციელდეს. საზოგადოება არის უფლებამოსილი, რომ იცოდეს, რა ხდება „მედიაპალიტრაში“. თხოვნით მივმართავთ საერთაშორისო ჟურნალისტურ ორგანიზაციებს და დიპლომატიურ კორპუსს, რომ მაქსიმალური ყურადღება იყოს, რათა არ დავუშვათ სიტყვის თავისუფლების თუნდაც მცირეოდენი შეზღუდვა. ვშიშობ და არ მინდა ეს შიში გამართლდეს, რომ ეს ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ მართალი სიტყვის გამო დაისაჯოს „მედიაპალიტრა“.

**ლაშა ტუღუში, გაზეთ „რეზონანსის“ რედაქტორი:**

— კარგად უნდა დავაკვირდეთ, რას ამოწმებს შემოსავლების სამსახური. არ ამოწმებენ ამ შემთხვევაში გაზეთს, ამოწმებენ იმას, რაზეც დგას გაზეთი, პრესის გავრცელების სამსახური და სტამბა. სტამბა ძალიან მნიშვნელოვანია, პრესის გავრცელების სამსახური, ვიტყოდი, უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ამ სამსახურის მეშვეობით ვრცელდება ბეჭდვითი მედიის უდიდესი ნაწილი, გაზეთები, ჟურნალები. ვფიქრობ, სწორედ აქ არის მათი ინტერესი, რომ მაქსიმალურად ხელი შეუშალონ არა მხოლოდ „პალიტრას“, არამედ საერთოდ პრესას.

**ნანა ლეჟავა, ჟურნალისტი:**

— მოვედი, რომ დავიცვა ჩემი კოლეგები, მხარდაჭერა გამოვუცხადო. რაც დღეს ხდება „მედიაპალიტრაში“, ვფიქრობ, შემთხვევითი არ არის. ამიტომ ყველა ის ადამიანი, ვინც ამ ქვეყანაში თავისუფალი სიტყვის მთქმელია, ძალიან ცოტაა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ყველა ერთად უნდა იყოს. ისეთი პირი უჩანს ამ ყველაფერს, რომ ყველას მიადგებიან, მერე უკვე უბრალოდ ამბის გამომტანი და მთქმელი აღარავინ აღარ დარჩება.

**თინა ხიდაშელი, „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი:**

— შემოწმებას რომ გეგმავდნენ, ამის შესახებ განცხადება ადრე უნდა გაეკეთებინათ, პოლიტიკოსებს რომ მოუწოდეს, თავი შეიკავეთო, მარტივად გეტყვით, რითი განსხვავდება მედიასაშუალების შემოწმება, თუნდაც გეგმიური, მაგალითად, „კოკა-კოლას“ შემოწმებისგან. თუ საწყობი დაილუქება, „კოკა-კოლას“ სამი თვის შემდეგაც გაყიდი, მაგრამ გაზეთს ორი და ათი დღის შემდეგ ველარ გაყიდი. ამიტომ, როდესაც მედიასაშუალებაში შედიხარ, წინასწარ უნდა მისცე იმის საშუალება, რომ ისე დაგეგმოს საკუთარი მოქმედებები, რომ მას ზიანი არ მიადგეს. რა თქმა უნდა, თუ ამოცანა არ არის ზიანის მიყენება. ამ შემთხვევაში ცალსახად გამოჩნდა, რომ ამოცანა იყო ზიანის მიყენება. რომ ამბობენ ქაღალდის საწყობი დავლუქეთ და მედია საშუალებაში არ შევსულვართო, გაზეთს სახლში ხომ ვერ დაბეჭდავ?!

***— რა მესიჯი იყო? როგორ ფიქრობთ, რა დონეზე იყო გადაწყვეტილება მიღებული?***

— არ ვიცი, რა დონეზე იყო მიღებული გადაწყვეტილება, მაგრამ ვიცი, როგორ ეზიზღება მიხეილ სააკაშვილს თავისუფალი მედია. მან იცის თავისუფალი მედიის ძალა, ესეც ვიცით „ვარდების რევოლუციიდან“ გამომდინარე. ვინ მიიღო გადაწყვეტილება, ამას უახლოეს დღეებში დავინახავთ. ჩემი ამოცანაა პრევენცია, რომ ეს პროცესი არ გაგრძელდეს. ჩემი ამოცანაა ხელისუფლების გაფრთხილება — ხელები შორს, რადგან ამას საზოგადოება ნამდვილად არ აპატიებს. იმის თქმა, რომ მედიასაშუალებაში არ შევსულვართ და სტამბაში შევედითო, არასერიოზულია. გაზეთი სტამბაში იბეჭდება.

**ზვიად ძიძიგური, „კონსერვატიული პარტიის“ თავმჯდომარე:**

— ინტერნეტსივრცეს გაუჩნდა ბევრი მომხმარებელი, ამიტომ ყველა პირუთვნელ მედიაზე ხელისუფლება იწყებს თავისი კონტროლის დამყარებას. ეს არის სასჯელი, პირველი სიგნალი, რომ მათ 25-26 მაისის პირუთვნელი გაშუქებისთვის დაემუქროთ სხვადასხვა ფინანსური სანქციები. რაღა ახლა აუტყდათ „მედიაპალიტრის“ შემოწმება და ინვენტარიზაცია, რატომ არ ამოწმებენ, მაგალითად, „იმედს“?! რა უნდათ ამათთან, ობიექტური ჟურნალისტებით დაკომპლექტებული მედიასაშუალებაა. ახლა ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების აქტიურობა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ არ მივცეთ ხელისუფლებას „პალიტრა“ ჰოლდინგის ჩაყლაპვის საშუალება.

**ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე:**

— არ მჯერა ხელისუფლების არც ერთი განცხადების, არც ერთ საკითხთან დაკავშირებით. ხელისუფლება ყოველ ნაბიჯზე იტყუება ძალიან აქტიურად. ცრუობს, ყოველგვარი არგუმენტების გარეშე ამბობს იმას, რასაც უნდა. ამდენად, ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებითაც ვერ დავუჯერებ ხელისუფლებას. ხელისუფლება მასობრივ ტერორზე გადავიდა. უკრაინაში განვაცხადე და რამდენიმე ხანში ევროპაში ვიტყვი ხმამაღლა, ხელისუფლებამ 26 მაისს მოაწერა ხელი, რომ სააკაშვილი დიქტატორია და ქვეყანაში დიქტატურაა. ყველანაირი მექანიზმით განხორციელდება ზეწოლა — შემოვლითი, არაპირდაპირი გზებით, რომ ადამიანებს სიმართლის თქმის შეეშინდეთ. ეს არის გაგრძელება მათი ქმედების, რაზეც მე არაერთგზის მითქვამს.

### „ახალი თაობის“ განცხადება

ბოლო დღეებში „მედიაპალიტრაში“ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით გაზეთი „ახალი თაობა“ გამოთქვამს შეშფოთებას და იმედს იტოვებს, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ „მედიაპალიტრის“ რიგი ობიექტების შემოწმება თავისუფალ მედიაზე პოლიტიკური ზეწოლის საშუალებად არ იქცევა.

დემოკრატია და თავისუფალი აზრი ის მონაპოვარია, რომელზედაც დღევანდელი საზოგადოება დგას. მისი დაკარგვის შემთხვევაში მივიღებთ რთულ და, შესაძლოა, უმართავ პროცესებს. ამის შედეგად კი ყველა თანაბრად დაზარალდება — როგორც ხელისუფლება, ისე საზოგადოება. ამიტომ ახლა ძალიან მნიშვნელოვანია ხელისუფლების მხრიდან პოზიციის მკაფიოდ დაფიქსირება თავისუფალი მედიის და თავისუფალი აზრის მიმართ.

იმედს გამოვთქვამთ, რომ „მედიაპალიტრაში“ მიმდინარე მოვლენები არ გასცდება კანონიერების და ობიექტურობის ფარგლებს და ჰოლდინგში შემავალ ყველა საინფორმაციო საშუალებას კვლავინდებურად ექნება თავისუფალი აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება.

# მიხეილ მაჭავარიანი: „მედიაპალიტრას“ მუშაობაში ხელი არ შეეშლება!“

ნანა მიშელაშვილი

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი ყველას მოუწოდებს, თავი შეიკაონ „მედიაპალიტრის“ შემოწმების თემის პოლიტიზებისაგან. მიხეილ მაჭავარიანმა ჟურნალისტებტან საუბარში განაცხადა, რომ გაუგებარია, რატომ ატეხეს ამ საკითხზე პოლიტიკოსებმა აჟიოტაჟი.

პირველი ვიცე-სპიკერისთვის ასევე მიღებელია საზოგადოების ერთი ნაწილის ეჭვი, თითქოს „მედიაპალიტრის“ შემოწმება საეჭვოდ დაემთხვა 26 მაისის მოვლენების გაშუქებას.

— ამ ეჭვს არ ვადასტურებ. ყველა გაზეთმა და ტელევიზიამ ეს ფაქტი გააშუქა ისე, როგორც მან დაინახა, — განაცხადა მაჭავარიანმა.

რაც შეეხება კონკრეტულად „მედიაპალიტრის“ შემოწმებას, მაჭავარიანი ამბობს, რომ მედიასაშუალების მუშაობა არ შეფერხდება.



— საგადახადომ უნდა იმუშაოს. მე მჯერა, რომ ისინი კანონის სრული დაცვით შევიდნენ. ეს დაწესებულებები, არ იყვნენ შემოწმებულები და ახლა ამოწმებენ. საგადასახადოს თავისი სპეციფიკა აქვს. მთავარია, რომ არ შეფერხდება მედიასაშუალებების ფუნქციონირება, — განაცხადა მიხეილ მაჭავარაინმა.

როგორც ცნობილია, 7 ივნისს „მედიაპალიტრის“ 6 შპს-ში შემოსავლების სამსახურმა შემოწმება ერთდროულად დაიწყო.

„მედიაპალიტრის“ ჰოლდინგში შემავალი საინფორმაციო საშუალებები ჩვეულებრივ რეჟიმში განაგრძობენ მუშაობას, თუმცა, გუშინ დილით მაკონტროლებლების მუშაობის გამო იყო გარკვეული შეფერხებები გაზეთების დისტრიბუციასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ „მედიაპალიტრა“ წარმოადგენს ჰოლდინგს, რომელიც აერთიანებს, როგორც სხვადასხვა მედიასაშუალებებს: ბეჭდვური, ინტერნეტი, რადიო, ასევე, მათი მუშაობისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვან სამსახურებს (პრესის გავრცელების სამსახური, სტამბა, წიგნების გამომცემლობა, წიგნების მაღაზიათა ქსელი, ქაღალდისა და პოლიგრაფიული მასალების იმპორტიორი კომპანია და სხვა).

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## „საქართველოში ნაწლავური ინფექციის მასობრივად გავრცელების საფრთხე არ არსებობს“

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის განცხადებით, ამ ეტაპზე საქართველოში „იკოლის“ მწვავე ნაწლავური ინფექციის გავრცელების საშიშროება არ არსებობს.

როგორც „მედიანიუსს“ ცენტრის თანამშრომელმა ექიმ ინფექციონისტმა გიორგი კანდელაკმა განუცხადა, მწვავე ნაწლავური ინფექციით საქართველოში ყოველწლიურად რამდენიმე ათეული ადამიანი ავადდება. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ახლაც ამ დიაგნოზით 20-30-მდე პაციენტი მკურნალობს.

მისი თქმით, ამ ინფექციის თავიდან ასაცილებლად პროდუქტის მიღებამდე მთავარია დაცული იყოს სანიტარული ნორმები. პროდუქტი კარგად გასუფთავდეს, კარგად მომზადდეს და კარგ სანიტარულ პირობებში მოხდეს მისი მიღება.

— იმის თქმა, რომ ეს ინფექცია რაიმე კონკრეტულ პროდუქტით ვრცელდება არასწორია, რადგან თვითონ ევროპაშიც ვერ დაადგინეს, რამ გამოიწვია მისი გავრცელება. თავიდან ითქვა, რომ კიტრით გავრცელდა, შემდეგ სხვა პროდუქტებზე მიტანეს ეჭვი. ამ დრომდე დადგენილი არ არის, რა გახდა ეპიდემიის წყარო. ამიტომ ჩვენი მხრიდან რაიმე რეკომენდაციის გაცემა, რომ საქართველოში რომელიმე პროდუქტის შემოტანა შეიზღუდოს, საჭიროებას არ წარმოადგენს. მითუმეტეს, გერმანიიდან და ესპანეთიდან ჩვენთან არც კიტრი შემოდის და არც სხვა ბოსტნეული, — განუცხადა „მედიანიუსს“ გიორგი კანდელაკმა.

შეგახსენებთ, რომ მწვავე ნაწლავური ინფექცია ევროპაში გავრცელდა და ბოლო მონაცემებით, ინფექციით 23 ადამიანი დაიღუპა. სულ ვირუსის 2 000 ზე მეტი შემთხვევაა დაფიქსირებული. მათი უმრავლესობა ბოსტნეულით დაინფიცრდა.

**მედიანიუსი**

## ბურჯანაძემ პრეზიდენტს მისი მაკომპრომეტირებელი დოკუმენტების გამოქვეყნებისაკენ მოუწოდა



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომლის თანახმადაც, ამ უკანასკნელს ბურჯანაძის რუსულ ფულთან კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტები აქვს.

ბურჯანაძემ გუშინ პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტს ამ დოკუმენტების გამოქვეყნებისაკენ მოუწოდა.

— ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებობდა ხუმრობა, რომლის თანახმადაც ოფიციალურმა მოსკოვმა ჩინეთი ათასზე მეტჯერ გააფრთხილა და ამდენივე გაფრთხილება მიიღო ოფიციალური პეკინისაგან. დღევანდელ საქართველოში დაახლოებით მსგავსი სიტუაციაა. უკანასკნელი ორწელიწადნახევრის განმავლობაში ხელისუფლების წარმომადგენლები გამუდმებით იმეორებენ, რომ ჩემი მაკომპრომიტირებელი დოკუმენტები გააჩნიათ. რატომ

გვაფრთხილებთ? გამოაქვეყნეთ ეს ყველაფერი. ოღონდ ამ შემთხვევაში თქვენ მიერ შეთითხნილ და კონტექსტიდან ამოგლეჯილ ვიდეოჩანაწერებს არ ვგულისხმობ. ვგულისხმობ დოკუმენტს, რომლის შესახებაც ცოტა ხნის წინ სააკაშვილი ტელევიზიით გამოსვლისას საუბრობდა, რომ თითქოს ჩემი რუსულ ფულთან კავშირის დამამტკიცებელი დოკუმენტი აქვს. ნუ გვაშინებთ ბატონო დიქტატორო, საჯაროდ გამოაქვეყნეთ ეს დოკუმენტი, თუ მართლა გაქვთ, — განაცხადა ბურჯანაძემ.

**მედიანიუსი**

## „დემოკრატიული მოძრაობა“ „მედიაპალიტრას“ სოლიდარობას უცხადებს

„დემოკრატიული მოძრაობა“ „მედიაპალიტრას“ სოლიდარობას უცხადებს, — ამის შესახებ აღნიშნულია პარტიის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

„დემოკრატიულ მოძრაობას“ მიაჩნია, რომ საქართველოში თავისუფალი სიტყვის საშუალებებისა და დამოუკიდებელი ბიზნესის შენარჩუნება მხოლოდ საზოგადოების მობილიზებითა და სოლიდარობით არის შესაძლებელი.

— მიუხედავად ხელისუფლების განცხადებისა, რომ აღნიშნულ შემოწმებას არაფერი აქვს საერთო პოლიტიკასთან და „მედიაპალიტრის“ მიერ 26 მაისის მოვლენების გაშუქებასთან, საქართველოში თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ აღნიშნული „არაგეგმიური შემოწმება“ ხელისუფლების იმ პოლიტიკის გაგრძელებაა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში თავისუფალი სიტყვის ბოლომდე შეზღუდვას და ქვეყანაში ვირტუალური რეალობის საბოლოო დამკვიდრებას, — ნათქვამია განცხადებაში.

„დემოკრატიული მოძრაობა“ ასევე მიიჩნევს, რომ საქართველოს ავტორიტარულმა რეჟიმმა 26 მაისის ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებთან ანგარიშსწორების შემდეგ, ისევე, როგორც აგვისტოს ომში, თავი გამარჯვებულად ჩათვალა და წინააღმდეგობის ბოლო კერების ჩახშობაც გადაწყვიტა.

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა “მედიაპალიტრის“ ექვს სხვადასხვა სტრუქტურაში არაგეგმური შემოწმება გუშინწინ ერთდროულად დაიწყო, დაილუქა რამდენიმე ობიექტი, ზოგიერთ მათგანზე ამ დროისთვის ლუქი დროებით მოხსნილია.

**ინტერპრესნიუსი**

# ხელისუფლებას თავისუფალი მედიის ეშინია

ნონა ცაბა ე

**ინტერვიუ ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთ ლიდერ ინგა გრიგოლიასთან**

***— ინგა, მოდით, მედიაპალიტრაში განვითარებული პროცესების შეფასებით დავიწყოთ, როგორ ფიქრობთ, რა ხდება, საფრთხე შეექმნება მედიაპალიტრის დამოუკიდებლობას?***

— მე ვფიქრობ, რა თქმა უნდა, არ არის ეს შემთხვევითი, რომ მიადგნენ პალიტრას. იმიტომ, რომ 26 მაისის მოვლენებს, მართლა გულრწფელად ვამბობ, კადრების თვალსაზრისით ყველაზე ობიექტურად გვაწვდიდნენ სწორედ „პალიტრა ტვ“ და ტელეკომპანია „მაესტრო“. თუკი ვინმეს რაიმეს ნახვა უნდოდა და თუკი ვინმემ რაიმე კადრი ნახა ისეთი, რამაც შოკში ჩააგდო ქართველი საზოგადოება ამ განხორციელებული ძალადობის გამო, ეს იყო სწორედ ამ ორი მედიასაშუალების დამსახურება. შესაბამისად რა თქმა უნდა, ეჭვი არავის შეეპარება, რომ მაინცდამაინც დღეს, ერთი კვირის თავზე, 25 მაისის დარბევის შემდეგ, ეს არ არის შემთხვევითი შემოწმება. სრულიად გაუგონარი არის შემოსავლების სამსახურის განმარტება, რომ პრობლემები არ შეექმნებაო, როგორ არ შეექმნება, როდესაც ჰოლდინგის ექვს ობიექტს დაუწყეს შემოწმება, რევიზია, დალუქეს და თან აცხადებენ, პრობლემა არ შეექმნებაო. მე ვფიქრობ, რომ ეს არის პირველი გაფრთხილება მედიაჰოლდინგ „პალიტრის“ მიმართ და ალბათ ამ გაფრთხილებით უნდათ უთხრან, რომ ან გაჩერდით და შეეშვით ასეთი ტიპის ინფორმაციების გავრცელებას და ეს მხოლოდ და მხოლოდ ობიექტური ინფორმაცია იყო. მე არ მახსოვს, რომ პალიტრის ჰოლდინგიდან, როდესმე არაობიექტური ინფორმაცია მიმეღოს. როგორც ჩანს, ამით უნდათ, რომ გააფრთხილონ და თუ ეს გაფრთხილება ყურად არ იღო მედიაპალიტრამ, ამის შემდეგ არის დიდი შანსი, რომ საერთოდ იზრუნონ, როგორ დახურონ და როგორ გაანადგურონ ეს ჰოლდინგი. ეს ჩვენ არ გაგვიკვირდება, იმიტომ, რომ მე მარტო იმედის თემით არ დამიწყია ამ თემის კომენტარი, როდესაც კომენტარი მთხოვეს, მე შემთხვევით არ გავიხსენე ტელეკომპანია „იბერია“...

***— სწორედ „იბერია“ იყო პირველი ტელევიზია, რომელიც ამ ხელისუფლებამ დახურა...***

— როდესაც იმედში შემოიჭრა სპეცნაზი და მე კითხვებს მისვამდნენ, იმ დღესვე ვთქვი და ყველას გავახსენე, რომ ასეთი რამ რევოლუციიდან უმოკლეს ვადაში მოხდა, რამდენიმე თვეში, როდესაც „იბერიაში“ შეიჭრნენ და თქვენ გახსოვთ, იქაც დალუქვის საბაბი იყო. მე არ მინდა, ჯვარი გვწერია, რომ ზუსტად იგივე მოხდეს პალიტრასთან მიმართებაში. მე ვფიქრობ, რომ ეს არის პოლიტიკური ზეწოლა, იმიტომ, რომ რეიტინგით ნომერ პირველი „პალიტრა“ არ აწყობს ხელისუფლებას. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ დაიწყეს უკვე ინტერნეტტელევიზიით ძალიან მნიშვნელოვანი და სერიოზული რეპორტაჟების გაკეთება.

***— საუბრისას „მაესტრო“ ახსენეთ, ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ „მაესტროსაც“ დაემუქროს დახურვის საფრთხე?***

— მე არაფერს არ გამოვრიცხავ. გულრწფელად გეტყვით, როცა 25-ში ეს დარბევა მოხდა და გავიქეცით ჩვენ რესპუბლიკურში. გზაში სულ ვფიქრობდი, რომ არ წავიდეს ახლა სპეცნაზი „მაესტროსკენ“-მეთქი და ძალიან ხშირი ურთიერთობა მქონდა თეა სიჭინავასთან, რადგან ჩემთვის, შიგნიდან მოლოდინი მქონდა ამისი. სხვათა შორის, ეს მოლოდინი ტყუილად არ მქონია, რადგან იმ საღამოს სპეცნაზი რაღაცა მომენტში მაესტროს მიმართულებით დაიძრა და შემდეგ ისევ უკან წამოვიდნენ. ასეთი ტიპის საფრთხე ყოველთვის იქნება იმ ქვეყანაში, სადაც ტელევიზიაში შეუვარდნენ ჟურნალისტებს და ხელკეტები გვირტყეს თავში, ამ შემთხვევაში საკუთარ თავზეც ვლაპარაკობ და ყველა იმ ჟურნალისტზეც, ვინც 7 ნოემბრის დროს მოყვა იმ დარბევაში. შესაბამისად, მართლაც ძალიან ვნერვიულობ და მართლაც გულით მეშინია, მით უმეტეს, 25-26 მაისის მოვლენების ფონზე, ისეთი წელგამართული გამოიყურება ჩვენი ხელისუფლება, რომ ისინი ყველაფერზე წამსვლელები მგონია. თუნდაც იგივე, რაც ხდებოდა ფილმის ჩვენებისას, როდესაც იყო პრემიერა აგვისტოს 5 დღის და იქვე მდგარი რაღაცა ერთი ბეწო ჯგუფი ადამიანებისა, ვინც აპროტესტებდა, რომ არ შეიძლებოდა შოუდ ექციათ აგვისტოს ომის ტრაგედია, ეს ბავშვები დაიჭირეს. სხვა რომ არავინ, იგივე ირინკა ბათიაშვილი რომ ავიღოთ და ჩვენი კოლეგა ლაშა ჩხარტიშვილი და ასე შემდეგ. ეს საფრთხეები არსებობს, ხელისუფლება განსაკუთრებით ძალიან გაძლიერდა. კიდევ ერთხელ ვამბობ 25-26 მაისის შემდეგ. იმიტომ არ გვინდოდა ჩვენ და იმიტომ ვამბობდით, რომ არსებობს ძალიან დიდი საფრთხე აი, ამ ქუჩის გამოსვლებით, აი, ამ ქუჩის ფეთქებადსაშიში დაპირისპირებებით, ზუსტად ვიცოდით, რომ ამას მოჰყვებოდა უამრავი დაპატიმრებული უბრალო ადამიანი, რომლებს შორისაც ბევრის გზაკვალი დღემდე გაუგებარია. ზუსტად ვიცოდით, რომ ამას დაააარბევდა ხელისუფლება და ამის შემდეგ იგი ილაპარაკებდა ათმაგი გონორით, ვიდრე ლაპარაკობს დღეს. აბა, გაიხსენეთ სააკაშვილის განცხადებები, რომელსაც იგი ამ დღეებში აკეთებს. — დემოკრატია არ არისო ქალაქის ცენტრში ალიაქოთის მოწყობა თანამდებობების დასაბრუნებლადო. ნინო ბურჯანაძის აი, ამ აქციის შემდეგ, სააკაშვილს გაეხსნა ხელფეხი, მოდით, ეს ვთქვათ პირდაპირ. იმიტომ, რომ ახლა ისინი დგანან და გვიმტკიცებენ რაღაც წარმოდგენების, საუბრების ჩანაწერების ფონზე, სხვა თემაა, ეს რამდენად შეეფერება სიმართლეს...



**სახელმწიფო გადატრიალებების არ მჯერა**

***— ხელისუფლებამ ეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად შეაფასა...***

— მე საერთოდ არ მჯერა ხოლმე, სახელმწიფო შეთქმულებებზე როდესაც მიდის ხოლმე ლაპარაკი და ალბათ არც თქვენ, იმიტომ, რომ არაერთი ასეთი მტკიცება გვინახავს. მე თავად ვიყავი, პირდაპირ ეთერში ვაშუქებდი მოვლენებს, როგორ დადო მაშინდელმა გენპროკურორმა ნიკა გვარამიამ ფილმი „ნოემბრიდან ნოემბრამდე“, სადაც მე მგონი, ყველანი იყვნენ დადანაშაულებული რუსეთის აგენტობაში, რუსეთთან თანამშრომლობასა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში, შალვა ნათელაშვილით დაწყებული, ლევან ბერძენიშვილით დამთავრებული. შესაბამისად ამას რა მოჰყვა, არაფერიც არ მოჰყვა და გამოჩნდა, რომ ეს იყო პოლიტიკური ბლეფი. ახლა როდესაც რაღაცა ტიპის ჩანაწერებს გვიდებენ, გვასმენინებენ და ასე შემდეგ, ყველა ადამიანს ბუნებრივად ახსენდება ის ფილმი, „ნოემბრიდან ნოემბრამდე“. დღეს ალბათ ნინო ბურჯანაძე უფრო თამამად ილაპარაკებდა, თავის დროზე რომ იგი არ ყოფილიყო სწორედ იმ ხელისუფლების გუნდის წევრი, რომელიც ამ ფილმზე პირდაპირ ეთერშიც აკეთებდა კომენტარებს. ანუ ნინო ბურჯანაძისთვის ეს არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, იმიტომ, რომ იგი ჯერ კიდევ პარლამენტის თავმჯდომარე იყო და სააკაშვილის გვერდით იდგა, როდესაც ეს ფილმი დაუდეს ოპოზიციის სხვა ლიდერებს. შესაბამისად მე ვფიქრობ, რომ მას კარგად უნდა გაეთვალა, როდესაც ხალხს ნანახი ჰქონდა კადრები, „პაკლონნაია გარაზე“ პუტინის გვერდით მყოფი ნინო ბურჯანაძე, ანდა კრემლში შეხვედრა იგივე პუტინთან, რასაკვირველია, ამითი უფრო ხელ-ფეხი გაეხსნა ხელისუფლებას, რომ დაეწყო საუბარი რუსეთის მხრიდან დაგეგმილ გადატრიალებებსა და შეთქმულებებზე. მე ზოგადად არ მჯერა სახელმწიფო გადატრიალებისა და შეთქმულების თეორიების, თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ აი, იმ რუსეთში ვიზიტებით ხელისუფლება უფრო თამამად გაბედავდა, რომ ასეთი ტიპის მასალები დაედო. კიდევ ერთი არის, რომ ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მათი ტონი იქნება გაასმაგებული. აი, ის ტონი, რომლითაც ისინი გველაპარაკებიან. მართლა შოკი მივიღე, როდესაც გავიგე მედიაპალიტრის ამბავი. ყველაფერს ველოდი, გარდა იმისა, რომ ასე სწრაფად შეუქმნიდნენ პრობლემებს.

***— საუბრისას აღნიშნეთ, რომ ხელისუფლება ძალიან გაძლიერდაო, როგორ ფიქრობთ, დაუდგება მას რამე წინ?***

— სწორედ ამიტომ გააკეთა სამოქალაქო მოძრაობაზე მოწოდებები რვიანმა. საბოლოოდ დასამარდა ამ ქვეყანაში ქუჩის გადატრიალების მითები. პირდაპირ ვთქვათ, ჰქონდა ოპოზიციას თავის დროზე ძალიან დიდი შანსი, რომ სწორედ ქუჩის საპროტესტო აქციებით გადაეყენებინა ეს ხელისუფლება, მაგრამ თქვენც გახსოვთ და მეც, რომ ეს დამთავრდა უშედეგოდ. პრეზიდენტი ისევ მიშა არის და ხელისუფლებაშია ისევ ნაციონალური მოძრაობა. ერთადერთი გზა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, ეს არის არჩევნები. ამიტომ რვიანმა უნდა იბრძოლოს მთელი ძალით, რომ საარჩევნო გარემოს შეცვლისთვის აუცილებელი პირობები ხელისუფლებას გამოვგლიჯოთ. მე იმედს მაძლევს ის, რომ დიპლომატიური კორპუსი, დასავლეთი ძალიან აქტიურად უჭერს მხარს რვიანის მუშაობას. სხვათა შორის, ბაიდენის და სააკაშვილის შეხვედრაზე, რომელიც რომში შედგა და რომელიც ერთ წინადადებაში რომ ჩამოგვირაკრაკეს, რომ ბაიდენმა გამოთქვა სურვილი, მომავალი არჩევნები დემოკრატიულად წარიმართოს, ამის მიღმა უნდა ვიგულისხოთ, რომ ძალიან სერიოზული რეკომენდაციები მისცა არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებასთან დაკავშირებით ამერიკამ. მოდით, გავიხსენოთ, შევარდნაძესთან როგორ ჩამოვიდნენ თავის დროზე ვარდების რევოლუციის წინ და ასევე ტკბილი ხმით რეკომენდაციები როგორ მისცეს. მე ძალიან მნიშვნელოვნად მენიშნა, ბაიდენისა და სააკაშვილის შესახებ გაკეთებულ კომენტარში რომ იყო საუბარი მომავალ არჩევნებზე. თუ ჩვენ მოვახერხებთ, რომ საზოგადოებაში არსებული უზარმაზარი საპროტესტო მუხტი მივმართოთ არჩევნებისკენ, მე არაერთხელ მითქვამს თქვენთან საუბარში, რომ მომავალ არჩევნებში პარლამენტში ნამდვილად დიდი რაოდენობით შევა ოპოზიცია და შესაძლებელია მივიღოთ ოპოზიციის კოალიცია. არა მარტო პარლამენტში, არამედ კოალიციური მთავრობა. ეს არის ერთადერთი გზა ამ ქვეყნის გამოსაყვანად აი, ამ პოლიტიკური კრიზისებიდან, იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ არ შეიძლება ამ ქვეყანას მართავდეს ერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც სათავეში ეყოლება ერთი ავტორიტარი ლიდერი.

***— ფაქტია, რომ ეს ხელისუფლება ნებით არ დათმობს, როგორ აპირებთ რომ დაათმობინოთ?***

— ძალიან სერიოზული მუშაობა დაიწყება, გუშინ სამოქალაქო მოძრაობის შესახებ როდესაც გაკეთდა განცხადება, ჩვენი მხრიდან ეს იყო შეთავაზება სრულიად საზოგადოებისთვის, ვისაც აქვს სურვილი, ვისაც უნდა, რომ ეს ხელისუფლება შეიცვალოს, მას შეუძლია, რომ თავისი იდეები, თავისი რეკომენდაციები და თავისი ქმედითი ნაბიჯებითაც კი შეუერთდეს ამ წინა საარჩევნო სამზადისს. როგორ ვაპირებთ? ერთს გეტყვით: თავსისთავად ეს რვა პარტია, იმის მიუხედავად: რომ ხელისუფლებამ იგნორირება გაუკეთა, თითქოს ჩაშალა ეს მოლაპარაკებები, არ აპირებს დაშლას. აპირებს ძალიან სერიოზულად გაგრძელებას მუშაობისა. ჩვენ გვაქვს ძალიან სერიოზული მხარდაჭერა დასავლელი პარტნიორების მხრიდან და აი, ეს იქნება სწორედ ის ბერკეტი და ბოლოს და აბოლოს როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ რაღაცა ტიპის აქციებზე, გამოსვლებზე, ხელისუფლება თუკი რამეზე მიიღებს ძალიან სერიოზულ აქციებს, შესაძლებელია ეს იყოს სწორედ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული. ოღონდ ხალხმა უნდა იცოდეს, რისთვის გამოგყავს ქუჩაში და რომ ეს არ უნდა იყოს მარტო კუნთების თამაში. ჩვენ შეგვიძლია პერნანენტული აქციები მოვუწყოთ ამ ხელისუფლებას, იმ მოთხოვნით, რომ მიშა, წადი კი არა, არამედ მიშა, ერთხელ და სამუდამოდ მიეცი ხალხს არჩევანის უფლება, ჩაგვატარებინე თავისუფალი არჩევნები! რასაკვირველია, ბერკეტს გამოვიყენებთ ყველანაირს. ვიმეორებ, ის ადამიანები, ვინც რვიანში არიან გაწევრიანებული, არ აპირებენ, რომ დაუთმონ ხელისუფლებას და არც დაიშლებიან.

# რუსი ჯარისკაცებისთვის აფხაზეთი ოაზისია

ნანა მიშელაშვილი

**ქართველი დეპუტატები ოკუპირებული ტერიტორიებიდან დაგეგმილი ტერაქტების გამო პროტესტს გამოთქვამენ. „ქრისტიან-დემოკრატების“ შეფასებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ტერაქტები დაბალი რანგის ოფიცრების მიერ არის დაგეგმილი.**

— ეს ტერაქტები თუ დივერსიული აქტები, გამომდინარე იქიდან, რომ იგეგმებოდა და ხორციელდებოდა არაპროფესიულად, გამოყენებული იყო კუსტარული არაპროფესიონალური აღჭურვილობა და ფინანსდებოდა ძალიან მცირე თანხებით, მაფიქრებინებს, რომ ეს არ გასცდენია ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაბალი რანგის ოფიცრის ჭკუა-გონებას, — აღნიშნა ნიკა ლალიაშვილმა.

დეპუტატის თქმით, ტერაქტებისა და დივერსიული აქტების დაგეგმის არაპროფესიონალიზმიდან ნათლად ჩანს, რომ ისინი ნამდვილად არ იგეგმებოდა მოსკოვში ლუბლიანაზე ან კრემლის მნიშვნელოვან კაბინეტებში.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ქართველმა სამართადამცველებმა ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსი ოფიცრების უშუალო მონაწილეობით საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე დაგეგმილი რამდენიმე ტერაქტი აღკვეთეს.

ნიკა ლალიაშვილი ასევე მიიჩნევს, რომ დღეს აფხაზეთი ყველა რუსი ჯარისკაცისა და უშიშროების სამსახურის ოფიცრისათვის სამოთხეს წარმოადგენს.

— რუსი ჯარისკაცები და უშიშროების ოფიცრები მოშორებულნი არიან ცენტრს, მშვენივრად უგებენ საკუთარ ლოთ გენერლებსა და ქეიფობენ მათთან ერთად, ბანაობენ და ირუჯებიან შავ ზღვაზე, საუკეთესო მიწებსა და დაცარიელებულ ვილებს კაპიკებში ყიდულობენ, — აღნიშნა ნიკა ლალიაშვილმა.



რაც შეეხება მოსკოვიდან წამოსულ დაფინანსებას, ლალიაშვილის თქმით, ფული, რომელიც საქართველოში ტერაქტების მოსაწყობად მოსკოვიდან იგზავნება, გზაში „ტყდება“ და ჯიბეებში ილექება. ამის შემდეგ „პახმელიაზე“ დაგეგმავენ ტერაქტს, რომლის შესასრულებლად ვილაცას შეარჩევენ, გადაუხდიან მას კაპიკებს, ლუდის ქილაში „ჰექსოგენს“ ჩაუდებენ, გამოუშვებენ საქართველოში და პრემიასაც აიღებენ, — აღნიშნა ნიკა ლალიაშვილმა.

რაც შეეხება საპარლამენტო უმრავლესობას, პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი შეშფოთებას გამოთქვამს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დაგეგმილი ტერაქტების გამო.

— ერთი მხრივ, ვინც ამას გეგმავს შესაძლოა ჰქონდეს ასეთი მიზანი, რომ ქართველი ხალხი შეაგუონ და არასტაბილურობის განცდა გააჩინონ, მეორე მხრივ, საკმაოდ სერიოზული ინფორმაციაა, რაც რეალურად იქიდან იგეგმება. შინაგან საქმეთა სამინისტრო არა მარტო ასაფეთქებლებს პოულობს, არამედ პოულობს იმ ხაზს, სად მიდის ეს ყველაფერი. მე არ მინდა ჩვენი თანამოქალაქეები დავძაბო, მაგრამ ეს ყველაფერი, მარტივი არ არის, — აღნიშნა მაჭავარინმა.

პირველი ვიცე-სპიკერის თქმით, ჩვენ ეს საკითხი გვაწუხებს და ამასთან დაკავშირებით ესაუბრებიან ამერიკელებს, ევროპელებს და მათ სთხოვენ ესაუბრონ მათ სადამდეც ეჭვი მიდის. □ — ჩვენ ეს ძალიან გვაშფოთებს და ჩვენი მეგობრებიც შეშფოთებული არიან, მათ ეს ყველაფერი გადაამოწმეს და ჩვენი ინფორმაცია სწორი აღმოჩნდა, — აღნიშნა მაჭავარიანმა.

რაც შეეხება აფხაზეთში დაგეგმილ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებს, პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი დარწმუნებულია, რომ აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთი ძალიან აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. ჟურნალისტებთან საუბარში მაჭავარიანმა განაცხადა, რომ რუსეთი ამ არჩევნებში აქტიურად ჩაერევა და შეეცდება ე.წ. პრეზიდენტად კრემლისადმი უფრო ლოიალური კანდიდატი გაიყვანოს. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზები უკვე აცნობიერებენ, თუ რა პრობლემები შეუქმნა რუსეთმა, ამ შემთხვევაშიც მოსკოვი მოახერხებს სასურველი კანდიდატის გაყვანას.

რუსული მედიის ინფორმაციით, სეპარატისტულ აფხაზეთში რიგგარეშე ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის 26 აგვისტოს დაინიშნა. 2008 წლის 26 აგვისტოს კი რუსეთის ფედერაციამ თავის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა აღიარა.

## „ქრისტიან-დემოკრატები“ დამწვრობის ცენტრის თანამშრომლებს შეხვდნენ

„ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერები გუშინ თერმული დაზიანებებისა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამედიცინო პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლებს შეხვდნენ.

პარლამენტარები გიორგი ახვლედიანი და მაგდა ანიკაშვილი ე. წ. დამწვრობის ცენტრისთვის ავტონომიური სტატუსის, საწოლების რაოდენობის და ყველა თანამშრომლისთვის სამსახურის გარანტირებულად შენარჩუნებას ითხოვენ,

როგორც „მედიანიუსს“ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობიდან აცნობეს, მთავრობის გადაწყვეტილება ცენტრის მე-5 საავადმყოფოს ბაზაზე გადატანასა და მომსახურე პერსონალის შემცირებას ითვალისწინებს.თერმული დაზიანებებისა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამედიცინო პრაქტიკულ ცენტრში ამჟამად 130 სპეციალისტი მუშაობს. ცენტრი 5 განყოფილებისგან შედგება, სადაც 36 საწოლია. დაწესებულების მე-5 საავადმყოფოში გადატანის შემთხვევაში დაგეგმილია ერთი განყოფილების შექმნა და საწოლების 20-მდე შემცირება.

**მედიანიუსი**

## ცესკოში საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა გაიმართება

დღეს სასტუმრო „ბეტსიში“ ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს მორიგ შეხვედრას გამართავს.

შეხვედრაზე ცესკოს თავმჯდომარე საბჭოს წევრებს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულ საქმიანობებს გააცნობს. ასევე იმსჯელებენ საარჩევნო ადმინისტრაციის სამომავლო გეგმებზე.

შეხვედრას დაესწრებიან საკონსულტაციო საბჭოს წევრები - საარჩევნო საკითხებში ჩართული პოლიტიკური პარტიების, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მედია საშუალებების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები.

საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა.

**მედიანიუსი**

## სამსონ გუგავა: ამერიკა ჩვენი მშობლიური ენის წართმევას ცდილობს

ლეიბორისტული პარტია აცხადებს, რომ ხელისუფლებამ ხალხზე ფიზიკური ძალადობისა და ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვის შემდეგ მშობლიური, ქართული ენის წართმევა განიზრახა.

როგორც „მედიანიუსს“ პარტიის ქუთაისის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე სამონ გუგავამ განუცხადა, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში ცოტა ხნის წინ განათლების სამინისტროს წარმომადგენლები ჩავიდნენ და ლექტორებს რეკომენდაციის სახით მითითებები მისცეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ლექციები ჩატარდეს ინგლისურ ენაზე.

— ეს არის ენობრივი აგრესია, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებს საქართველოს მიმართ. თუნდაც სკოლებში ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება, ტელევიზიებში ფილმების თარგმანის გარეშე გაშვება, ახლა კი უნივერსიტეტში მსგავსი მოთხოვნა. ამერიკა არის უცხო დამპყრობელი, რომელიც კოლონიაში ცდილობს დაამკვიდროს საკუთარი ენა, — განაცხადა გუგავამ.

გარდა ამისა, როგორც გუგავამ აღნიშნა, მომავალი წლიდან ის ლექტორები, რომლებიც ინგლისური ენის გამოცდას ვერ ჩააბარებენ, სამსახურიდან განთავისუფლდებიან.

ლეიბორისტული პარტია ეწინააღმდეგება აღნიშნულ პოლიტიკას და აცხადებს, რომ არ შეწყვეტს ბრძოლას მის აღსაკვეთად.

**მედიანიუსი**

# 26 მაისის მოვლენების გამოძიებას რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია ითხოვს

საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ინფორმაციით, 26 მაისის მოვლენების დაუყოვნებლივ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ გამოძიებას რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია ითხოვს.

როგორც პარტიის განცხადებაში არის ნათქვამი, ქვეყნის ხელისუფლებამ „ჰუმან რაითს ვოჩის“, „საერთაშორისო ამნისტიის“, გაეროს ადამიანის უფლებათა კომისარიატისა და ევროსაბჭოს შემდეგ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან კიდევ ერთი გაფრთხილება და გამოძიების დაწყებაზე მოწოდება მიიღო.

— ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია და ადამიანის უფლებათა სახლი მიხეილ სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს მიმართავენ და შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების ხელყოფისა და დემონსტრაციის მონაწილეთა მიმართ გამოჩენილი სისასტიკის გამო პასუხისმგებელი პირების გამოვლენასა და დასჯას ითხოვენ. მათ განცხადებაში ნათქვამია, რომ უკვე რამდენიმე წელია, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების ხელყოფა გრძელდება და სრულიად ნათელია, რომ საქართველო ვერ ასრულებს ვერც მის საერთაშორისო და ვერც კონსტიტუციურ ვალდებულებას ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატივისცემის თვალსაზრისით, — ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

რესპუბლიკური პარტიის ინფორმაციით, საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებაში ამომწურავადაა მიმოხილული 26 მაისს განვითარებული მოვლენები: ძალადობა, გაუჩინარება, დაკავებულთა მიმართ გამოჩენილი სისასტიკე, მათი ძირითადი უფლებების ხელყოფა, ადვოკატებისათვის საქმიანობაში ხელშეშლა, ექიმის დახმარების უფლების უგულებელყოფა და ახლობლებთან კომუნიკაციის უფლების ჩამორთმევა.

რესპუბლიკელები ხელისუფლებას ქართული და საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთი მიმართვის გათვალისწინებისაკენ კიდევ ერთხელ მოუწოდებენ და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებასა და დამნაშავეების დასჯას ითხოვენ. მათი მოსაზრებით, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მოწოდებებისა და სამართლიანი მოთხოვნების უგულებელყოფა ქვეყნის იმიჯზე უარყოფითად აისახება.

**მედიანიუსი**

## „სამართლიანი საქართველო“ შეშფოთებულია

პოლიტიკური გაერთიანება „სამართლიანი საქართველო„ „მედიაპალიტრის“ შემოსავლების სამსახურის მიერ შემოწმებას, ხელისუფლების მხრიდან ჰოლდინგის ხელმძღვანელობის დაშინების მცდელობად აფასებს.

— პრეზიდენტ სააკაშვილის რეჟიმის მიერ 26 მაისს და მომდევნო დღეებში ჩადენილმა ძალადობამ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. გაერო, ევროგაერთიანება, ეუთო, სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები, დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები, ადამიანის უფლებათა და ჟურნალისტთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები მოითხოვენ ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულის დამოუკიდებელ გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას კანონის შესაბამისად. ამ მოთხოვნების პასუხად სააკაშვილი ცინიკურად აცხადებს, რომ კმაყოფილია პოლიციის მოქმედებით. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სააკაშვილი და მისი რეჟიმის თავკაცები საჯაროდ არად აგდებენ დასავლეთის მოთხოვნას. ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ ძალაუფლების შენარჩუნებისათვის სააკაშვილი უკვე ღია დიქტატორობაზე გადადის,— ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

მათივე თქმით, ასეთ ფონზე, 7 ივნისს შემოსავლების სამსახურმა დაიწყო ე.წ. დაუგეგმავი შემოწმება „მედიაპალიტრის“ ექვს სხვადასხვა სტრუქტურაში. ამ ამბავმა სამართლიანად აღაშფოთა საზოგადოება. ყველამ კარგად იცის, რომ წლების განმავლობაში სააკაშვილის რეჟიმი იყენებს ფისკალურ სტრუქტურებს პოლიტიკური ოპონეტების დასჯისა და დამორჩილებისათვის. საგულისხმოა, რომ „მედიაპალიტრამ“ ობიექტურად გააშუქა 26 მაისს და მომდევნო დღეებში მომხდარი ძალადობა. ისიც ცხადია, რომ შესაბამის სამსახურებს შეეძლოთ კანონით გათვალისწინებული შემოწმებების ისეთი ფორმით ჩატარება, რომელიც არ გამოიწვევდა საზოგადოების აღშფოთებას. ხელისუფლებას კარგად იცოდა, როგორ რეზონანს გამოიწვევდა მედიაპალიტრის ერთბაშად 6 სტრუქტურის დალუქვა და ეს შეგნებულად განახორციელა.

პარტიის შეფასებით, ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ ადგილი აქვს ან „მედიაპალიტრის“ ხელმძღვანელების დაშინების მცდელობას, ან ხელისუფლების მხრიდან ძალების მოსინჯვას და საზოგადოების რეაქციის მიხედვით ხელისუფლება ყველაფერზე წავა, რაც გაუვა.

ასეთ ვითარებაში საჭიროა სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიული ძალების ერთიანობა და მობილიზაცია, მუდმივი სიფხიზლე სიტყვის თავისუფლებისა და მასმედიის უფლებების დასაცავად.-აცხადებენ სამართლიან საქართველოში.

**პრაიმ-ნიუსი**

## დავით უსუფაშვილი ევროკავშირის წარმომადგენლებს შეხვდა



გუშინ, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის დეპარტამენტის უფროსს ჯონ კერისა და ამავე განყოფილების მმართველ დირექტორს მიროსლავ ლაიჩეკს შეხვდა.

შეხვედრა საქართველოში, ევროკავშირის ელჩის რეზიდენციაში შედგა და

საქართველო-ევრო კავშირის ურთეირთობებს, მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესსა და აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას შეეხება.

**მედიანიუსი**

# შემოდგომაზე „რვიანი“ საერთო სახალხო გამოკითხვას ჩაატარებს

რესპუბლიკური პარტიის წევრი დავით ბერძენიშვილი სამართლიანი საარჩევნო გარემოსათვის ბრძოლის გზით ხელისუფლების შეცვლის ორ სავარაუდო მოდელს განიხილავს.

როგორც ბერძენიშვილმა გუშინ გაზეთ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, ოპოზიციური რვიანი აპირებს ხელისუფლება შეცვალოს სამართლიან გარემოში ჩატარებული არჩევნებით, ან არჩევნების ფონზე.

— ჩვენი მიზანია, რომ მივაღწიოთ სამართლიან საარჩევნო გარემოს შექმნას. სხვა შემთხვევაში, თუ ხელისუფლება უარს იტყვის ჩვენს კანონიერ მოთხოვნებზე, მოხდება მისი უუნარობის დემონსტრირება. არსებობს ორი გზა — სამართლიანი საარჩევნო გარემოს მიღწევა ან ხელისუფლების შეცვლა არჩევნების ფონზე. ამ ორი გზიდან არჩევანი ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს. ჩვენს წინადადებებს მხარს უჭერს საერთაშორისო საზოგადოება. ამიერიდან კი ჩვენ ჩავატარებთ ფართომასშტაბიან კამპანიას საქართველოს მოსახლეობის ინფორმირების და პროცესში ჩართვის მიმართულებით, — განაცხადა ბერძენიშვილმა და დასძინა, რომ მიმდინარე წლის შემოდგომაზე რვიანი საერთო სახალხო გამოკითხვას ჩაატარებს და მის შედეგებს ხელისუფლებას წარუდგენს.

— ამის შემდეგ ცხადია, ხალხის მხარდაჭერასთან ერთად კიდევ უფრო გაიზრდება საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერაც,



თუ ხელისუფლება არ გაითვალისწინებს ხალხის მოთხოვნებს სამართლიან არჩევნებთან დაკავშირებით, მას ნელ-ნელა ამოეწურება საერთაშორისო თანამეგობრობის მანდატი, ისე როგორც ეს დაემართა შევარდნაძის ხელისუფლებას და ყველას გვახსოვს 2003 წელს არჩევნებზე ეუთოს მიერ გამოქვეყნებული კრიტიკული დასკვნა. საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე კი გარწმუნებთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება სამი თვეც ვერ გაძლებს. სწორედ ეს იგულისხმება ჩემს მიერ ჩამოყალიბებულ მეორე მოდელში ხელისუფლების შეცვლა არჩევნების ფონზე, — აღნიშნა ბერძენიშვილმა და დასძინა, რომ ხელისუფლებაზე ზემოქმედებისათვის რვიანი არც ქუჩის საპროტესტო აქციების გამართვას გამორიცხავს.

**მედიანიუსი**

# ქუჩაში ერთხელ ჯიგრული გამოსვლით ხელისუფლებას ვერ შეცვლით

## რუსეთის მოწყობილ სახელმწიფო გადატრიალებაში გაბაშვილი მონაწილეობდა

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ თავისუფალი საქართველოს ლიდერ კახა კუკავასთან

***— ბატონო კახა, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითქოს ლევან გაჩეჩილაძე და კოკა გუნცაძე თქვენს პარტიაში ერთიანდებიან?***

— ეს ინფორმაცია არ არის რეალობასთან ახლოს, ჩვენ რაიმე პარტიალ გაერთიანებაზე არ ვსაუბრობთ. თუმცა, ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ იმაზე, რომ შესაძლებელია იყოს ინიცირებული გარკვეული მოძრაობა სამოქალაქო და პოლიტიკური ორგანიზაციებისა ამ რეჟიმის და ძალადობის წინააღმდეგ.

***— ქართულ პარტიაში განვითარებულ პროცესებს როგორ შეაფასებდით?***

— ჩემგან არაკორექტული იქნება სხვა პარტიაში არსებულ განხეთქილებაზე საუბარი, თუმცა რეალურად, ძალიან სხვადასხვა მენტალობის, ფილოსოფიის და ფასეულობების ადამიანები არიან, ამიტომ ძალიან არ გამკვირვებია, ეს რომ მოხდა.

***— ბატონო კახა, როგორც ცნობილია, ხელისუფლება აქტიურად ცდილობს, რომ დაარწმუნოს საზოგადოება, თითქოსდა 26 მაისს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას ჰქონდა ადგილი. რამდენად იყო ეს ასე?***

— ამისი არანაირი საბუთი არ არსებობს, სხვათა შორის, ჩვენ ვგეგმავთ, რომ უახლოეს დღეებში ოფიციალური დასკვნა გავავრცელოთ სამართლებრივი, ძალიან კომპეტენტურ იურისტებთან ერთად, იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ არა მხოლოდ დაკავებულ ადამიანებს, ჩვენი პარტიიდან ან თუნდაც სახალხო კრებიდან, მე სრული პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ ჩვენ სოლიდარულები ვართ აგრეთვე ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის წევრების მიმართაც, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მათი პოლიტიკური შეხედულებები ჩვენთვის გასაზიარებელი არ იყოს, ეს ხალხი ზის უდანაშაულოდ და რაიმე კონკრეტული მტკიცებულებები ჩვენ არ გვინახავს მათი ბრალის დამადასტურებელი.

***— საუბარია, რომ 60-მდე ადამიანი კვლავ დაკარგულად ითვლება. თქვენ თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამის თაობაზე?***

— მე მგონი, 60 ადამიანი არ არის რეალური, თუმცა ჩვენ ვმუშაობთ და გვინდა დავაზუსტოთ, რამდენი ადამიანი არის რეალურად დაკარგული, იმიტომ, რომ დღემდე ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ოჯახს, რომელიც იტყოდა, რომ მისი შვილი ან ოჯახის რომელიმე წევრი არის დაკარგული. ბოლო ადამიანი, რომელიც ჩვენ დაგვიკავშირდა ეს იყო კორნელი მანაგაძე, მისი შვილი დაკავებულებს შორის აღმოჩნდა. მე არ გამოვრიცხავ, რომ დაკარგულები იყვნენ, მაგრამ ჩვენ კონკრეტული ინფორმაცია არა გვაქვს. მე ვთხოვ ოჯახის წევრებს, რომ ჯობია მოვიდნენ პარტია თავისუფალი საქართველოს ოფისში, ჩვენ ნამდვილად, პირადად, არა განცხადებებით და რელიზებით, პირადად დავყვები ოჯახთან ერთად იზოლატორებს, თუკი ვინმე მეტყვის, რომ მათი ოჯახის წევრი არ იძებნება.

***— საუბარია, რომ სახალხო კრების აქტივისტების დაკავება დაპატიმრება დღემდე გრძელდებაო...***

— გრძელდება, რა თქმა უნდა, როგორც დაკავებები, ასევე გამოძახებები და ე.წ. გასაუბრებები, რომელიც რეალურად მუქარას წარმოადგენს. ეს მიზნად ისახავს ამ ხალხის დაშინების მცდელობას. ჩვენ ნელ-ნელა შევდივართ 37-იან წლებში, ახლა უფრო 20-იანი წლებია. იცით, რომ კომუნისტებიც რომ მოვიდნენ, უცებ კი არ დამყარდა ტირანია, იყო რაღაცა გარდამავალი ეტაპი, როდესაც იწყებოდა ტირანია. ჩვენ ვართ ახლა ტირანიის დასაწყისში. ჩვენ უნდა დავიწყოთ ბრძოლა, ერთიანი მოძრაობა ამ ტირანიის დასამარცხებლად. თუ ეს იქნება მასშტაბური პროტესტი, ხელისუფლება დათმობაზე აუცილებლად წავა. დათმობაზე წასულა ყველა რეჟიმი, კომუნისტებიც, ფაშისტებიც, რა ვიცი მაგათზე უარესებიც და რა თქმა უნდა, წავა სააკაშვილიც. მე, მაგალითად, ობიექტურად ვამბობდი 2007 წელს, 2009 წელსაც, რომ საქართველოში იმართებოდა მსოფლიოში ყველაზე უფრო მასშტაბური პროტესტი. ახლა ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ არაბებმა გვაჯობეს. ის, რასაც არაბი ერი უჩვენებს მსოფლიოს, ეს არის ალბათ მსოფლიო ისტორიაში, შეუპოვრობის არნახული მაგალითი, როდესაც 70 ადამიანი მოკლეს გუშინწინ დამასკოში და გუშინ ორჯერ მეტი ხალხი გამოვიდა ქუჩაში და დღესაც იგივე ხდება. ჩვენ უნდა შეგვეძლოს როგორც ჩვენი ღირსებების დანახვა, ასევე ისიც, რომ არაბებთან შედარებით ჩვენ ნამდვილად ღირსეულად ვერ გამოვიყურებით. ვიშვიში არ აუტეხავთ. ე.წ. კონსტრუქციული პარტიები ალბათ იქაც ეყოლებოდათ ეგვიპტეში და სირიაში, მაგრამ ვიშვიში არ აუტეხავთ, რომ ვაიმე რადგანაც ცეცხლი გაგვიხსნა რეჟიმმა, მოლაპარაკებები დავიწყოთო.

***— რისი თქმა გსურთ, რომ ქართველი საზოგადოება არ არის მზად ასეთი ერთსულოვნებისთვის?***

— ჩვენ ჯერ ერთი პატარა ერი ვართ, ცოტა მძიმე ისტორიაცა გვაქვს, ფსიქოლოგიურადაც და ფიზიკურადაც ვართ ძალიან გადაღლილი, მაგრამ მაინც აუცილებელი არის ბოლო ენერგიის მოძიება.

***— მეორე-მესამე დღეს ვნახეთ, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობის ხალხი გამოვიდა...***

— ეს არის ქართული ხასიათი. გამოვალთ ერთხელ, ჯიგრულად, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. აი, არაბები, სანამ არ გაიმარჯვებენ მანამ დგანან ქუჩაში. არაბეთი ყოველთვის იყო სახელმწიფო, დაპყრობილები არ ყოფილან და მათ აქვთ სახელმწიფოებრივი მენტალიტეტი. ჩვენ სახელმწიფოებრივი მენტალიტეტი არა გვაქვს. რა უნდა მოვთხოვოთ უბრალო ადამიანს, როცა პოლიტიკოსებიც კი ამბობენ, რომ თურმე ჰილარი კლინტონი გადაწყვეტს საქართველოში თავისუფალი არჩევნების საკითხებს. იმ ქვეყანას, სადაც ჰილარი კლინტონი უწყვეტს, თავისუფალი არჩევნები ჩატარდეს თუ არა, აბსურდია საუბარი თავისუფალ არჩევნებზე, იმიტომ, რომ ქვეყანა არ არის თვითონ თავისუფალი და არჩევნები როგორ იქნება თავისუფალი. არაბები არ ელოდებიან ჰილარი კლინტონს და პირიქით, თითი დაუქნიეს, როდესაც რაღაცა არაკორექტული განცხადებები გააკეთა ეგვიპტის რევოლუციის დროს. ჩვენც თუ გვაქვს სახელმწიფოებრივი მენტალიტეტი და თუ ვთვლით, რომ დამოუკიდებელი გვეყანა გვაქვს, ჰილარი კლინტონს კი არ უნდა ვიყოთ გამოკიდებული, უნდა გამოვიდეთ და დავიცვათ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჩვენი საკუთარი ძალებით და იმასაც უნდა შევეგუოთ, რომ შეიძლება ამას მსხვერპლიც მოჰყვეს.

***— ბატონო კახა, მოდით, ამოვწუროთ 26 მაისის თემა, როგორ ფიქრობთ, რამდენად ჰქონდა კავშირი სახალხო კრებას რუსეთთან და თემურ ხაჩიშვილთან?***

— არანაირი კავშირი სახალხო კრებას რუსეთთან არ ჰქონია. პოლიტიკურ კავშირებზე რა თქმა უნდა, მე კომენტარს ვერ გავაკეთებ, მაგრამ ჩვენ მტკიცებულებები იმისი, რომ მათ რაიმე შეიარაღება, ან ფინანსური დახმარება ჰქონოდათ რუსეთის ფედერაციიდან, მტკიცებულებები არ გვინახავს. მე მინდა გაგიმხილოთ თქვენი გაზეთისთვის ექსკლუზიურად, რომ საფუძვლიანად დავათვალიერე მათი ბანაკები კოსტავას ქუჩაზე და არა თუ მოლოტოვის კოქტეილი არ მინახავს იქ, აბსოლუტურად მშვიდობიანი ხალხი იყო. საუბარი იმაზე, რომ რაიმე მილიტარისტული ელემენტიც კი იყო ამ აქციებში, ეს არის უბრალოდ დეგენერატის ნათქვამი და სამწუხარო არის, რომ ხელისუფლების გარდა ამას სხვებიც იმეორებენ. გადაჭრილი პლასტმასის ჯოხებით იყვნენ, მაგარი გადატრიალება ყოფილა რუსეთის მიერ ორგანიზებული. აი, რუსეთის მიერ ორგანიზებული გადატრიალება როცა იყო, გაბაშვილი და მაჭავარიანი რომ დარბოდნენ კარგად რუსთაველის გამზირზე, გადაჭრილი ჯოხებით კი არ დარბოდნენ და ბარამიძე კიდევ, არამედ საბჭოთა რაკეტებით ცეცხლს უშენდნენ ზვიად გამსახურდიას რეზიდენციას. აი, ეს იყო რუსეთის დაგეგმილი გადატრიალება. ახლა ზღაპრებს გვიყვებიან, რომ რუსეთმა გამოუგზავნა ბეიზბოლის ბიტები ბადრი ბიწაძეს და მუხის ხის ტოტები ჯაბა ჯიშკარიანს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან არადამაჯერებლად ჟღერს.

***— რაც შეეხება ბადრი ბიწაძის წინააღმდეგ საქმის აღძვრას, ესეც პიარის ნაწილია?***

— რა თქმა უნდა, ეს წმინდა წყლის პიარია, რომ ფსიქოლოგიურად გატეხონ ქალბატონი ბურჯანაძე. სხვათა შორის, მინდა ვთქვა, რომ როგორც პოლიტიკოსი, რომ გითხრათ, მაინცდამაინც დიდ სიმპათიებს იწვევს ჩემში, მოგატყუებთ, მაგრამ როგორც ადამიანი, მისი გაუტეხლობა ნამდვილად მისაბაძია.

***— რამდენად მოახერხებს ხელისუფლება ამ ლიდერების პოლიტიკურ დისკრედიტაციას?***

— იცით, ხელისუფლება დღეს თავად იმდენად დისკრედიტებულია, რომ მე ვფიქრობ, მას ვინმეს დისკრედიტაცია გაუჭირდება, ყოველ შემთხვევაში საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც აზროვნებს. ტაბულამ გამოაქვეყნა ფოტო ნინო ბურჯანაძის, რომ გასამართლდესო და ტაბულას რედაქტორი კი არა, მე თუ მკითხავთ, მკითხველებიც კრიმინალები არიან და მაგ აუდიტორიაში ოპოზიციის დისკრედიტაციას მოახდენენ თუ არა ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა. რეალტივის მაყურებელს ახლა რა მოსაზრება ექნება ჩემზე, მინდა გითხრათ, რომ ასევე ნაკლებად მაინტერესებს.

***— რამდენად შეინარჩუნებს საზოგადოება საპროტესტო მუხტს და გაგრძელდება თუ არა საპროტესტო გამოსვლები?***

— ეს დამოკიდებულია იმ ნაწილზე ოპოზიციისა, რომელიც სხვადასხვა ტერმინებს ხმარობენ, მე ვიხმარდი ტერმინს — არაკომფრომისტები. არიან კომფრომისტები და უნდა შეიქმნეს არაკომფრომისტების საკოორდინაციო საბჭო, არა მარტო ოპოზიციის, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციების. ძალიან ტკბილია, რა თქმა უნდა, ხელისუფლების მიერ გადმოგდებული სხვადასხვა ფოჩიანი კანფეტები, მაგრამ ჩვენს საზოგადოებაში არსებობს ნაწილი, რომელიც ხელისუფლებასთან არ თანამშრომლობს, არ ითანამშრომლებს და მე ვფიქრობ, რაოდენობრივად რამდენიც არ უნდა იყოს, ეს იმდენად ჯანმრთელი ძალაა, რომ საკმარისი იქნება გამარჯვების მოსაპოვებლად.

***— რაც შეეხება რვიანს, ე.წ. კონსტრუქციულ ოპოზიციას, მათ გუშინ ერთობლივი განცხადება გააკეთეს, რომ იწყებენ აქტიურ სამოქალაქო მოძრაობას, როგორ ფიქრობთ, იქნება რამის მომტანი მათი მცდელობა?***

— მე მარტის თვეში გავაკეთე ბოლო განცხადება რვიანთან დაკავშირებით და მეტი განცხადების სურვილი არა მაქვს. მე ვთქვი, რომ მოლაპარაკებები წარუმატებლად დამთავრდება-მეთქი, ამის გამო ძალიან გამაკრიტიკეს მაშინ და ირაკლი ალასანიამ თქვა — კახა კუკავას პოლიტიკა არ ესმისო. ახლა, მე მგონი, როდესაც თვად გააკეთეს განცხადება, შეიძლება განვსაჯოთ, ვის ესმის პოლიტიკა და ვის არ ესმის. ის, რომ ხელისუფლება დათმობაზე არ წავიდოდა, ამას არ სჭირდებოდა დიდი ფილოსოფია და პოლიტიკა და ეს ძალიან აშკარად ჩანდა რამდენიმე თვის წინაც. მე არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს ამ ხალხის საქმიანობისა, არც პოზიტიურად შევაფასებდი და არც ნეგატიურად, მაგრამ ახლა ის, რომ ისინი მასშტაბურ აქციებს დაიწყებენ, ეს ჩემში დიდ ნდობას არ იწვევს. ვინც ამ ადამიანებს კარგად იცნობს, მათი დაწყებული საპროტესტო აქციები თანაც მასშტაბური და ასევე მათი გადაკეტილი რუსთაველის გამზირი არ გვინახავს. მე ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი არარეალურია. ალბათ უფრო ეფექტური იქნება ისინი კვლავ იჯდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან და ამ მიმართულებით გააგრძელონ თავისი ძალისხმევა. მოკლედ, თავიანთი საქმე თვითონ იციან. მე საარჩევნო გარემოს შეცვლა ამ გზით არ მჯერა.

***— თქვენთვისაც ცნობილია, რომ გასულ კვირას „აგვისტოს 5 დღის" პრემიერა გაიმართა, საკმაოდ აჟიტირებული იყო ამ ფაქტით ჩვენი პრეზიდენტი... როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

— მადლობელი ვარ მიხეილ სააკაშვილის, რომ სახეში ჩააფურთხა ქართველ ხალხს, იმიტომ, რომ თუ ვინმეს კიდევ უნდა და რაღაცა მიზეზს ეძებს, რომ თავისი პროტესტი გამოხატოს, აი, ეგ დღე მაინც იყო, როდესაც მან ზეიმი გამართა შერონ სტოუნტან ერთად ასეთ ტრაგიკულ დღეს, თუ ვინმეს ღირსება აქვს, მას უნდა გაუჩნდეს პროტესტის გრძნობა, თუ ვინმე რაღაცას ვერ ხედავდა, მან კიდე უკეთესად დაანახა ეს. ასევე ძალიან კარგი ინტერვიუ ჰქონდა სააკაშვილს, როდესაც ასევე თქვა, რომ აღფრთოვანებული არის, თუ როგორ კარგად დაარბიეს პოლიციელებმა დემონსტრანტები. ეს უკვე აღარ არის შეფარული ტექსტები, რამაც შეიძლება ვილაცაში გამოიწვიოს ორაზროვნება. გამოვიდნენ, მისი კარის მასხრები რომ არიან, მომღერლები, ექსპერტები და ასე შემდგომ და აცხადებენ, რომ ისინიც აღფრთოვანებულები არიან, რა ბრწყინვალედ გამოიწვია პოლიციამ მსხვერპლი, მშვიდობიან მომიტინგეებში. მე ვფიქრობ, რომ ეს მისასალმებელია, რადგან ლუკაშენკო, რომელიც არის შეუფარავი დიქტატორი და შუა აზიაშიც არსებობს ასეთი რეჟიმები, მათ მიმართ საერთაშორისო საზოგადოება არის უფრო ობიექტური, ვიდრე საქართველოს მიმართ. საქართველოშიც, როგორც ჩანს, რეჟიმი ნელ-ნელა ნიღბის ჩამოხსნას იწყებს, რასაც მხოლოდ და მხოლოდ მივესალმებით. ბენდუქიძის განცხადებები ეს იყო, რა ვიცი, ფაშისტური გერმანიის რომელიმე ოპერშიუვერს შეშურდებოდა.



***— რას აპირებს თქვენი პარტია?***

— ჩვენი პარტია აპირებს, რომ გააგრძელოს უკომპრომისო ბრძოლა რეჟიმის წინააღმდეგ, ეს იქნება მასობრივი აქციებით თუ მცირერიცხოვანი აქციებით. დღეს ბრძოლის ხაზი გადის იმაზე, დავანახვოთ ხელისუფლებას, თუ რამდენ ადამიანს არ ეშინია და აქვს ბრძოლის გაგრძელების უნარი. ჩვენ ფიზიკურად ამ რეჟიმს ვერ დავამარცხებთ, ეს სრულიად აშკარაა. მე სხვადასხვა პარტიებივით არ ვამბობ, რომ ჩვენ რაღაც ჯგუფები გვყავს და ამ რეჟიმს ძალის გამოყენებით ან თუნდაც იარაღით დავამარცხებთ, ჩვენ ამას არავის არ ვპირდებით. ჩვენ ეს რეჟიმი უნდა დავამარცხოთ ფსიქოლოგიურად. სანამ ამ ქვეყანაში იარსებებენ ადამიანები, რომლებიც გამოვლენ და თავიანთ პროტესტს დააფიქსირებენ, თუნდაც ისინი დააკაონ და დააპატიმრონ, მანამ ეს რეჟიმი საფრთხეშია და ყველა ავტორიტარული რეჟიმი დაიმარხა ზუსტად ასე, დისიდენტების მიერ მოწყობილი პროტესტის გზით და არა სამხედრო გადატრიალებების გზით.

***— ზაფხულია, პოლიტიკურად მკვდარი სეზონი იწყება და როგორც წესი, ამ პერიოდში პოლიტიკოსები ნაკლებად აქტიურობენ ხოლმე და ეს ხელისუფლებას ძალების აღდგენის საშუალებას ხომ არ მისცემს?***

— გააჩნია, ვინ როგორ. მე ვფიქრობ, რომ პოლიტიკურად საკმაოდ ცხელი ზაფხული გველის. შეიძლება ეს არ იგრძნობოდეს ღიად, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი დგას საქართველოს ისტორიაში და მე ვფიქრობ, ოპოზიციის არაკომფრომისტულ ნაწილს დასვენებისთვის არ ეცლება. საქმე იმდენია, საბრძოლველი იმდენია, რომ ვისაც საქმე აქვს, ის წელს ნამდვილად ვერ დაისვენებს და ვინც დაისვენებს, ის, როგორც ჩანს, არც რაიმე სერიოზული პასუხისმგებლობებით დატვირთული არ არის.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# ოპოზიცია ხორცის გაძვირებამ აღაშფოთა

ნანა მიშელაშვილი



**საპარლამენტო ოპოზიცია ხორცის გაძვირებამ აღაშფოთა. ქრისტიან-დემოკრატები სოფლის მეურნეობის მინისტრის ბაკურ კვეზერელის თანამდებობიდან წასვლას მოითხოვენ, ჯონდი ბაღათურია კი მიიჩნევს, რომ საქონლის ხორცი კორუმპირებულმა კლანებმა ხელოვნურად გააძვირეს.**

ბაკურ კვეზერელის თანამდებობიდან წასვლის შესახებ მოთხოვნის დაყენება ოპოზიციას პარლამენტში ჯერ არ შეუძლია, რადგან ეს საკითხი სხდომაზე ერთხელ უკვე დადგა და ჩავარდა. ჯერ 3 თვე არ არის გასული, რაც ქრისტიან-დემოკრატებმა ბაკურ კვეზერელის თანამდებობიდან წასვლა მოითხოვეს, მაგრამ საკითხი კენჭისყრაზე ჩავარდა. 3 თვის მანძილზე დეპუტატებს უფლება აღარ აქვთ, ერთი და იგივე მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი დასვან. მიუხედავად ამისა, ოპოზიციას კვეზერელის მიმართ პრეტენზიები კვლავ აქვს და დაკავებული თანამდებობიდან მის წასვლას მოითხოვს.

„ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია საქონლის ხორცის გაძვირებას აპროტესტებს. ბაღათურიას განცხადებით, თუ საქართველოს პარლამენტმა ის კანონი არ შეცვალა, რომელიც თბილისში საქონლის ხორცით მომარაგებას ეხება, დედაქალაქში საქონლის ხორცის ფასი 40 ლარამდე გაიზრდება, რაც მოსახლეობას შიმშილობის ზღვარზე მიიყვანს და სოციალური აფეთქება გარდაუვალი იქნება.

ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, საქართველოს პარლამენტმა მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და აამოქმედოს ძველი კანონი, რომლის საფუძველზეც ხორცის მომწოდებლებს საშუალება მიეცემათ, თბილისი ხარისხიანი ხორცით მოამარაგონ, რაც თბილისის სავაჭრო ქსელებში დეფიციტს აღმოფხვრის და ფასებიც დაბლა დაიწევს.

— საქონლის ხორცი კორუმპირებულმა კლანებმა ხელოვნურად გააძვირეს. ეს გამოიწვია პარლამენტის გადაწყვეტილებამ, რამაც ხელი შეუწყო მონოპოლიის დაწესებას და ხორცის მომწოდებლები დაავალდებულა სავაჭრო ქსელში მხოლოდ თბილისთან ახლოს მდებარე ორი სასაკლაოდან შემოიტანონ ხორცი. ეს ბიზნესი, რა თქმა უნდა, რომელიმე კორუმპირებულ ჩინოვნიკს ეკუთვნის, — მიაჩნია ჯონდი ბაღათურიას.

დეპუტატის თქმით, არ შეიძლება პარლამენტმა დააწესოს ისეთი მონოპოლიური სისტემა, რომელიც ხორცის მომწოდებლებს კაბალურ სიტუაციაში აყენებს და მოსახლეობას აზარალებს.

რაც შეეხება „ქრისტიან-დემოკრატებს", ისინი სასურსათო ბაზარზე შექმნილი ვითარების გამო სოფლის მეურნეობის მინისტრის ბაკურ კვეზერელის თანანმდებობიდან გადაყენებას მოითხოვენ.

ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანი იხსენებს, რომ პარლამენტში სტუმრობისას ბაკურ კვეზერელი დეპუტატებს და მოსახლეობას არწმუნებდა, რომ ხორცის ფასი 10 ლარს არ გადააჭარბებდა, თუმცა, ერთი კილოგრამი ხორცის დღევანდელი ღირებულება 17 ლარამდე მერყეობს.

— მინისტრი გვპირდებოდა, რომ ხორცზე დეფიციტი არ შეიქმნებოდა, გაზაფხულის გადაგორების შემდეგ, ბაზარზე შექმნილი მდგომარეობა გამოსწორდებოდა და ხორცის ფასიც სტაბილური გახდებოდა. ქართულ ბაზარზე შექმნილი ვითარება, იმას გულისხმობს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო არასწორ პოლიტიკას ატარებს, რის გამოც მინისტრმა პოსტი უნდა დატოვოს, — განაცხადა ახვლედიანმა. □ „ქრისტიან-დემოკრატების" თავმჯდომარე ქართულ ბაზარზე არსებული მონოპოლიაზეც საუბრობს და ამბობს, რომ მოვაჭრეს საშუალება არ აქვს, ხორცი გლეხისგან შეიძინოს.

— ხორცით ბაზარი მხოლოდ სასაკლაოებიდან მარაგდება, სადაც ხორცის საკმარისი რაოდენობა არ არის, რის გამოც პროდუქტზე დეფიციტი შეიქმნა. მოსახლეობას ხორცის ყიდვის საშუალება არ აქვს. მონოპოლიაა არა მარტო ხორცის ბაზარზე, არამედ ყველა სფეროში. ხელისუფლებას ვერ გავაგებინეთ, რომ კონკურენტუნარიანი გარემო უნდა შეიქმნას, — ასეთია ახვლედიანის პოზიცია.

ფრაქციის თავმჯდომარის თქმით, სოფლის მეურნეობას ბაკურ კვეზერელი მართავს, რომელსაც არა აქვს იმის ცოდნა და უნარი, რომ ქვეყანაში აგრარული სექტორი განავითაროს და წინ წაწიოს.

საპარლამენტო უმრავლესობამ კვეზერელი სამთავრობო დებატებისას ერთხელ უკვე გადაარჩინა. მარტში, სწორედ მმართველი ფრაქციის მხარდაჭერის გამო ვერ მიაღწია ოპოზიციამ კვეზერელის თანამდებობიდან წასვლას. კვეზერელი თანამდებობას ახლაც შეინარჩუნებს, რადგან მის მიმართ პრეტენზიები მმართველი გუნდს ჯერჯერობით არ გამოთქვამს. ამდენად, ზაფხულის პერიოდს კვეზერელი გადააგორებს და მინისტრის სავარძელს შეინარჩუნებს.

# როგორი იქნება რუმინეთის პოლიტიკური მხარდაჭერა საქართველოს მიმართ?

ნანა მიშელაშვილი



**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე რუმინეთის სენატის თავმჯდომარე მირჩა ჯოანას შეხვდა. შეხვედრისას პარლამენტის თავმჯდომარეებმა რუმინეთისა და საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს.**

— რუმინეთი რჩება საქართველოს მხარდამჭერად ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე. ჩვენ ვფიქრობთ, საქართველოსთან დაკავშირებით შევიმუშაოთ იგივე პოლიტიკა, რაც რუმინეთს მოლდოვასთან აკავშირებს, — განაცხადა მირჩა ჯოანამ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ რუმინულ მხარეს მადლობა გადაუხადა 2010 წელს სენატის მიერ ერთხმად მიღებული საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციისთვის.

— ეს იყო საქართველოსთვის ძალიან ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერა და მნიშვნელოვანი სიგნალი ჩვენი ქვეყნისთვის, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

შეხვედრაზე მხარეებმა ასევე ისაუბრეს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების და ენერგო დივერსიფიკაციის მნიშვნელობაზე. გადაწყდა, რომ შეიქმნება რუმინეთისა და საქართველოს პარლამენტში ერთობლივი კომიტეტი, რომელიც აქტიურად იმუშავებს საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე.

დავით ბაქრაძემ შეხვედრები გამართა რუმინეთის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარესთან რობერტა ანასტასესთან და პარლამენტებს შორის არსებული მეგობართა ჯგუფის ხელმძღვანელთან მარიუს ნეკოლაისთან. შეხვედრებზე საუბარი შეეხო პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების საკითხებს. ხაზი გაესვა სატრანსპორტო გადაზიდვების სფეროში ახალი პროექტის განხორციელებას, რომელიც გაზრდის ტვირთბრუნვას და შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს.

— შემოდგომით, დაგეგმილია ბიზნეს ფორუმი, სადაც ერთობლივი ეკონომიკური პროექტები იქნება განხილული, — აღნიშნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

დავით ბაქრაძემ სენატის თავმჯდომარე და დეპუტატთა პალატის სპიკერი საქართველოში დაპატიჟა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ რუმინეთის სენატში კომიტეტების გაერთიანებულ შეხვედრაზე დეტალურად ისაუბრა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში არსებულ ვითარებაზე და კონფლიქტის მოგვარების სახელმწიფო სტრატეგიაზე. შეხვედრაზე ალინიშნა, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებში რუმინეთს განსაკუთრებული როლი ეკისრება. ამიტომ რუმინეთის პოლიტიკური პოზიცია ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების საკითხში ძალზე მნიშვნელოვანია.

— რუმინეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და საერთაშორისო ორგანიზაციებში გაატარებს საქართველოს მხარდამჭერ პოლიტიკურ პოზიციას, — ალინიშნა შეხვედრაზე.

რუმინეთის სენატში გამართულ შეხვედრაზე დავით ბაქრაძემ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების შესახებ ისაუბრა. აღინიშნა, რომ რუმინეთის სენატისა და საქართველოს პარლამენტის კომიტეტების თანამშრომლობა მნიშვნელოვანი იქნება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე რუმინეთის საპატრიარქოსა და ანთიმოზ ივერიელის სახელობის მონასტერსაც სტუმრობდა. სასულიერო პირებთან შეხვედრისას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რუმინეთსა და საქართველოს არა მხოლოდ პოლიტიკური თანამშრომლობა, არამედ ისტორიული და რელიგიური ერთიანობა აკავშირებს. დავით ბაქრაძემ ანთიმოზ ივერიელის სახელობის მონასტერს საჩუქრად ღვთისმშობლის ხატი გადასცა.

საქართველოს პარლამენტის დელეგაციაში უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი, დეპუტატი პაატა ლეჟავა და ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე იმყოფებიან.

რუმინეთიდან 8-10 ივნისს დავით ბაქრაძე სამუშაო ვიზიტით ლონდონში გაემგზავრება. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე თემთა პალატის თავმჯდომარეს ჯონ ბერქოუს შეხვდება. ასევე დაგეგმილია შეხვედრა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, უილიამ ჰაგთან. საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია შეხვედრებს გამართავს დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის საგარეო და თავდაცვის კომიტეტების თავმჯდომარეებთან.

# სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ განცხადებები განცხადებად რჩება

სოფლის მეურნეობის ექსპერის პაატა კოღუაშვილის განცხადებით ევროკავშირმაც კი აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ ხელისუფლების განცხადებები მხოლოდ დაპირებებად რჩება და რეალური სამუშაობი არ ხორციელდება.

როგორც „მედიანიუსთან" საუბრისას ექსპერტმა აღნიშნა, სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელობის შესახებ პრეზიდენტის განცხადებებიდან უკვე რამდენიმე თვე გავიდა და ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, არადა სტრატეგიის გარეშე წარმოუდგენელია რამის გაკეთება.

— ამის გამო საქართველო ევროკავშირმაც გააკრიტიკა და აღნიშნა, სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ ხელისუფლების განცხადებები მხოლოდ განცხადებებად რჩება. ის, რომ ხელისუფლება განცხადებების მიღმა აგდებით უყურებს სოფლის მეურნეობის მნიშვნელობას, და ვალდებულების მიზნით აკეთებს საქმეს, კოოპერაციის პროექტის დანერგვის მაგალითიც კმარა. ჩემი მოთხოვნის მიუხედავად, თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროექტის ფარგლებში, კოოპერაციის პროექტი მხოლოდ სამ სოფელში — ზემო, ქვემო ნიქოზსა და ხვითში დაიწყეს. ის საპილოტე პროექტის სახით წამოიწყეს, როცა შესაძლებელი იყო უფრო ფართო მასშტაბით განხორციელებულიყო. ამის გამო სერიოზული კონფლიქტი მომიხდა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, რის გამოც დავტოვე ეს ჯგუფი, — აღნიშნა ექსპერტმა.



მისი თქმით, პრობლემა კიდევ ისაა, რომ კოოპერაციული გაერთიანებისადმი გლეხების ნდობა დაბალია და ხელისუფლება არც ამ მიმართულებით მუშაობს.

— დღეს კოპერატივი გლეხების აზროვნებაში კოლმეურნეობასთან იგივდება , რაც დიდი შეცდომაა. ამაზე უნდა იმუშაოს ხელისუფლებამ და მედიამ. კოოპერატივი ეს არის დასავლური ფორმა იმისთვის, რომ გლეხი საკუთარი მოსავლის ფასს თვითონ განსაზღვრავდეს, თვითონ იყოს წამყვანი ძალა და არა გადამამუშავებელი საწარმოების მფლობელთა რამდენიმეკაციანი ჯგუფი. მათ უნდა გაიგონ, რომ გლეხია მთავარი და გლეხის გაძლიერებას უნდა დაეხმარონ, თორემ ჩვეულებრივი მონოპოლიზებული სამეწარმეო სისტემა გვქენება, რაც სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს ნამდვილად ვერ შეუწყობს. გორის რაიონში მეწარმემ გლეხებისგან იჯარით მიწა აიღო და ამ მიწაზე თვითონ გლეხებს ამუშავებს დაქირავებულ მუშებად. ასე ქვეყნის აგროსისტემას ვერ განავავითარებთ. გლეხს უნდა მივცეთ ყველა საშულება, ხელმისაწვდომი კრედიტი, ტექნიკა, აგროსერვისი და.ა. შ, რომ თვითონ მოიყვანოს, დაამუშაოს და გაყიდოს პროდუქტი, ხოლო გადამმუშავებლებს და რეალიზატორებს მომსახურებაში ფული გადაუხადოს, — განაცხადა მედიანიუსსთან„ საუბრისას პაატა კოღუაშვილმა.

**მედიანიუსი**

# ნიკა გილაური მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური სამუშაო ვიზიტით ავსტრიაში გაემგზავრა. ნიკა გილაური ევროპისა და ცენტრალური აზიის საკითხებისადმი მიძღვნილ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობას მიიღებს.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ავსტრიის კანცლერს ვერნერ ფრიმანს, ყირგიზეთის პრეზიდენტს როზა ოტომბაევას, მონტენეგროს (ჩერნოგორია) პრემიერ-მინისტრს იგორ ლუკშიჩსა და პოლდმან შაცჰს Iნტერნატიონალ-ის მმართველს ალექს ფონ სპონეკს შეხვდება.

**მედიანიუსი**

# კვირის ბოლოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით წვიმაა მოსალოდნელი

კვირის ბოლოდან საქართველოს მთელს ტერიტორიაზე წვიმიანი ამინდებია მოსალოდნელი.

როგორც „მედიანიუსს" გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მოკლევადიანი პროგნოზების განყოფილებაში განუცხადეს, ხვალ და ზეგ ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე უნალექო ამინდი შენარჩუნდება და ტემპერატურაც 30 გრადუსამდე აიწევს. თუმცა, 11 ივნისიდან კვლავ გაწვიმდება და ტემპერატურაც შედარებით დაიკლებს.

— დასავლეთ საქართველოში ამინდი 11, ხოლო აღმოსავლეთში 12 ივნისიდან გაუარესდება. დასავლეთან შედარებით ძლიერი ნალექი იქნება აღმოსავლეთ საქართველოში. შესაძლებელია სეტყვაც, რაც განპირობებულია დასავლეთიდან შემოსული ნოტიო ჰაერის მასებისა და აღმოსავლეთიდან შემოსული ცხელი ჰაერის მასების ურთიერთქმედებით, — განაცხადა გარემოს ეროვნული სააგენტოს მოკლევადიანი პროგნოზების განყოფილების უფროსმა დოდო გვაზავამ.

მისი თქმით, წვიმიანი ამინდები დასავლეთ საქართველოში 14, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 15 ივნისამდე შენარჩუნდება. ზოგიერთ რეგიონში მოსალოდნელია ცვალებადი მიმართულების 10 15 მეტრ/წამის სიჩქარის ქარი.

სინოპტიკოსები ნალექის ინტენსივობის შემცირებას 16 ივნისიდან ვარაუდობენ, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში საღამოს და ღამის საათებში კვლავ იწვიმებს.

**მედიანიუსი**

## „დემოკრატიული მოძრაობის" ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე დააკავეს

„დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერ ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მისი პარტიის ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე ზაზა ჩიკვილაძე სამართალდამცველებმა ავტობუსის გაჩერებაზე უმისამართოდ გინების ბრალდებით დააკავეს.

პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ამ ფაქტს ხელისუფლების მიერ ჩადენილი მორიგში სამარცხვინო ქმედება უწოდა.

— ტერორი გრძელდება. ავტობუსის გაჩერებაზე დააკავეს ჩვენი პარტიის ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე ზაზა ჩიკვილაძე, რომელსაც სრულიად აბსურდული ბრალდება წაუყენეს. სამართალდამცველების მტკიცებით, იგი გაჩერებაზე იდგა და უმისამართოდ იგინებოდა. ალბათ, სახელისუფლებო უწყებებში რომ ჰყავთ ისეთი ადამიანები, რომელსაც ფსიქიატრიული მკურნალობა ესაჭიროებათ, ჰგონიათ, რომ „სახალხო კრებაშიც" ასეთები არიან, — განაცხადა ბურჯანაძემ.

**მედიანიუსი**

## თბილისს ევროკავშირის ახალი სამსახურის წარმომადგენელი ეწვია

გუშინ საქართველოს ევროკავშირის ევროპულ საგარეო ქმედებათა სამსახურის სპეციალური წარმომადგენელი მიროსლავ ლაიჩეკი ეწვია.

ეს რეგიონში ამ სამსახურის წარმომადგენლის პირველი ვიზიტია.

— ამ ვიზიტს განვიხილავთ, როგორც ევროკავშირის პოლიტიკურ მხარდაჭერას. მეორე მხრივ, მოხარულნი ვართ, რომ ახალი სტატუსით ჩამოსულ ლაი ჩეკისთვის, რომელიც არის რუსეთის, აღმოსავლეთ სამეზობლოსა და დასავლეთ ბალკანეთის საკითხებში ამ სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის გაცნობის საშუალება მოგვეცემა, განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ.

მიროსლავ ლაიჩეკის ვიზიტი საქართველოში 9 ივნისს დასრულდება **მედიანიუსი**

## შვეიცარია ყველა ატომურ ელექტროსადგურს დახურავს

შვეიცარიის პარლამენტის ქვედა პალატამ დღეს მხარი დაუჭირა კანონპროექტს დროთა განმავლობაში ყველა ატომური ელექტროსადგურის დახურვის შესახებ. ინფორმაციას ამის შესახებ „ფრანს-პრესი" ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ოთხივე ატომური ელექტროსადგური 2034 წლისთვის დაიხურება.

კანონპროექტს მხარი 101-მა დეპუტატმა დაუჭირა, საწინააღმდეგო აზრი 54-ს ჰქონდან, 30-მა კი თავი შეიკავა. კანონპროექტის მიღების მოწინააღმდეგეების თქმით, ატომური ელექტროსადგურების დახურვა ელექტროენერგიის საფასურის მკვეთრ ზრდას გამოიწვევს, ასევე, მათი აზრით, ქვეყანა უფრო მეტად დამოკიდებული გახდება გაზის უცხოურ მომწოდებლებზე.

ატომურ ელექტროსადგურებში ქვეყნის მოსახლეობის სამყოფი ელექტროენერგიის 40% გამოიმუშავებენ, დარჩენილი ნაწილი კი ჰიდროელექტროსადგურებში მიიღება.

**ინტერპრესნიუსი**

## 15 ივნისიდან მოსკოვი-სოხუმის საავტობუსო რეისები დაინიშნება

ოკუპირებულ აფხაზეთსა და რუსეთს შორის უკვე საავტობუსო მარშრუტებიც დაინიშნა. 15 ივნისიდან მოსკოვსა და სოხუმს შორის რეგულარული საავტობუსო მიმოსვლა დაიწყება.

რუსული მედიის ცნობით პირველი რეისი 15 ივნისს შესრულდება. მგზავრობის ღირებულება დაახლოებით 2 500 რუსული რუბლი იქნება.

შეგახსენებთ, რომ აქამდე საქართველოს ოკუპირებულ რეგიონსა და რუსეთს შორის რეგულარული მიმოსვლა მატარებლით , საჰაერო და საზღვაო გზით ხორციელდებოდა. აღნიშნულ სატრანსპორტო გზების რეაბილიტაციაზე რუსეთი მილიონობით რუბლს ხარჯავს. **მედიანიუსი**

## დღეს დედოფლისწყაროში ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებზე იმსჯელებენ

პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი დღეს გასვლით სხდომას დედოფლისწყაროში გამართავს.

პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, განხილვის მთავარი თემა ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები და აზერბაიჯანის ქართული დიასპორა იქნება. მოხსენებით კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ წიკლაური გამოვა.

**მედიანიუსი**

# ზონდერებმა 1000-ლარიანი პრემიები მიიღეს

ქეთი ხომერიკი



— ჟურნალისტები, ქალები და ასაკოვანი ხალხი გაატარეთ, ხოლო მამაკაცებს სასტიკად სცემეთ, — აი, ბრძანება, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა მინისტრმა მერაბიშვილმა პრეზიდენტ სააკაშვილის დავალებით გასცა და მისმა ერთგულმა ზონდერბრიგადებმა და სპეცრაზმელებმა თვალის დაუხამხამებლად შეასრულეს, მეტიც, „ვანოს ბიჭებმა"□აქაოდა მწვანე გვაქვს ანთებულიო, გადააჭარბეს კიდეც. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ზოგიერთმა მათგანმა შეფის ბრძანებასაც კი გადაუხვია, ყურად არ იღო და ჟურნალისტებს, ქალებს და ასაკოვან ხალხს, მათ შორის, მოზარდებსაც სასტიკად გაუსწორდა და უმოწყალოდ სცემა. კერძოდ კი, შეგახსენებთ, რომ სასტიკად ნაცემი არიან გაზეთ „ასავალ-დასავალის" და სხვადასხვა მედიასაშუალებების ჟურნალისტები, ასევე არაერთი ქალი დემონსტრანტი, რომლებმაც ვინაობის გამხელისაგან თავი შეიკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, აქციის მონაწილე რამდენიმე ქალბატონს სპეცრაზმელებმა, არა მარტო სცემეს, არამედ გააუპატიურეს კიდეც. ტვინის შერყევა აქვს ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძეს და მის მეუღლეს, ჟურნალისტ დიანა ხოფერიას და რომელი ერთი შეიძლება ჩამოვთვალოთ, 26 მაისს დაზარალებულ და ნაწამებ ადამიანთა სია საკმაოდ დიდია. შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებს და მმართველი გუნდის წარმომადგენლებს, რომ ჰკითხოთ ჩვენი, „საამაყო" პოლიცია კანონის ფარგლებში მოქმედებდა და ძალის გადამეტებას ადგილი არ ჰქონია. ასევე საპირისპიროზე მეტყველებს რამდენიმე დღის წინ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტიც, რომელშიც აქციის დაშლის პროცესში და მას შემდეგ ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტების ზოგადი ანალიზია მოცემული. „პოლიციის თანამშრომლებმა და სპეცრაზმის დანიშნულების წევრებმა 26 მაისს, აქციის დაშლის დროს სავარაუდოდ, არასრულწლოვანი წიხლებით და ხელკეტებით სცემეს".

— რუსთაველის გამზირზე, კინოთეატრ „რუსთაველთან" სავარაუდოდ არასრულწლოვანი გადადის ტრანსპორტის სავალ ნაწილზე. მას შემოეხვია ათეულობით სპეცრაზმელი, რომლებმაც სავარუდოდ, არასრულწლოვანი შუაში მოიქციეს, წააქციეს, ხელკეტებით და წიხლებით სცემეს. ვიდეო მასალაში აშკარად ჩანს, რომ სავარაუდო არასრულწლოვანი პირი პოლიციას წინააღმდეგობას არ უწევს, — ნათქვამია დოკუმენტში.

საია განმარტავს, რომ ბავშვთა უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტით იკრძალება ბავშვის მიმართ არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობა. ბავშვის უფლებათა კომიტეტი №13 ზოგად კომენტარში აღნიშნავს, რომ ეს აკრძალვა, უპირველეს ყოვლისა, პოლიციას და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს ეხება. დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ 26 მაისს, აქციის დაშლის დროს, სპეცრაზმის წევრები მანიფესტანტებს ხელკეტს ურტყამდნენ მაშინაც კი, როცა მათგან არავითარი საფრთხე არ მომდინარეობდა.

— იყო შემთხვევები, როდესაც ძალის გამოყენება ხდებოდა იმ დემონსტრანტების მიმართ, რომლებიც არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდნენ სპეცდანიშნულების რაზმს. ზოგიერთ შემთხვევაში საპროტესტო აქციის მონაწილეებს ხელკეტს ურტყამდნენ მაშინ, როცა მათგან არათუ არავითარი საფრთხე არ მომდინარეობდა, არამედ ისინი პოლიციის ეფექტური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ, — ნათქვამია 19-გვერდიან დოკუმენტში.

იქვე აღნიშნულია, რომ სპეცდანიშნულების რაზმი რეზინის ხელკეტს იყენებს ყველა იმ პირის მიმართ, ვინც იმყოფება საპროტესტო აქციის დაშლის ადგილას. დოკუმენტში ნათქვამია, რომ სპეცრაზმელთა ქმედების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ისინი გამოედევნენ ან ზურგიდან მიეპარნენ მანიფესტანტებს, რომლებიც რუსთაველის გამზირიდან თავის დაღწევას ცდილობდნენ და ხელკეტს ურყამდნენ.

— ასევე გვხვდება შემთხვევები, როდესაც რამდენიმე სპეცრაზმელი ურტყამს ძირს წაქცეულ მომიტინგეს, — წერია საიას მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში. ამაზე მმართველ გუნდში ალბათ იტყვიან, საიას ეს ყველაფერი დაესიზმრაო. ფაქტია, სპეცრაზმელების უმრავლესობამ აქციის მონაწილეები სასიკვდილოდ გაიმეტა, მეტიც, მათ ხელკეტებს, რეზინის ტყვიებს და მუშტებს რამდენიმე ადამიანის სიცოცხლეც კი შეეწირა. გარდაცვლილთა ზუსტი რაოდენობა ამ დრომდე უცნობია. როგორც ამბობენ, მსხვერპლი გაცილებით მეტია. ამასთანავე „კონსერვატორ", დღესდღეისობით პოლიტპატიმარ ლაშა ჩხარტიშვილის თქმით, დაახლოებით 26 ადამიანია დაკარგული. შინაგან საქმეთა სამინისტროში კი დღემდე ურცხვად აცხადებენ, რომ 26 მაისის აქციის დაშლის შედეგად არც ერთი ადამიანი არ დაკარგულა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ის სპეცრაზმელები, რომლებიც საკუთარ თანამოქალაქეებს გამეტებით ურტყამდნენ, ამ დროს უკლებლივ ყველა თავის მსხვერპლს შემდეგს უმეორებდა — რა გინდოდა აქციაზე, არ გიყვარს ჩვენი პრეზიდენტი, არა? ბურჯანაძეს პუტინის ფულებს როგორ ართმევდი, შე სამშობლოს მოღალატევ და ნინოს რაო? ძალოვანთა უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ მანიფესტანტები აქციაზე რუსეთის დავალებით იდგნენ და შესაბამისად, სახელმწიფო გადატრიალებასაც პუტინის მითითებით გეგმავდნენ. თუმცა რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მერაბიშვილის უწყებაში ნორმალური ადამიანებიც მუშაობენ. „ახალი თაობის"□ ინფორმირებული წყაროს თქმით, საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა ნაწილმა ბრძანება არ შეასრულა და დემონსტრანტები, რომლებიც მათ წინააღმდეგობას არ უწევდნენ და პრინციპში, იქ არც არავინ უწევდა მათ წინააღმდეგობას, არ სცემა. სხვათა შორის, ზოგიერთი პოლიციელი რომ ნამდვილად ასე მოიქცა, ეს არაერთმა ლიდერმა, მათ შორის, ლუკა კურტანიძემაც დაადასტურა პრესასთან საუბრისას. კინოთეატრ „რუსთაველში" უამრავი ადამიანი დამესია, ადგილი არ დამრჩენია, სადაც ხელკეტი არ მომხვდა. მერე ხელბორკილები დამადეს და კიდევ ერთხელ დაუნდობლად გაიარ-გამოიარეს ჩემზე. ამის შემდეგ თავისუფლების მოედანზე ჩამიყვანეს უნიღბო ბიჭებმა. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ ჩემ გვერდით, გავეშებული ადამიანები, რომლებიც სახეს ნიღბებით მალავდნენ, ცოცხალს არ დამტოვებდნენ და შეიძლება მეც სადმე მკვდარი სახურავზე ან მტკვარში აღმოვჩენილიყავი, — აღნიშნა კურტანიძემ. აი, სწორედ იმის გამო, რომ საპატრულო პოლიციამ დემონსტრანტებს არ სცემა, ხელმძღვანელი შეუცვალეს. ამათ ისეთი ხელმძღვანელი სჭირდება, რომელიც ჭკუაზე მოიყვანს და შენ სხვაგან გადაგიყვანთო, დაახლოებით ასეთი რამ უთქვამთ გეგეჭკორისთვის, — გვიყვება წყარო. და გეგეჭკორი საპატრულო სამსახურის ხელმძღვანელის პოსტიდან შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსის პოსტზე გადააბრძანეს.

თუ ვინ დაიკავებს საპატრულო პოლიციის უფროსის თანამდებობას, ამ დრომდე უცნობია. შსს-ს გენინსპექციის ყოფილი შეფი ვასილ სანოძე კი შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ დაინიშნა. იურისტთა ნაწილი თვლის, რომ გეგეჭკორი დააწინაურეს, ნაწილი კი საპირისპირო აზრზეა, თუმცა საპატრულოს, თუ გენისპექციის შეფი იქნება გეგეჭკორი საზოგადოებისთვის დიდად არც არაფერს ცვლის.

დღეს 8 ივნისია, სისხლიანი 26 მაისიდან უკვე ორი კვირა გავიდა, თუმცა არც ერთი ის ძალოვანი, რომლის მხრიდანაც გადამეტებული ძალის გამოყენებას ჰქონდა ადგილი, არ დასჯილა და სავარაუდოდ, არც დაისჯება. ბუნებრივია, უწყება, რომელმაც ბრძანება თავადვე გასცა ამის შემსრულებელ თავის ერთგულ თანამშრომლებს არ დასჯის და, რა თქმა უნდა, არც გამოძიებას ჩაატარებს. აქ ხომ ორჯერ ორი ოთხია და რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ, იგივე გაერომ, ევროკავშირმა, ასევე ჩვენმა ე.წ. კონსტრუქციულმა ოპოზიციამ ქართული პოლიციის ძალის გადამეტების ფაქტებზე არც შსს-ს და არც პროკურატურა საქმეს არ აღძრავს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა 26 მაისის ტრაგიკულ მოვლენებზე ასეთი რამ განაცხადა: „როცა გაფრთხილება მიიღეს, რომ დაშლილიყვნენ, კეთილი უნდა ენებათ და დაშლილიყვნენ. მოვუწოდებ ყველას, მომავალში თუ ასეთი რამ კვლავ მოხდება, კეთილი ინებონ და დაემორჩილონ პოლიციას. იმის გათვალისწინებით, რომ 26 მაისის ღამეს ცოტა ადამიანი აღმოჩნდა საავადმყოფოში და არც ერთი ადამიანის სიკვდილი პირდაპირ ან ირიბად არ იყო პოლიციის ქმედების შედეგი, საერთო ჯამში, აქციის დაშლის ოპერაციამ სტანდარტების შესაბამისად ჩაიარა". მოკლედ, ერთი დღე არ აცოცხლოს მერაბიშვილი თავისი სპეცრაზმელების, ხოლო სპეცრაზმელები თავიანთი საყვარელი მინისტრის გარეშე.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი მინისტრი, მას ჩვენი დაბადების დღე არასდროს ავიწყდება, გვირეკავს და გვილოცავს ხოლმე, ვანო მაგარია... აი, ამას იმეორებენ გამუდმებით გამჭვირვალე პოლიციაში მომუშავე პოლიციელები, — გვითხრა ღიმილით ჩვენმა ინფორმირებულმა წყარომ. და ბოლოს, 26 მაისის აქციის დარბევაში გამგეობის კუნთმაგარი თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ და ზონდერების მსგავსად ისინიც სისასტიკით გამოირჩეოდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველა მათგანს, ისევე როგორც სპეცრაზმელებს 1000-ლარიანი პრემიები ჩაახუტა.

## გერმანიაში იკოლის ბაქტერიით ინფიცირების შემთხვევები კლებულობს

გერმანიის ჯანდაცვის მინისტრის დენიელ ბარის განცხადებით, გერმანიას „ეკოლის" ბაქტერიის ეპიდემიამ უკვე გადაუარა.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად აღნიშნული ბაქტერიით ინფიცირების შემთხვევები კვლავ ფიქსირდება, ინფიცირებულთა რიცხვი კლებულობს.

— ეპიდემიამ, რომელმაც უკვე 24 გერმანელის სიცოცხლე იმსხვერპლა, პიკური პერიოდი უკვე გადაიარა, — განაცხადა ბარმა.

შეგახსენებთ, ეპიდემია 2 მაისს დაიწყო, რის შედეგადაც ევროპაში ათასობით ადამიანი დაინფიცირდა.

მოსახლეობა ჯერ კიდევ თავს იკავებს ბოსტნეულის შეძენისგან, რის გამოც ევროპაში ბოსტნეულის მწარმოებელმა ფირმებმა უკვე მილიონობით ევროს ზარალი განიცადეს. **მედიანიუსი**

## „წინააღმდეგობის მოძრაობა" უფლებადარღვევების შესახებ ცხელი ხაზის შექმნის ინიციატივით გამოდის

„საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა" ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ცხელი ხაზის შექმნის ინიციატივით გამოდის. შესაბამისი განაცხადება დღეს მედიაკავშირ „ობიექტივის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა სოსო მანჯავიძემ გააკეთა.

— აუცილებელია გაკეთდეს ცხელი ხაზი 911-ის პრინციპით, რომელიც იმუშავებს 24 საათიანი რეჟიმში. ცენტრში თავს მოიყრის სხვადასხვა უფლებადარღვევების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ვაცნობებთ ყველა უფლებადამცველ ორგანიზაციებსა და საერთაშორისო დიპლომატიურ კორპუსს, — განაცხადა მანჯავიძემ და დასძინა, რომ ცხელი ხაზის მეშვეობით მიღებული ინფორმაცია ასევე, ცნობილი გახდება საზოგადოებისათვის.

**მედიანიუსი**

## აშშ რუსეთს კასპიის რეგიონში კონკურენციას არ გაუწევს

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური დესპანის ევრაზიის ენერგეტიკის საკითხებში რიჩარდ მორნინგსტარის განცხადებით, აშშ არ არის დაინტერესებული კასპიის რეგიონის ენერგეტიკული რესურსებით.

ამის შესახებ გუშინ ბაქოში, კასპიის ნავთობისა და გაზის კონფერენციაზე გამართულ ბრიფიგზე აშშ-ს წარმომადგენელმა რიჩარდ მორნინგსტარმა განაცხადა.

— ჩვენ ღიად ვაცხადებთ აშშ-ს სტრატეგიას კასპიის რეგიონთან დაკავშირებით. მე მომავალ კვირას გავმართავ მოლაპარაკებებს მოსკოვში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, — აღნიშნა მორნინგსტარმა.

მისი თქმით, აშშ მხარს უჭერს რეგიონში „სამხრეთ დერეფნის" საექსპორტო მარშრუტს, რომლის საშუალებითაც ბუნებრივი აირი კასპიის რეგიონიდან რუსეთის გვერდის ავლით ევროპას მიეწოდება.

— ასეთი მრავალფეროვანი მარშრუტები ჩვენი მთავარი სტრატეგიაა. აზერბაიჯნის შაჰ დენიზის გაზი იქნება მნიშვნელოვანი წყარო სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნისთვის. ჩვენ მხარს ვუჭერთ ასევე „ნაბუკოს" პროექტს, — განცხადა მორნინგსტარმა. **მედიანიუსი**

შედით საიტზე atb.ge



# ხელისუფლების დაუოკებელი სურვილია, აკონტროლოს ყველა მედიასაშუალება

შორენა კოწოწაშვილი



მოძრაობა „სოლიდარობა უკნონო პატიმრებს“ დამფუძნებელი ეკა ბესელია „მედიაპალიტრას“ სოლიდარობას უცხადებს და იმედოვნებს, რომ შემოწმება, რომელსაც შემოსავლების სამსახური „მედიაპალიტრის“ სტრუქტურებში ატარებს, გეგმიური ხასიათისაა და არაფერი აქვს საერთო თავისუფალ მედიაზე ზეწოლასთან.

— იმედია, ჟურნალისტებს პროფესიული საქმიანობის შესრულებაში ხელი არ შეეშლებათ და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები კანონის ჩარჩოებს არ გაცდებიან, — ნათქვამია ეკა ბესელიას მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ითვალისწინებს რა სააკაშვილის და მისი ხელისუფლების დამოკიდებულებას და ინტერესებს დამოუკიდებელ მედიასაშულებებთან მიმართებაში, იმედს გამოთქვამს, რომ ხელისუფლება თავის დაუოკებელ სურვილს მოთოკავს და ამ „გეგმიურ“ შემოწმებას „მედიაპალიტრაზე“ თავისი გავლენის მოხდენისთვის არ გამოიყენებს.

— სოლიდარობას და მხარდაჭერას ვუცხადებთ „მედიაპალიტრას“ და ნებისმიერ მცდელობას თავისუფალ მედიაზე გავლენის მოხდენას და ან დასჯას დაუშვებლად მივიჩნევთ. ხელისუფლებას ბევრი ბერკეტი აქვს თავისუფალ მედიაზე ზეწოლის განხორციელების და ერთ-ერთი ასეთი „გეგმიური შემოწმების“ პრაქტიკაა, რომლის ქვეშ შესაძლოა სხვა განზრახვა იმალებოდეს. საზოგადოება ფხიზლად უნდა იყოს ასეთი შემთხვევების დროს და შეასრულოს შემაკავებელი როლი, რათა ხელისუფლების დაუოკებელი სურვილი — აკონტროლოს ყველა მედიასაშუალება, მიღწეული არ იქნეს, — აცხადებს ეკა ბესელია.

## კონტროლის პალატის მუშაობის შედეგად ბიუჯეტში 44 მილიონი ლარის დაბრუნება მოხდა

კონტროლის პალატის ეფექტური მუშაობისა და მათ მიერ გაწეული რეკომენდაციების საშუალებით საქართველოს ბიუჯეტში 44 მილიონი ლარის დაბრუნება მოხდა, რაც გასული წლის მაჩვენებლთან შედარებით ორჯერ უფრო მეტია. ამის შესახებ კონტროლის პალატის ტავმჯდომარემ ლევან ბეჯაშვილმა განაცხადა გუშინ, ბათუმში საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა და კონტროლის პალატის დროებითი საპარლამენტო კომისიის ერთობლივი სხდომაზე.

კონტროლის პალატის თავმჯდომარემ შეხვედრის მონაწილეებს 2010 წლის ანგარიში წარუდგინა.

საუბარი შეეხო ყველა იმ სფეროს, რომელშიც აუდიტის შედეგად დარღვევები აღმოაჩინეს, ეს არის სოციალური სფერო, ჯანდაცვა და უმაღლეს სასწავლებლებში დაფიქსირებული ფინანსური დარღვევები.

გასვლით სხდომას საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, მათი განცხადებით, აუცილებელია კონტროლის პალატის მიერ დადებული დასკვნა პარლამენტს რეაგირებისათვის აუდიტის შემდეგ დაუყოვნებლივ გადაეცეს.

ამ დრომდე კონტროლის პალატა ანგარიშს წელიწადში მხოლოდ ორჯერ წარადგენდა. კანონმდებლების განცხადებით, კონტროლის პალატის დოკუმენტი მზად არის პლენარულ სესიაზე გასატანად.

**პრაიმ-ნიუსი**

# სოსო ჯაჭვლიანი იზოლატორში დააბრუნეს

შორენა კოწოწაშვილი

წარმომადგენლობითი სახალხო კრების წევრი სოსო ჯაჭვლიანი, რომელიც 26 მაისს, გამთენიისას რუსთაველზე განვითარებული მოვლენების დროს დააკავეს, რესპუბლიკური საავადმყოფოდან კვლავ მცხეთის იზოლატორში გადაიყვანეს.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, სოსო ჯაჭვლიანმა მცხეთის იზოლატორში პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადა. სპეცრაზმელების მიერ ნაცემი ჯაჭვლიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა თანდათან გართულდა და ის რესპუბლიკურ საავადმყოფილში გადმოიყვანეს.

„სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელი ეკა ბესელია ორი დღის წინ შეეცადა სოსო ჯაჭვლიანის საავადმყოფოში მონახულებას, მაგრამ პოლიციელებმა, რომლებიც ჯაჭვლიანის პალატასთან იდგნენ, ამის საშუალება არ მისცეს. როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, ეკა ბესელიას ჯაჭვლიანის ნახვის და პალატაში შესვლის სპეციალური ნებართვა ჰქონდა, როგორც საადვოკატო საქმიანობის სპეციალური ნებართვის მქონე პირს.

— ეს არის კანონის უხეში დარღვევა, დაცვის უფლების იგნორირება და პოლიციელების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, რაც დასჯადი ქმედებაა, — განაცხადა ეკა ბესელიამ და შესაბამისი უწყების მხრიდან რეაგირება მოითხოვა ამ კონკრეტულ ფაქტზე.

ეკა ბესელიამ ზემოთ აღნიშნულ უკანონობასთან დაკავშირებით საქმის კურსში ჩააყენა სახალხო დამცველიც.



იგი ისევ შიმშილობს

აღსანიშნავია, რომ გუშინ სოსო ჯაჭვლიანის მეუღლის ირმა ჯაჭვლიანის მიერ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სოსო ჯაჭვლიანი რესპუბლიკური საავადმყოფოდან კვლავ მცხეთის იზოლატორში იქნა გადაყვანილი.

გადაყვანის პროცესი 7 ივნისს, ღამით განხორციელდა. ოჯახი წინააღმდეგია ჯაჭვლიანის მცხეთის იზოლატორში დაბრუნების, რადგან ის კვლავ შიმშილობს და ეს მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს.

— პირადად მე ექიმთან გასაუბრების საშუალება არ მომეცა. გადაწყვეტილება დილიდან იყო მიღებული. ექიმს ხელი ჰქონდა მოწერილი განცხადებაზე, თითქოს სოსო ჯაჭვლიანი უკვე კარგადაა და სისტემიდან მოხსნილია. ჩემი ქმარი შიმშილობას არ წყვეტს და მოსალოდნელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ გაუარესდეს, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ირმა ჯაჭვლიანმა.

ჯაჭვლიანის ინტერესების დამცველი ადვოკატი მას მცხეთის იზოლატორში კვლავ მოინახულებს და საჭიროების შემთხვევაში წარმომადგენლობითი სახალხო კრების რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანას მოითხოვს.

შეგახსენებთ, რომ სოსო ჯაჭვლიანს საქალაქო სასამართლომ პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და დაუმორჩილებლობისთვის ერთი თვით პატიმრობა შეუფარდა.

# ხელისუფლებას მოვუწოდებთ, კანონით იმოქმედონ

შორენა კოწოწაშვილი

**„ახალი მემარჯვენეები“ მოუწოდებენ ხელისუფლებას, ხელი აიღოს „მედიაპალიტრის“ დატერორების მცდელობისაგან.**

როგორც საზოგადოებისთვის მცობილია, „მედიაპალიტრაში“ შემოსავლების სამსახურმა არაგეგმიური შემოწმება დაიწყო. ამ ფაქტმა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში გარკვეული შიში გააჩინა, რადგანაც კარგად არის ცნობილი ის მეთოდები, რომელსაც სააკაშვილი და მისი გუნდი ე.წ. ურჩი ან არასახელისუფლო მედიასაშუალების მოსარჯულებლად იყენებს.

პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“ აცხადებს, რომ აღნიშნული ქმედება ხელისუფლების მიზნებთან დაკავშირებით სერიოზულ ეჭვებს ბადებს.

— თავისთავად საგადასახადო შემოწმება სახელმწიფოს შესაბამისი სამსახურის ჩვეულებრივი ფუნქციაა, მაგრამ თავისუფალ სიტყვასთან, მედიის დამოუკიდებლობასთან და ბიზნესის თავისუფლებასთან მიმართებაში სააკაშვილის რეჟიმის შელახული რეპუტაციის შემოწმების მასშტაბის და მოულოდნელი ხასიათის გამო საზოგადოებამ ეს ფაქტი ლოგიკურად აღიქვა, როგორც მცდელობა დააშანტაჟოს და ხელი შეუშალოს ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ და ობიექტური მედიასაშუალების წარმატებული ბიზნესჯგუფის საქმიანობას, — აღნიშნულია „ახალი მემარჯვენეების“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამასთან ახალი მემარჯვენეები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება კვლავ ადგას თავისუფალი მედიის ტერორისა და მისი შანტაჟის გზას. ოპოზიციურ პარტიაში აცხადებენ, რომ მოვლენებს წინ არ გაუსწრებენ და თავს შეიკავებენ საბოლოო შეფასებისგან.

ახალი მემარჯვენეების წევრები ხელისუფლებას მოუწოდებენ, კანონის ფარგლებში იმოქმედონ და მაქსიმალურად თავი შეიკავონ ისეთი ქმედებისაგან, რომელიც ხელს შეუშლის ჰოლდინგის საქმიანობას.



## ირაკლი ალასანია — ბოლომდე ვიქნებით სიმართლის მთქმელი მედიის გვერდში

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია „მედიაპალიტრაში“ შემოსავლების სამსახურის მიერ აუდიტის მიმდინარეობას გუშინ კიდევ ერთხელ გამოეხმაურა და ამ პროცესს საგანგაშო უწოდა.

როგორც ალასანიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, „თავისუფალი დემოკრატების“ გადმოსახედიდან ეს პროცესი ხდება ზუსტად იმიტომ, რომ „მედიაპალიტრის“ მიერ ობიექტურად შუქდებოდა ქვეყანაში განვითარებული მოვლენები. ასევე ის, რაც მოხდა 26 მაისს რუსთაველის გამზირზე.

ალასანიამ მნიშვნელოვანი უწოდა საზოგადოების, არასამთავრობო სექტორისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების დღევანდელ სოლიდარობასა და მხარდაჭერას.

— მინდა, ჩემი მხრივ, ვთქვა, რომ ბოლომდე ვიქნებით სწორედ სიმართლის მთქმელი მედიის გვერდით. იმიტომ, რომ ეს შესაძლებელს გახდის საქართველოში პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას და წარმატების მიღწევას იმ საზოგადოებისთვის, რომელსაც უნდა ფუნდამენტურად დემოკრატიული გახდეს. ამ კუთხით კი „მედიაპალიტრას“ დიდი წვლილი შეაქვს ქვეყანაში, — განაცხადა ალასანიამ.

**ინტერპრესნიუსი**

## მიხეილ სააკაშვილი გუბერნატორებს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მარტვილში გუბერნატორებსა და მთავრობის წევრებს შეხვდა.

პრეზიდენტმა გუბერნატორებისგან მოისმინა ინფორმაცია სტიქიის შედეგად რეგიონებისათვის მიყენებულოი ზარალისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების შესახებ.

მცხეთა-მთიანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის, ცეზარ ჩოჩელის განცხადებით, სტიქიის შედეგად მცხეთა-მთიანეთი განსაკუთრებულად დაზარალდა. ჩოჩელის ინფორმაციით, ორ კვირაში აღდგება ის ინფრასტრუქტურა, რაც წყალდიდობის შედეგად დაზიანდა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, რამაზ ნიკოლაიშვილის განცხადებით, კახეთში, ქვემო ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში ცხრა ხიდი დაზიანდა და სარეაბილიტაციო სამუშაოები სამ კვირაში დასრულდება.

კახეთის გუბერნატორის, გიორგი ღვინიაშვილის ინფორმაციით კი, გადაუღებელმა წვიმებმა სასოფლო-სამეურნეო მიწები დატბორა. სეტყვამ კახეთში 500 ჰექტარი ვენახი გაანადგურა, განადგურებულია ასევე ხეხილი და ბაღჩეულობა„, — განაცხადა ღვინიაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**



# თბილისში ახალი მაგისტრალი აშენდება



ვაკისა და საბურთალოს მიმართულებით მოძრაობის სრულად განტვირთვის მიზნით, თბილისის მერია ვაკე საბურთალოს შემაერთებელ გზაზე სამუშაოების მეორე ეტაპს იწყებს.

თბილისის მერიის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, პროექტის ფარგლებაში ახალი მაგისტრალიდან იყალთოს მთის გავლით (გვირაბით) თამარაშვილის ქუჩამდე 1 800 მეტრიანი მონკვეთი აშენდება.

ამჟამად გვირაბის გაჭრის სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის სიგრძე 204 მეტრია, სიმაღლე — 5 მეტრი და სიგანე 10,5 მეტრი; ასევე გაკეთდება ბახტრიონის ქუჩასთან შემაერთებელი კვანძი, ვერეს ხევის მაგისტრალიდან გვირაბამდე მისასვლელი გზა და მოეწყობა შესაბამისი საინჟინრო კომუნიკაციები. სამუშაოები 2011 წლის ბოლოს დასრულდება და აღნიშნული მონაკვეთის გავლით მოსახლეობა უმოკლესი მარშრუტით გადაადგილდება.

გვირაბის სამშენებლო სამუშაოებს დღეს, თბილისის მერი გიგი უგულავა გაეცნო.

თბილისის მერია 2012 წელს ვერეს ხეობის გავლით, ჭავჭავაძის გამზირიდან (მეცხრე საავადმყოფოს მიმდებარედ) რამიშვილის ქუჩასთან დამაკავშირებელი 5 000 მეტრი სიგრძის საგზაო მონაკვეთის მშენებლობას დაიწყებს. სამუშაოები 2012 წლის ბოლოს დასრულდება და ვაკე საბურთალოს დამაკავშირებელი მაგისტრალი დასრულებულ სახეს მიიღებს, რაც ქალაქის ამ მონაკვეთზე მოძრაობას სრულად განტვირთავს. კომუნიკაციების მოწესრიგებისა და ტერიტორიის გამწვანების შემდეგ, ვერეს ხეობა თავისი ინფრასტრუქტურით, უნიკალური გახდება, როგორც ტრანსპორტით მოძრავი, ისე ფეხით მოსიარულეთათვის.

— თბილისში მეტეხის გვირაბის შემდეგ, ასეთი მასშტაბური მშენებლობა არ წარმოებულა. სამუშაოებს ქართული კომპანია აწარმოებს, რაც მისასალმებელია, იმიტომ, რომ, ეს გვაძლევს შესაძლებლობას ადგილზე გვქონდეს ის კადრები, რაც აუცილებელია ჩვენი ქვეყნისა და ქალაქის ინფრასტრუქტურული განვითარებისათვის. ამ გვირაბის მშენებლობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. როდესაც გაკეთდა ახალი მაგისტრალი, მან რეალურად განტვირთა ჭავჭავაძისა და პეკინის ქუჩები. ამ მთის ქვეშ 204 მეტრიანი გვირაბი კეთდება, რომელიც ბახტრიონის კვანძს და მთელ საბურთალოს დააკავშირებს ამ მაგისტრალს. ადამიანს შესაძლებლობა ექნება, ყაზბეგის გამზირიდან გვირაბის გავლით 2-3 წუთში იყოს ჭავჭავაძის ცენტრში. 2012 წელს კი დაემატება ის ნაწილი, რომელიც ამ ახალ ტრასას დააკავშირებს ჭავჭავაძის ნაწილს. ამით ყველაზე გადატვირთული უბნებს — ვაკეს და საბურთალოს, რომლებიც გაშენებულია მდინარე ვერეს ხეობის გასწვრივ, დაახლოებით 20-30 წელიწადი არანაირი ინფრასტრუქტურული სიახლე არ დასჭირდება. მანქანების რაოდენობის გაზრდის მიუხედავად, ეს ახალი ინფრასტრუქტურა მოგვცემს შესაძლებლობას შეუფერხებელი მოძრაობისთვის. დარწმუნებული ვარ, ეს მნიშვნელოვანი სიახლე იქნება და ერთი ათად გააუმჯობესებს თბილისელების მოძრაობას ქალაქის ამ მონაკვეთში, — განაცხადა უგულავამ.

**პრაიმ-ნიუსი**

# მოკვდა თუ არა ბაღაფში თავისი სიკვდილით?

თეა მარხვაი ე

როგორც პარლამენტის სპიკერი ნუგზარ აშუბა განმარტავს, აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის 26 აგვისტოს ჩატარდება. სერგეი ბაღაფში 29 მაისს გარდაიცვალა. სიკვდილის სამი თვის თავზე, უკვე ყველას ეცოდინება მისი შემცვლელის ვინაობა.

საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც 26 აგვისტო აირჩიეს აფხაზებმა. იმიტომ ხომ არა, რომ 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება მოახდინა.

არჩევნების თარიღი უკვე დანიშნულია. ამდენად, აფხაზებს ახლა ყველაზე მეტად ის აინტერესებთ, ვინ იყრის კენჭს, ვინ ვის გაურიგდება და ვისზე გააკეთებს ფსონს კრემლი.

წინასაარჩევნო განწყობაზე მყოფ აფხაზებს არანაკლებად აინტერესებთ ბაღაფშის სიკვდილის საიდუმლო. ოფიციალური ვერსიით, ის ვერაგმა დაავადებამ — კიბომ იმსხვერპლა. თუმცა ამის ბევრს არ სჯერა.

ამ ვერსიის არ სჯერათ არც საქართველოში, არც სოხუმში და თვით რუსეთშიც კი. ბაღაფშის სიკვდილთან დაკავშირებით კითხვები რუსულ მედიაში არაერთხელ გაჩნდა. აფხაზთა ლიდერის სიკვდილთან დაკავშირებით ქართველ ექსპერტებსაც აქვთ კითხვები.

### რატომ გაიმეტეს ბაღაფში მეორეხარისხოვანი საავადმყოფოსთვის

კითხვები ექსპერტთა კლუბის წარმომადგენელ ირაკლი ცქიტიშვილსაც გაუჩნდა. მისი თქმით, ბაღაფშის სიკვდილის გარემოებებში საეჭვო ბევრი რამეა.

— ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორ ჯანიანად გამოიყურებოდა აფხაზეთის თავკაცი აპრილის დასაწყისში თურქეთში მოგზაურობის დროს. მაშინ პირველად გაიჟღერა ინფორმაციამ, თითქოს ის სამკურნალოდ იყო იქ ჩასული, თუმცა არც მის სახეზე იკითხებოდა რაიმე ავადმყოფობა და არც მის შეხვედრებში ჩანდა, თითქოს ის იქ მართლაც სამკურნალოდ ყოფილიყოს. შესაბამისად, ეს იქნა აღქმული, როგორც მიზეზი თურქეთში ჩასასვლელად, რაც, და ეს არაა საიდუმლო, ამდენი ხნის განმავლობაში სწორედ თბილისის ხისტი და ანკარას საქართველოსადმი მეგობრული დამოკიდებულების გამო ვერ შედგა. როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძეს ბრიფინგზე ჰკითხეს ჟურნალისტებმა ბაღაფშის თურქეთში ვიზიტთან დაკავშირებით, მანაც ოფიციალური ვერსია გააჟღერა — ბაღაფში სამკურნალოდ იყოო, რაც ბევრს სასაცილოდ მოეჩვენა და არ ითაკილა ასეთი „უკბილო პასუხის“ გამო საგარეო სამინისტრო გაეკრიტიკებინა, — ამბობს ცქიტიშვილი.

ქართველი ექსპერტი იხსენებს მაისის დასაწყისს. იმ პერიოდშიც ბაღაფში მოულოდნელად გაუჩინარდა.

— მაისის დასაწყისში ბაღაფში მოეფარა ჟურნალისტების თვალს. ბევრმა ეს ჩათვალა მისი ჩვეული პოლიტიკის გაგრძელებად — როდესაც აფხაზეთში ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა, ის „იკარგებოდა“, რათა არ გამხდარიყო ამ გარჩევების პოლიტიკური მსხვერპლი. ასე იყო მაშინაც, როდესაც აიბგას საკითხი წყდებოდა და ბაღაფში შვებულებაში „გაიქცა“; ასე იყო მაისის დასაწყისშიც, როდესაც ეკლესიურ გარჩევებს ჰქონდა ადგილი, — მიიჩნევს ქართველი ექსპერტი.

ბაღაფშმა შვებულება მარტში აიღო. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო სოხუმსა და მოსკოვს შორის მოლაპარაკებები. მაშინ გახდა ცნობილი, რომ რუსეთი აფხაზებისგან გაგრას ითხოვდა.

მაისის 15 რიცხვში კი აფხაზეთში დიდი საეკლესიო კრება ჩატარდა, სადაც აფხაზური ეკლესია ორად გაიყო.

ბაღაფშის შესახებ არაფერი იწერებოდა. ცოტა ხანში რუსულ მედიას მისცა მან კომენტარი და თქვა, რომ აფხაზეთს კიდევ რამდენიმე ქვეყანა აღიარებდა. რუსულმა მედიამ მაშინ სასხვათაშორისოდ თქვა, რომ აფხაზთა პრეზიდენტი მოსკოვში სამკურნალო მიზნებით იყო ჩასული. ეს ინფორმაცია პრესაში იმ ცნობილ ოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე გაჟღერდა.

ქართველი ექსპერტი ბაღაფშის გაუჩინარებებთან დაკავშირებით 2008 წლის აგვისტოსაც იხსენებს. როგორც აფხაზეთის მცხოვრებნი ამბობენ, ბაღაფში სამი დღე იმალებოდა სპეცდანიშნულების რაზმის ბუნკერში, როდესაც რუსეთმა დიდი პროვოკაცია მოაწყო საქართველოში 2008 წლის აგვისტოში.

— ასეა თუ ისე, ბაღაფშის გაქრობა ცოტა ვინმემ თუ შეამჩნია. ასე ის ხშირად ჩადიოდა რუსეთში და ატარებდა შეხვედრებს. მის იქ ყოფნას კი ჩატარებული პრესკონფერენციებიდან ვიგებდით ხშირად. ასე იყო ამჯერადაც. არაფერი მოასწავებდა, რომ უცაბედად ბაღაფში აღარ იქნებოდა. 21 მაისს ქართულ მედიასივრცეში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბაღაფში ისრაელში მკურნალობს ონკოდაავადებას. იმავე დღეს უკვე აფხაზურმა მედიამაც გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბაღაფშს გაუკეთდა ოპერაცია მარჯვენა ფილტვზე, ოღონდ მოსკოვში. ისრაელში მკურნალობის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია აფხაზმა ჟურნალისტებმა სასაცილოდ აიგდეს და მორიგ ქართულ პროვოკაციად მონათლეს. თუმცა, როგორც შემდგომ გაირკვა, სულაც არ იყო ეგ ინფორმაცია შორს რეალობისგან, — ამბობს ცქიტიშვილი.

## რატომ არ გაუშვეს იგი ისრაელში ოპერაციის გასაკეთებლად

**გუშინ აფხაზეთის პარლამენტმა საგანგებო გადაწყვეტილება მიიღო. აფხაზი კანონმდებლები რამდენიმე საათს მსჯელობდნენ იმაზე, თუ როდის დაენიშნათ რიგგარეშე არჩევნები. აფხაზეთის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის გადადგომის და გარდაცვალების შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები სამი თვის ვადაში უნდა დაინიშნოს. აფხაზმა კანონმდებლებმა ამ მხრივ ძალიან მოინდომეს და კონსტიტუციით გათვალისწინებული ვადები არ დაარღვიეს.**



ამასთან დაკავშირებით ოპოზიციური გაზეთის „ჩეგემსკაია პრავდას“ მთავარმა რედაქტორმა ინალ ხაშიგმა საინტერესო ცნობები მიაწოდა რუსულ გამოცემა „კომერსანტს“.

არძინბას ყოფილი პრესსპიკერის თქმით, ბაღაფშის ახლობლებსა და მის გარემოცვას უნდოდა, რომ ის სამკურნალოდ სწორედ ისრაელში წასულიყო.

— როდესაც ეს საკითხი წყდებოდა, ბაღაფშს მოსკოვიდან დაურეკა ნიკოლაი პატრუშევმა და შესთავაზა მას მკურნალობა 83-ე კლინიკურ საავადმყოფოში. თავისი წინადადება პატრუშევმა იმით დაასაბუთა, რომ მან თვითონ იქ გაიკეთა ისეთივე ოპერაცია, როგორსაც აფხაზი ლიდერი საჭიროებდა, — განუცხადა „კომერსანტს“ ხაშიგმა.

„კომერსანტის“ ინფორმაციით, მიუხედავად გარემოცვის მცდელობისა, რომ მას უარი ეთქვა, ბაღაფშმა მოსკოვში წასვლა გადაწყვიტა.

ამავე დროს რუსული მედია ავრცელებს ინფორმაციას, თითქოს გერმანიამ უარი უთხრა ბაღაფშს ვიზის გაცემაზე, ხოლო ისრაელმა გამოთქვა მზადყოფნა მიიღოს ბაღაფში და გამოუყოს მას დაცვა და სხვა პრივილეგიები, რაც „უცხო ქვეყნის პრეზიდენტს ეკუთვნის“.

ისრაელის თემას აფხაზი ჟურნალისტი ვიტალი შარიაც გამოეხმაურა. როგორც ის წერს, მას ერთმა საკმაოდ გათვითცნობიერებულმა ადამიანმა უთხრა, რომ მოსკოვში, პირველ ოპერაციამდე, რომელიც მას ქირურგების რუსულ-ფრანგულმა ბრიგადამ ჩაუტარა, ფიქრობდნენ ოპერაციის ისრაელში გაკეთებაზეო.

— თვითმფრინავი უკვე მზად იყო, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრეს: აქაც არანაკლებად გაუმკლავდებიანო, — წერს შარია.

სერგეი ბაღაფშს ოპერაცია მოსკოვის 83-ე კლინიკურ საავადმყოფოში გაუკეთდა. ქართველი ექსპერტის განმარტებით, ეს საავადმყოფო წარმოადგენს „მეორეხარისხოვან“ სამედიცინო დაწესებულებას.

— შედარებისთვის, იური ლუჟკოვი, მოსკოვის ყოფილი მერი, მცირე პრობლემის გამო თირკმლებში გააქანეს კრემლის საავადმყოფოში. ლუჟკოვი აღარავინ არაა, ბაღაფში კი „მოძმე აფხაზეთის პრეზიდენტი“ იყო. რატომ გაიმეტეს ის რიგითი საავადმყოფოსთვის, — კითხულობს ცქიტიშვილი.

მოსკოვური წყაროების მტკიცებით, სერგეი ბაღაფშს ოპერაციაც ნაჩქარევად ჩაუტარდა, არ იქნა ჩატარებული სრულყოფილი გამოკვლევა.

— რუსული და აფხაზური მედიით გავრცელებული დიაგნოზი, რომლის მიხედვითაც მას ჩაუტარდა ოპერაცია, ექიმების აზრით, სულაც არ იყო მომაკვდინებელი და მას უოპერაციოდაც შეეძლო კიდევ 15 წელი ეცხოვრა. ამის გარდა, წყაროები იტყობინებიან, რომ მას შემდეგ, რაც ბაღაფშის ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულდა, კლინიკის ექიმებმა სასწრაფოდ მიმართეს რუსეთის წამყვან მედიკოსებს ამ დარგში. თუმცა უკვე გვიანი იყო. როგორც აცხადებს ინალ ხაშიგი, იმასაც კი ამბობენ, რომ როდესაც ბაღაფში ოპერაციის შემდეგ კვლავ გახდა ცუდად, საავადმყოფოში რეანიმატოლოგებიც კი არ ჰყავდათ. რუსი მედიკოსები პირველ დღეებში გამოთქვამდნენ ვარაუდს, რომ ბაღაფშის ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვია გულისა და ღვიძლის „გათიშვამ“. შემდეგ გაჩნდა ვერსია, რომ შესაძლოა ბაღაფშს კიბო ჰქონდა, რომლის მეტასტაზებმა მთელი ორგანიზმი მოიცვა და გულ-სისხლძარღვთა სისტემა ჩაითრია. ბოლოს და ბოლოს, მეორე დღეს, გაავრცელეს ოფიციალური ვერსია, რომ ბაღაფშს ჰქონდა კიბო, თანაც მესამე სტადიაში. ეს განცხადებები კი პირდაპირ მიუთითებენ იმაზე, რომ ბაღაფშს არ ჩაუტარდა სათანადო გამოკვლევა, რომ ექიმებმა არ იცოდნენ თავიდანვე კიბოს არსებობის შესახებ, რომ ოპერაცია ჩატარებულ იქნა ნაჩქარევად, „მეორეხარისხოვან კლინიკაში“ და, რომ ერთი დღეღამე მოანდომეს იმის მოფიქრებას, თუ რა დაესახელებინათ გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად, — აღნიშნავს ცქიტიშვილი.

ქართული მედია აფხაზურ წყაროებზე დაყრდნობით ჯერ კიდევ 26 მაისს იტყობინებოდა იმის შესახებ, სერგეი ბაღაფშს დაწერილი ჰქონდა განცხადება თანამდებობის დატოვების შესახებ ჯანმრთელობის გაუარესების გამო და, რომ აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში აქტიურად მიმდინარეობდა ბრძოლა ბაღაფშის ადგილის დასაკავებლად. ამის მიუხედავად, ბაღაფშის წარმომადგენელი კრისტიან ბჟანია იტყობინებოდა, თითქოს ეს ტყუილია და ბაღაფში ძალიან კარგად გრძნობს თავს, რომ ის უკვე დადის და მალე დაუბრუნდება თავის სამუშაო ადგილს. ბჟანია ამას იმეორებდა მანამ, სანამ ბაღაფშის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის გავრცელება არ მოუწია.

რუსი ჟურნალისტი მადინა შავლოხოვა წერს, ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში მას მეგობრებმა უთხრეს, რომ ბაღაფში მძიმედაა დაავადებული, ფიქრობენ, რომ კიბო აქვს და ესაჭიროება სასწრაფო ოპერაციაო.

ჟურნალისტი შეეცადა გაეგო, რამდენად შეესაბამებოდა ეს სიმართლეს, თუმცა, როგორც თვითონ აღნიშნავს, ის დააჯერეს, რომ ყველაფერი ტყუილია.

— მაგრამ, თუ ერთი წლის წინ არსებობდა ეჭვი, რომ მას კიბო ჰქონდა, რატომ არ ჩაუტარდა მას ის პროცედურები, რომელიც ასეთ შემთხვევაში ტარდება, მაგალითად, ქიმიოთერაპია?კონსპიროლოგიური თეორიები ბაღაფშის გარდაცვალებასთან დაკავშირებით იხრება რუსეთის მიერ აფხაზი ლიდერის მიზანმიმართულად განადგურების შესახებ. რუსეთის სამთავრობო ეშელონებთან დაკავშირებულ აფხაზურ და ქართულ წრეებში მუსირებს ის აზრი, რომ ბაღაფში მოწამლეს. სავარაუდოდ, მომავალში კიდევ გამოჩნდება მრავალი კონსპიროლოგიური ვერსია, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება რეალური ინფორმაციის არარსებობისა და რუსული ოფიციალური პროპაგანდისადმი აბსოლუტური უნდობლობის გამო. ფაქტი ერთია — ოფიციალურად გაცხადებული არ აღწერს რეალურ სურათს, — მიიჩნევს ირაკლი ცქიტიშვილი.

### რა დაუშავა ბაღაფშმა მოსკოვს

ერთი შეხედვით რუსეთს ბაღაფშის საწინააღმდეგო არაფერი არ უნდა ჰქონოდა. ეს კაცი ყველა თავის გამოსვლაში რუსეთს ერთგულებას ეფიცებოდა. ეს ირაკლი ცქიტიშვილსაც აინტერესებს.

— ბოლო დროს აფხაზეთში საკმაოდ დაიძაბა სიტუაცია. ეს წელი სკანდალებით დაიწყო და ასევე გრძელდება. ჯერ იყო და პრესაში გავრცელდა საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც რუსულ-აფხაზური კომისიის შექმნას ითვალისწინებდა ქონებრივ საკითხთან დაკავშირებით. შემდეგ ისევ ქონებრივი საკითხი ამოტივტივდა, ამჯერად რუსეთისთვის სტრატეგიული ტურისტული და საბჭოთა ჩინოვნიკების სააგარაკე ობიექტების გადაცემას ეხებოდა. მას მოჰყვა კიდევ ერთი სკანდალი — ტერიტორიული. ეს პრობლემა კვლავაც ღიად არის დარჩენილი და სოფელ აიბგას ირგვლივ შეჩერდა მაშინ, როდესაც თავიდან 160 კვადრატულ კილომეტრზე იყო საუბარი. შემდეგ „აფეთქდა“ საეკლესიო ცხოვრება და რუსულ-აფხაზურმა განხეთქილებამ ლამის პიკს მიაღწია. ამას მოჰყვა სანატორიუმ „სოხუმთან“ დაკავშირებული რუსულ-აფხაზური ურთიერთობების გარჩევები, რის შედეგადაც 1300-ზე მეტი ადამიანი უმუშევრად იქნა დატოვებული. აპოგეა კი ბაღაფშის გარდაცვალება გახდა, — ამბობს ცქიტიშვილი.

მისი თქმით, ყველა ამ პროცესში ბაღაფში ცდილობდა, ლავირება მოეხდინა აფხაზური საზოგადოების ინტერესებსა და მოსკოვის მოთხოვნებს შორის.

— ხშირად ახერხებდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, რუსული ინტერესები დროში იწელებოდა და დღემდე განუხორციელებელი რჩებოდა. აფხაზეთის ყოფილი მოსახლეობისათვის ქონების დაბრუნებისა და გაგრის ზონის 160 კვადრატულ კილომეტრთან დაკავშირებით აგორებული სკანდალები გამოწვეულ იქნა აფხაზეთის ხელისუფლებიდან „გაჟონილი ინფორმაციის“ წყალობით. შეიძლება ითქვას, სწორედ ამ „გაჟონვამ“ შეაჩერა ეს პროცესები, რაც გვაფიქრებინებს და ალბათ კრემლშიც ასე ფიქრობენ, მიზანმიმართულად იქნა გაკეთებული, — ამბობს ირაკლი ცქიტიშვილი.

მისი აზრით, ბაღაფშის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში კრემლმა ფაქტიურად ვერ მიაღწია თავის მზაკვრულ მიზნებს — ვერ აიძულა ბაღაფშის ხელისუფლება, რომ რუსი მოქალაქეებისათვის დაეშვა ქონების შეძენის უფლება, ვერ მიიღო უყოყმანოდ თავის საკუთრებაში ყველა ტურისტული ობიექტი, ვერ განახორციელა ოლიმპიური სოჭის აფხაზეთის ტერიტორიის ხარჯზე გაზრდის გეგმა, ვერ შეინარჩუნა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ექსკლუზიური გავლენა ოკუპირებულ რეგიონზე.

— სავაჭროდ ბაღაფშს ნამდვილად ჰქონდა ალიბი — ყველა ამ პროცესს არ უჭერდა მხარს აფხაზეთის მოსახლეობა და იმ მოტივით, რომ ხისტი მოქმედებები აფხაზეთის მოსახლეობის რუსეთისადმი დამოკიდებულებას გააუარესებდა, ბაღაფში აღწევდა რუსეთისთვის ყველა მნიშვნელოვანი, ხოლო აფხაზეთისთვის კი დამღუპველი გადაწყვეტილებების გაჭიანურებას. რა თქმა უნდა, ზოგიერთ საკითხში ბაღაფშს სხვა გამოსავალი არც ჰქონდა, რომ არ დაჰყოლოდა კრემლის ნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უკვე ღიად „გააგორებდნენ“. ასე იყო, მაგალითად, ყოფილ საბჭოთა სახელმწიფო აგარაკებთან დაკავშირებით, როდესაც ბაღაფშმა მიკიბ-მოკიბვის გარეშე პირდაპირ განაცხადა, რომ ვინც რა უნდა თქვას, ის ამ ობიექტებს რუსეთს მაინც გადასცემს, — აღნიშნავს ცქიტიშვილი.

ის იხსენებს აფხაზთა პრემიერის სერგეი შამბას განცადებას, რომელიც მანეკლესიური გარჩევების დროს თქვა.

— მე მქონდა საუბარი რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელობასთან, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, სადაც მე პირდაპირ მითხრეს, რომ ამას ექნება სერიოზული შედეგი და შესაძლოა, არა მარტო ეკლესიური ურთიერთობების სფეროში, — თქვა შამბამ.

ეს კი სწორედ მაშინ იქნა გაცხადებული (13 მაისს), როდესაც ბაღაფში დროებით იყო გამქრალი აფხაზური პოლიტიკიდან. საეკლესიო გარჩევები კი სწორედ ისე დამთავრდა, როგორც მოსკოვს არ სურდა. არის კი ბაღაფშის გარდაცვალება ის „სერიოზული შედეგი“ ან მისი ნაწილი, ერთმნიშვნელოვნად თქმა რთულია, თუმცა კონსპიროლოგიის თეორიაში ამ აზრს ნამდვილად აქვს უფლება თავისი ადგილი ჰპოვოს.ალსანიშნავია, რომ რუსეთისთვის თავისი ინტერესების ასე გაჭიანურება და საკუთარი იმიჯის აფხაზეთის მოსახლეობაში დაკნინება სრულიად მიუღებელია. მას უნდა ყველაფერი და თანაც უცებ. რუსეთს სჭირდება აფხაზეთში ისეთი ადამიანი, რომელიც იმაზე კი არ იზრუნებს, თუ როგორ აუხსნას რუსებს, რატომ ვერ გაატარა მათი ინტერესები, არამედ რომელიც „კარგად აუხსნის“ აფხაზებს, თუ რატომ უნდა გაატაროს რუსეთის ინტერესები და გაატარებს კიდევაც სწრაფი ტემპით.

— თუ დავაკვირდებით სიტუაციას, რუსეთის ხელისუფლებამ ბაღაფშს დაკრძალვაც არ აცალა, ისე სწრაფად დაიწყო მოქმედება. რუსული მედია აჭრელებულია ანალიტიკური სტატიებით, სადაც განიხილება აფხაზეთის მომავალი. თითქოს, ერთი შეხედვით, აფხაზეთი არსად წასვლას და კურსის შეცვლას არ აპირებს. აკი მარიონეტული მთავრობის ხელმძღვანელმა სერგეი შამბამ ბაღაფშის გარდაცვალებიდან მეორე დღესვე შეჰფიცა მოსკოვს ერთგულება, მაგრამ პანიკური განწყობები არ ცხრება. რუსეთის პრემიერმაც ვლადიმირ პუტინმა მიზეზად ბაღაფშის გარდაცვალება გამოიყენა და მომავალ ურთიერთობებზე სასაუბროდ სოხუმს ეწვია, სადაც „პრეზიდენტობის“ მომავალ ორ ყველაზე რეალურ კანდიდატს შეხვდა — შამბასა და ანქვაბს. მან განაცხადა, რომ ცხოვრება გრძელდება და საქმეზე უნდა ვილაპარაკოთო. თანაც დაპირდა ფინანსური დახმარების გაზრდას, მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, შარშან გამოყოფილი თანხის ნახევარიც კი ვერ აითვისა სოხუმმა.თუ კონსპიროლოგიის თეორიას გავყვებით, რუსეთის იმპერიული ინტერესების გატარების დაჩქარება საკმაო მიზეზია იმისათვის, რომ ოფიციალურმა მოსკოვმა ჩამოიშოროს ისეთი ადამიანი, როგორიც ბაღაფშია. მით უმეტეს, თუ მას მიეცა საშუალება, ეს პირდაპირი მოქმედებით კი არა, არამედ „ხელის შეშველებით“ გააკეთოს. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ წინ პუტინ-მედვედევის ტანდემისთვის მეტად მნიშვნელოვანი არჩევნებია, რომელთაც, როგორც წესი, თან დაჰყვებათ სხვადასხვა სახის უცნაურობები, — ამბობს ქართველი ექსპერტი.

შედით საიტზე atb.ge

# ჩვენი საზეიმო თარიღები ტრაგედიასთან, სისხლთან გვაკავშირებს

**ფილმ „აგვისტოს 5 დღის“ პრეზენტაციასთან დაკავშირებით, თბილისში გამართული ღონისძიებების კულტურულ-ესთეტიკურ თავისებურებებსა და იმაზე, თუ როგორ აისახება მისი შედეგები ქართულ კულტურაზე, „ინტერპრესნიუსი“ კულტუროლოგ ლელა იაკობიშვილს ესაუბრა.**



— ქალბატონო ლელა, რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე რეჟისორ რენი ჰარლენის, ჰოლივუდის ვარსკლავების ენდი გარსიასა და შეროს სტოუნის მონაწილეობით ფილმ „აგვისტოს 5 დღის“ გლამურულ-პომპეზურმა პრეზენტაციამ და შემდგომ რუსთაველის თეატრში გამართულმა საქვოლმოქმედო ღონისძიებამ? ფაქტია, რომ ყველა მიღებული ეტიკეტის დაცვით მსგავსი ღონისძიება თბილისში არ ჩატარებულა, ყველაფერი დასავლურის კოპირება-მიბაძვაში ქართველებს უნიჭობას მართლაც ვერავინ დაგვაბრალებს, მაგრამ ხომ არ გადავაჭარბეთ კიდეც რალაც-რალაცეებში, ბევრი ჩვენი მოქალაქე ფილმის პრეზენტაციით გალიზიანდა კიდეც...

— უნდა მოგახსენოთ, რომ პრეზენტაციის მთელი ფორმატი მართლაც შთამბეჭდავი იყო. (მართალია, მე მხოლოდ ტელევიზიით ვნახე და ისიც ფრაგმენტები). უმთავრესი საკითხი კი, ალბათ სხვა გახლავთ. თავად „ევროპული სტანდარტებით“ შესრულებული პრეზენტაცია და პრემიერა სრულიად არაადეკვატური იყო იმ თემის მიმართ, რომელსაც ფილმი ეხებოდა. ამით სულ არ მინდა იმის თქმა, რომ ომის თემაზე გლოვა პერმანენტულ რეჟიმში უნდა გაგრძელდეს, აღარსად აღარ უნდა ამოვისუნთქოთ და გავიხაროთ. მაგრამ ის, რაც გადამღები ჯგუფის ვიზიტისას ხდებოდა, ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ჩვენ ჯერ არ ვართ თვითკმარები, ჩვენ ისევ სხვათა მიმართ ვდგინდებით, ჩვენ ჯერაც ვერ დაგვიძლევია ის კომპლექსი, რომ არასრულფასოვანი სამყაროდან მოვდივართ. ჯერ ჩვენ დანარჩენი სამყაროდან ისევ აღიარებას ველით და ყურადღების მიქცევის ასეთ ხერხებს მივმართავთ. ჩვენ გვინდა, რომ ეკრანის მსოფლიო ვარსკვლავებმა გვაღიარონ, ჩვენ გვინდა, მსოფლიო ზეპურთა მარაქაში და მათ სივრცეში გავერიოთ და, უნდა გითხრათ, რომ აქ დასაძრახიც არაფერია, თუ არა ერთი გარემოება - ეს უცნაური ზარ-ზეიმი სრულიად არაადეკვატურია არა მხოლოდ წაგებული ომის თემის და მისი შედეგების მიმართ, არამედ იმ ვითარების მიმართაც, რაშიც დღევანდელი საქართველოა - წაგებული ომი, დაკარგული ტერიტორიები, სიდუხჭირე და სიბეჩავე საქართველოს მოსახლეების უმრავლესობისა; შიდა პოლიტიკური დაპირისპირება და 26 მაისის მოუშუშებელი ტკივილები.

ერთი უცნაური რამე გვჭირს. ჩვენი ე. წ. საზეიმო თარიღები ტრაგედიასთან და სისხლთან გვაკავშირებს და ველარ მივმხვდარვართ, რა გვჭირს, დუმილი ჯობია, თუ - ზეიმი. ზეიმით იმის გადაფარვა გვინდა, რაც არ გვინდა რომ გვახსოვდეს, არადა, სწორედ ზეიმი გვახსენებს მომხდარს და არაადეკვატურები ვხდებით, გროტესკულები, ტრალი-კომიკურები. აი, ეს არის ჩვენი დრამა და თითოეულ ჩვენგანს ეხება, გამონაკლისის გარეშე, რადგან ზოგი ამ დრამის ავტორია, ზოგი - შემსრულებელი, ზოგიც

— გულანთებული მაყურებელი. თვითშეფასების უნარი ყველას დაკარგული გვაქვს - ამ ყოველივეს ავტორსაც და “დადებითად“ თუ “უარყოფითად“ მაყურებელ-შემფასებელსაც. ეს არის, რასაც ვგრძნობთ და მოდის ის კითხვა, რომელიც დამისვით: ხომ არ გადავაჭარბეთ რალაც-რალაცეებში?

— ემოციურად, მართლაც შთამბეჭდავი იყო რენი ჰარლენის მიერ თბილისის აეროპორტში ქართული მიწის კოცნა; ენდი გარსიასა და სხვათა მხრიდან საქართველოსადმი სიყარულისა და პატივისცემის გამოხატვა. სტუმართა მხრიდან ქართულ ჭაჭაზე, ხინკალსა და ხაჭაპურზე საუბრებმა უნებლიედ, წარსულში რუსი ხელოვანების მხრიდან მსგავსი, ასევე, გულისამაჩუყებელი ტექტსები გამახსენა; დრომ კი დაგვანახა, რომ რუს ხელოვანთა უმრავლესობა გულწრფელი არ ყოფილა. რენი ჰარლენის, ენდი გარსიასა და მომხიბვლელი შერონ სტოუნის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს, მაგრამ ჩვენი კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობების გამოცდილების ხალხი სხვათა მიმართ ზედმეტად ხომ არ ვავლენთ ხბოს აღტაცებას და საკუთარ შესაძლებლობებში თავდაუჯერებულობის დეფიციტს...

— მადლობის მეტი რა გვეთქმის, თუ ვინმე ჩვენს მიმართ მაღალ მგრძნობელობას გამოამჟღავნებს, მით უფრო, თუ მათი მხრიდან ეს სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვაა. ერთი ფაქტია, ადამიანებს, მით უფრო არტისტებს (ხელოვნების მსახურთ) როცა ამგვარ პომპეზურ დახვედრას უწყობ, უნებლიედ თავს ვალდებულად მიიჩნევს, ხაზი გაუსვას, რომ შეამჩნია, როგორც თქვენ ბრძანებთ, ჩვენი “ხბოს აღტაცება“ და გამოხატოს იმ ფორმებით, რომლითაც მას ხელეწიფება. მეორე მხრივ, ესეც რომ არა, ეთიკეტი მოითხოვს მისგან გარკვეულ ქცევას. ძნელად წარმომიდგენია ადამიანი, ვინც უცხო კულტურაში მიწვევით ჩავა და იმ კულტურის კერძებს დაიწუნებს, იმ ქალაქს დაიწუნებს, სადაც ასე შეხვდნენ, მით უფრ, არც არაფერი სჭირს დასაწუნი არც ხაჭაპურსა და არც - თბილისს. კიდევ ვიმეორებ - ეს არტისტის ემოციური ჟესტი იყო. ძნელად წარმომიდგენია რომელიმე ქვეყნის პოლიტიკოსმა და ოფიციალურმა პირმა ეს გააკეთოს. რაც შეეხება რუს ხელევანებთან პარალელს, მათაც ალბათ ასე ხვდებოდნენ ქართველი ხელისუფალნი. ამიტომ მე გამიჭირდებოდა რუსი ან ამერიკელი ხელოვანების არაგულწრფელობაზე მეთქვა რამე. ეს სიტუაციური ემოციური პასუხია განცდილ შთაბეჭდილებებზე, რომელიც შესაძლოა, სულაც არ ცვლის შენს მიმართ იმ ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესს, რომელსაც ისინი წარმოადგენენ.

— ყველაფერი ჰოლივუდის სტანდარტებით განხორციელდა, რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ფილმის შემდეგ საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში შესაძლოა, ახალი ეტაპიც კი დაიწყოს. თქვენ ამას წინათ ბრძანეთ — “ჩვენ გვაქვს როგორც ფიზიკური, ისე ინფორმაციული ტერორის განცდა“. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის „ზეწოლამ“ კულტურაზეც ჰპოვოს ასახვა?

— ეგ ძნელი წარმოსადგენია. კულტურა თავად გახლავთ რეჟიმი და დეტერმინანტთა სისტემა. ის თავად კარნახობს პირობებს ხელოვნებასაც, პოლიტიკასაც და ყოფასაც. ამ სფეროში განმგებელი პოლიტიკოსი და პოლიტიკა არ გახლავთ. კულტურშემოქმედება ერთი მხრივ სოციალური სხეულის თვისებაა, მეორეს მხრივ კი ერთეულ შემოქმედთა ძალისხმევის შედეგი და პროდუქტია. ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ განსაზღვრავდა ილია ჭავჭავაძის ან თუნდაც ნიცშეს დაბადებას. მათ საკუთარი შემოქმედებითი ნებით შეცვალეს სოციალური სივრცე. ასეთების დაბადება- არდაბადება მხოლოდ ღვთის ნებაა. ენერგეტიკული ველი, რომელიც შემოქმედის შექმნილი და შესაქმნელია, სოციალური სხეულისთვის მზამზარეული სასიცოცხლო სივრცეა, რომელსაც აითვისებს და გაითავისებს, რომელშიც დაბინავდება, როგორც საკუთარში, ამიტომ აქვს სოციალურ სხეულს ასეთი იდენტობა შემოქმედისადმი. რას შეეხება იმას, რომ ზეწოლამ შესაძლოა, კულტურაზეც ჰპოვოს ასახვა, ეს სრულიად შესაძლებელია. თუმცა, ქმედება შობს ტოლსა და საწინააღმდეგო უკუქმედებას. ამიტომაც რეპრესიული კულტური ეპოქის შემომქმედები არიან თომას მანი, მიხეილ ბულგაკოვი და სხვანი.

— ამას წინათ თქვენ გამოთქვით მოსაზრება, რომ “ჩვენ შემთხვევამ გვარგუნა, აღმოვჩენილიყავით დასავლური იდეოლოგიის სივრცეში, მაგრამ დასავლეთისგან ვერ შევძელით დასავლური ძალაუფლების სტრუქტურაში გარკვევა და ჰორიზონტალური ურთიერთობების, ანუ ისეთი ურთიერთობების ათვისება, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმთავრესი კანონის დაცვაა“. ვითარებაში, როცა დასავლეთის ქვეყნებში დემოკრატია კულტურის ნაწილია, ხოლო ჩვენ საკმაოდ შორს ვართ, როგორც დასავლური ტიპის დემოკრატიისგან, ასევე დემოკრატიული ცხოვრების წესისგან, რამდენად სავარაუდოა, რომ ქვეყანაში დასავლური ფასეულობების დამკვიდრება სწორედ დასავლური კულტურის დამკვიდერებით გახდეს შესაძლებელი?

— კულტურა სრულიად თვითმკმარი რამ გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ ღიაა სხვა კულტურებისთვის, იმდენად არის თვითმყოფადი, რამდენადაც ავტონომიურად შეუძლია შეინარჩუნოს შემოქმედებითი მუხტი. ის, რაც მის სივრცეში შემოდის, მხოლოდ იმდენად ხდება მისი ნაწილი, რამდენადაც იდენტურია შემოსული ნაკადის მიმართ. რაც შეეხება ევროპული დემოკრატიისთვის ჩვეულ ჰორიზონტალურ კომუნიკაციას, ჩვენ აქ ძალიან გაგვიჭირდა, რადგან ჯერჯერობით უცხო აღმოჩნდა ქართული სამყაროსათვის. ამას, რა თქმა უნდა, თავისი ისტორიული მიზეზიც აქვს. დასავლეთში დემოკრატია, როგორც ცხოვრების წესი, გაჩნდა მაშინ, როცა მეფის ინსტიტუტი თავად სოციალურმა ორგანიზმმა ჩაანაცვლა არჩევანის (არჩევნების) ინსტიტუტით. ეს პერიოდი კი, ჩვენთვის ისტორიული წყვეტის პერიოდია. უკანასკნელი ორი საუკუნე ისე გავიდა, რომ მეფის ინსტიტუტის გაუქმება სულაც არ უდრიდა ვერტიკალური ძალაუფლების რღვევას, პირიქით. ჰორიზონტალური კომუნიკაცია, ჩვენს გამოცდილებაში არ ყოფილა. ამიტომაც ხელისუფალსაც უჭირს და რიგით ადამიანსაც, ამოიღოს მსგავსი გამოცდილება საკუთარი გენეტიკური მეხსიერებიდან.

ჰორიზონტალური კომუნიკაციის, როგორც ახალი პარადიგმატული სიცრცის ათვისებას, ჩვენი კულტურა მხოლოდ ახლა იწყებს და ფაქტია, რომ უჭირს. ამიტომ არის, რომ ქვეყანაზე პასუხისმგებლობას ერთ ადამიანს, კერძოდ პრეზიდენტს ავკიდებთ-ხოლმე და ისიც დიდებულად იფერებს ქვეყნის მბრძანებლის სტატუსს. არც ჩვენ გვინდა პასუხისმგებლობის აღება და არც ხელისუფალს დელეგირება. შედეგი კი ისეთია, როგორიც არის. ჩვენ სამი პრეზიდენტის მმართველობა გამოვცადეთ და სამივე შემთხვევაში ერთ წრეზე ვტრიალებთ. ძალიან მნიშვნელოვანია, აითვისებს თუ ვერა ქართული კულტურა ჰორიზონტალური კომუნიკაციის მექანიზმებს; იპოვის თუ არა საკუთარი კულტურის სხეულში ასეთი კომუნიკაციის მიმართ მგრძნობიარე წერტილებს. დღეს ეს დროისა და ეპოქის გამოწვევაა და მხოლოდ ის იქნება ინდიკატორი, თუ როგორ მონაწილეობს საქართველო მსოფლიო საკომუნიკაციო სისტემაში და არა ის, ჰოლივუდის რომელ ვარსკვლავს რამდენად პომპეზურ დახვედრას მოვუწყობთ.

**ინტერპრესნიუსი**

## „მედიაპალიტრის“ მუშაობა არ შეაფერხოთ!

ტელეკომპანია „კავკასია“ „მედიაპალიტრას“ სოლიდარობას უცხადებს.

როგორც ტელეკომპანიის განცხადებაშია აღნიშნული, იმედოვნებენ, რომ შემოსავლების სამსახურის მოულოდნელი შემოწმების მიზანი ჰოლდინგის მუშაობის პარალიზება არ არის.

— თუმცა, ქართული რეალობა და ბოლო წლების გამოცდილება ამ იმედის საფუძველს არ გვიტოვებს. ჩვენ მოვალეობად ვთვლით, ჩვენს მაყურებელს მუდმივად მივაწოდოთ დეტალური ინფორმაცია „მედიაპალიტრის“ შემოწმების პროცესში საგადასახადო სამსახურების ყოველი ქმედების შესახებ, ტელეკომპანია „კავკასიის“ ყველა თანამშრომელი კი პირად მოვალეობად მიიჩნევს, გამოხატოს სოლიდარობა კოლეგების მიმართ, — ნათქვამია განცხადებაში.

ტელეკომპანია ხელისუფლებას მოუწოდებს, დაიცვას კანონი და მედიაჰოლდინგის მუშაობა არ შეაფერხოს.

— ვფიქრობთ, ჩვენი საზოგადოების ყოველი წევრის ღირსების საკითხია, არ დაუშვას დამოუკიდებელი მედიასაშუალებების მიმართ ხელისუფლების ზეწოლა. იმედი გვაქვს, ყველა ერთად შევძლებთ დავიცვათ სიტყვის თავისუფლების ის მცირე კუნძულები, რომლებიც ქვეყანაში ჯერ კიდევ შემორჩა, — აღნიშნულია „კავკასიის“ განცხადებაში.

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა „მედიაპალიტრის“ ექვს სხვადასხვა სტრუქტურაში არაგეგმური შემოწმება გუშინ ერთდროულად დაიწყო, დაილუქა რამდენიმე ობიექტი, ზოგიერთ მათგანზე ამ დროისთვის ლუქი დროებით მოხსნილია.

**ინტერპრესნიუსი**

## ცესკო საზოგადოებრივ საკონსულტაციო საბჭოს მორიგ შეხვედრას გამართავს

ცენტრალური საარჩევნო კომისია ხვალ საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს მორიგ შეხვედრას გამართავს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ცესკო-დან აცნობეს, შეხვედრაზე ცესკოს თავმჯდომარე საბჭოს წევრებს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულ საქმიანობებს გააცნობს. ასევე, იმსჯელებენ საარჩევნო ადმინისტრაციის სამომავლო გეგმებზე.

შეხვედრას დაესწრებიან საკონსულტაციო საბჭოს წევრები - საარჩევნო საკითხებში ჩართული პოლიტიკური პარტიების, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიასაშუალებების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები.

საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა.

**ინტერპრესნიუსი**

## პარლამენტის წინ ქალების აქცია გაიმართება

სხვადასხვა პროფესიის ქალბატონები 14 ივნისს, პარლამენტის წინ მშვიდობიან აქციას გამართავენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელმა ეკა ბესელიამ განუცხადა, 14 ივნისს პარლამენტი სახალხო დამცველის ანგარიშს მოისმენს და მშვიდობიანი აქცია სწორედ ამ ფაქტს დაემთხვევა.

— ეს იქნება კიდევ ერთი საპროტესტო აქცია იმ ძალადობის წინააღმდეგ, რაც 26 მაისს, რუსთაველის პროსპექტზე მოხდა და რაც ახლაც მიმდინარეობს ქვეყანაში, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

მისივე თქმით, აქციაში მონაწილეობის მიღება შეეძლება ყველა ქალბატონს, ვინც საჭიროდ ჩათვლის ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ საკუთარი დამოკიდელება ასეთი ფორმით გამოხატოს.

14 ივნისის აქციამდე კი ორგანიზატორები დღეს, 14:00 საათზე, ერთობლივ განცხადებას გააკეთებენ. აქციის ორგანიზატორები არიან ნინელი ჭანკვეტაძე, ნათელა მაჭავარიანი, ეკა ბესელია, მანანა კობახიძე, ლია ხიდაშელი, ია მეტრეველი, თიკო ნიბლოშვილი, ნანა შონია, უფლებადაცვითი და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელი ქალბატონი.

**ინტერპრესნიუსი**

## ბათუმში აშშ საზღვაო ძალების გემი შემოვა

9-12 ივნისს ბათუმში საზღვაო ძალების გემი „ანზიოს“ შემოვა.

საქართველოში აშშ საელჩოს ინფორმაციით, „ანზიო“ მოქმედებს შავი ზღვის არეალში რამდენიმე ქვეყანასთან ერთად ერთობლივი საზღვაო წვრთვნების ჩატარების მიზნით. გემის ოფიცრები შეხვდებიან ქართველ ოფიციალურ პირებს ბათუმში, ხოლო ამერიკელი და ქართველი სამხედრო მოსამსახურეები ჩაატარებენ წვრთვნებს გემის დაზიანების აღმოფხვრაში, აგრეთვე ძრავისა და ელექტრო მოწყობილობების სარემონტო სამუშაობში.

აშშ საზღვაო ძალების გემს სარდლობს აშშ საზღვაო ძალების კაპიტანი ჯონ დორი. „ანზიო“ არის ტიკონდეროგას კლასის მართვადი რაკეტებითა და საუკეთესო თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კრეისერი.

გემს სახელი მიენიჭა მეორე მსოფლიო ომის დროს 1944 წლის 22 იანვარს იტალიის ქალაქ ანზიოს სანაპიროზე საზღვაო დესანტის მიერ პლაცდარმის მოპოვების საპატივსაცემოდ. 173 მეტრის სიგრძის გემზე მსახურობენ 31 ოფიცერი და 305 რიგითი შემადგენლობის მოსამსახურე.

**მედიანიუსი**

## ევროსაბჭო ყოველწლიურ ფორუმზე დასასწრებად განაცხადების მიღებას იწყებს

ევროპის საბჭო ფორუმის „დემოკრატიის მომავლისათვის“ — ყოველწლიურ სესიაზე დასასწრებად განაცხადების მიღებას იწყებს. საქართველოში ევროსაბჭოს ოფისის ინფორმაციით, ღონისძიების მთავარი თემა იქნება: „დემოკრატიისა და სოციალური ინტეგრაციის ურთიერთდამოკიდებულება: დემოკრატიული მონაწილეობისა და წარმომადგენლობის გაძლიერება სოციალური დიალოგისა და სამოქალაქო ჩართულობის გზით“.

**მედიანიუსი**

## „საქსტატისა“ და შვედეთის სტატისტიკის სამსახურის სამწლიანი თანამშრომლობა იწყება

„საქსტატისა“ და შვედეთის სტატისტიკის სამსახურის სამწლიანი თანამშრომლობა იწყება. საქსტატის ინფორმაციით, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი ზაზა ჭელიძე და შვედეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში დიანა იანსე ხვალ ხელს მოაწერენ შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით შვედეთის სტატისტიკის სამსახური და საქსტატი ერთობლივ სამ წლიან პროექტს დაიწყებენ.

პროექტის ფარგლებში, შვედეთის სტატისტიკა დახმარებას გაუწევს საქსტატს სტატისტიკური მეთოდოლოგიის, ეროვნული ანგარიშების, ფასების სტატისტიკის და სხვა ძირითადი მიმართულებების კუთხით.

პროექტის ფარგლებში, 3 წლის განმავლობაში დაგეგმილია შვედი ექსპერტების 45 მისია საქსტატში და საქსტატის თანამშრომლების 6 სასწავლო ვიზიტი შვედეთში. პერიოდულ ტრენინგს საქსტატის ყველა თანამშრომელი გაივლის. პროექტის მთლიანი ღირებულება 4 მლნ ლარს შეადგენს და მთლიანად ფინანსდება.

**ინტერპრესნიუსი**

# აშშ-ის საელჩო მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის ფინალისტებს გამარჯვებას მიულოცავს

აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი კენტ ლოგსდონი მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის ქართველ ფინალისტებს პროგრამაში გამარჯვებას ბაზალეთის ტბის დასასვენებელ კომპლექსში მიულოცავს.

როგორც პრაიმ-ნიუსს აშშ-ს საელჩოდან აცნობეს, მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამაა, რომელიც 12 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის უფროსკლასელებს სტიპენდიას სთავაზობს. სტიპენდია აფინანსებს ამერიკის შეერთებულ შტატებში მგზავრობას, სრული სასწავლო წლის განმავლობაში ამერიკულ სკოლაში სწავლასა და მასპინძელ ოჯახში ცხოვრებას.

პროგრამის დაწყებიდან დღემდე მომავალ ლიდერთა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა მიღებული აქვს 800-ზე მეტ ქართველ მოსწავლეს. ბევრი მათგანი წამყვან თანამდებობაზე მუშაობს მთავრობასა და კერძო სექტორში. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სახელით, პროგრამას საქართველოში ახორციელებს ორგანიზაცია „საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები“.

**პრაიმ-ნიუსი**

# არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმაზე კონფერენცია გაიმართა



არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმაზე კონფერენცია გაიმართა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის, ევროკავშირისა და ჰოლანდიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

რეფორმა კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებით საერთაშორისო სტანდარტების დაცვას ითვალისწინებს. რეფორმის მიზანია შეიქმნას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეაბილიტაციასა და მათ საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შედეგად მოხდება ახალი დანაშაულის პრევენცია, ხოლო მეორე მხრივ, ის უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებების დაცვას დაკავების ადგილებსა და პრობაციაში, მოხდება არასრულწლოვანთა საზოგადოებაში რესოციალიზაცია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ, იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძემ, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში ელჩმა, ფილიპ დიმიტროვმა, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელიმა საქართველოში რულანდ მონაშიმ.

**პრაიმ-ნიუსი**

# კარდენახში სტიქიის შედეგად გზები დაზიანდა

გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში ძლიერმა წვიმამ სოფლის შიდა საუბნო გზები დააზიანა, ნაპირსამაგრი ჯებირი დაანგრია და 40 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დატბორა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჯერ-ჯერობით არ დაწყებულა.

— ადიდებულმა კულანჯის ხევმა ნაპირსამაგრი ჯებირი 200 მეტრის მონაკვეთზე გადაანგრია. ასევე, სამ ადგილას დაზიანდა შიდა საუბნო გზებიც. დაზიანებების ადგილზე სარეაბილიტაციო სამუშაოები არ მიმდინარეობს, რადგან ზარალის ზუსტი ოდენობა ჯერ-ჯერობით არ ვიცით, — განაცხადა გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა ირაკლი მინდიაშვილმა.

ირაკლი მინდიაშვილის განმარტებით, ზარალის სრულად გამოვლენის შემდეგ გადაწყდება, სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის თანხები სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა თუ ცენტრალური ბიუჯეტიდან.

**პრაიმ-ნიუსი**

# რუსეთი ტერაქტებზე დაგველაპარაკება



რუსეთი მზად არის განიხილოს საქართველოს ხელთ არსებული ფაქტები, რომლებიც თითქოს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ტერაქტების მომზადებას ეხება.

ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრეგორი კარასინმა განაცხადა, ჟენევაში. კარასინი ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე რუსული დელეგაციის ხელმძღვანელია.

მისი მტკიცებით, საქართველოს წარმომადგენელი გიგა ბოკერია ეცადა ემოციურად და დეტალურად დაედანაშაულებინა რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოს ტერიტორიაზე ტეროტისტული აქტების სერიის ორგანიზებაში.

— ეს არის ვარჯიში საინფორმაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობაში. თუმცა, ჩვენ, როგორც პასუხისმგებლობის მქონე ქვეყანა, მზად ვართ განვიხილოთ დეტალები თუ ქართულ მხარეს აქვს სერიოზული ფაქტები. მზად ვართ, გარკვეული კომენტარებიც გავაკეთოთ, — განაცხადა კარასინმა და დასძინა, რომ ასეთი რამ ერთხელ უკვე მოხდა რამდენიმე თვის წინ, როდესაც შესაბამის მოთხოვნაზე რუსეთმა ახსნა-განმარტებები გააკეთა.

მისივე თქმით, მთავარია ეს აღმოჩნდეს, რაღაც გამონაგონი, არამედ სერიოზული მასალა, რომელიც სერიოზულ ანალიზს დაექვემდებარება.

**პრაიმ-ნიუსი**

# რატომ თქვა უარი 2532-მა ოჯახმა დახმარების მიღებაზე?

**სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებით, 2919 წელს კახეთში 1894-მა ოჯახმა სოციალური დახმარების მიღებაზე უარი განაცხადა. 2911 წლის იანვარში, თებერვალში, მარტსა და აპრილში საარსებო შემწეობის მიღებაზე უარი 627 ოჯახმა თქვა. სოციალური მომსახურების სააგენტოს კახეთის საკოორდინაციო ცენტრი ამ ოჯახების სიას ასაიდუმლოებს.**



(ICK.GE)

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო აქტივობების ცენტრის“ იურისტმა ლია ხუროშვილმა სოციალური მომსახურების სააგენტოს კახეთის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს წერილობითი განცხადებით 10 მაისს მიმართა: „გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია რა მიზეზით განაცხადეს უარი სოციალურად დაუცველმა ოჯახებმა საარსებო შემწეობის მიღებაზე? ასევე, ამ ოჯახების სია.

საჯარო ინფორმაციის გასაცემად კანონით დადგენილი მაქსიმალური - 10 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, 30 მაისს სოციალური მომსახურების სააგენტოს კახეთის საკოორდინაციო ცენტრის უფროსი ლევან ახალაური განმცხადებელს უგზავნის 19 მაისით დათარიღებულ წერილს, რომლითაც უარს ამბობს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

—„სააგენტო უზრუნველყოფს მხოლოდ მიმღებ ოჯახთა შესახებ ინფორმაციის საჯაროობას. შესაბამისად, თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, იმ ოჯახების სიის მოწოდების თაობაზე, რომლებმაც მოიპოვეს საარსებო შემწეობის მიღების უფლება, მაგრამ უარი განაცხადეს მასზე, არ არის საჯარო. იგი წარმოადგენს კერძო პირთა საიდუმლოებას და საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს კერძო პირებისგან ამ ინფორმაციის დაცულობა“, — ნათქვამია სააგენტოს წერილში.

რაც შეეხება საარსებო შემწეობაზე უარის შესახებ ოჯახის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზეზების მითითებას, სოციალური მომსახურების სააგენტოს კახეთის საკოორდინაციო ცენტრის უფროსი ლევან ახალაური განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობით, ოჯახს უფლება აქვს უარი განაცხადოს საარსებო შემწეობის დანიშვნაზე, საკუთარი ინიციატივით, მიზეზის განმარტების გარეშე.

მისივე თქმით, კანონმდებლობით განსაზღვრულია მხოლოდ ორი მიზეზი, რომელიც საარსებო შემწეობის დანიშვნის გადაწყვეტილების მიღებამდე ოჯახს ანიჭებს სავალდებულო არჩევანის უფლებას. „ვინაიდან საარსებო შემწეობის მიღება გამორიცხავს უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური-საოჯახო დახმარების, აგრეთვე, დევნილის ყოველთვიური შემწეობის მიღებას, ოჯახმა უნდა აირჩიოს ორი ალტერნატივიდან ერთ-ერთი: განაგრძოს საოჯახო დახმარების დევნილის ყოველთვიური შემწეობის მიღება (ამ შემთხვევაში უარი უნდა განაცხადოს საარსებო შემწეობის დანიშვნაზე) ან აირჩიოს საარსებო შემწეობის მიღება (ამ შემთხვევაში უარი უნდა განაცხადოს საოჯახო დახმარების/დევნილის ყოველთვიური შემწეობის მიღებაზე). აქვე განვმარტავ, რომ ოჯახის მიერ საოჯახო დახმარების, აგრეთვე დევნილის ყოველთვიური შემწეობის არჩევა არ იწვევს შემდგომში საარსებო შემწეობის მიღების უფლების ჩამორთმევას. ოჯახს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სააგენტოს საარსებო შემწეობის დასანიშნად, მას შემდეგ, რაც ოჯახს ან მის წევრს შეუწყდება ან გაუუქმდება „უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახის სოციალური დახმარება“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული დახმარება ან დევნილის ყოველთვიური შემწეობა. ასეთ შემთხვევაში ოჯახს საარსებო შემწეობა დაენიშნება განცხადების შევსების მომდევნო თვიდან“,- აღნიშნავს ახალაური.

ახალაურის მტკიცებით, საარსებო შემწეობის დანიშვნის შემდეგ მის მიღებაზე უარს ძირითადად დევნილები და საოჯახო დახმარების მიმღები პირები ამბობენ.

**ლია ხუროშვილი, „სამოქალაქო აქტივობების ცენტრის“ იურისტი:**

— შესაძლებელია ყველა დევნილმა ან საოჯახო დახმარების მიმღებმა პირმა არ იცის, რომ სოციალური დახმარების დანიშვნის შემთხვევაში, დევნილის შემწეობა და საოჯახო დახმარება უწყდებათ და ამიტომაც მიმართავენ ისინი სააგენტოს დახმარების დანიშვნის თხოვნით, მაგრამ ვეჭვობ, ამდენი დევნილი და საოჯახო დახმარების მიმღები ოჯახი იყოს კახეთში რეგისტრირებული. გარდა ამისა, როცა სოციალური აგენტი ოჯახის დეკლარაციას ავსებს, იქ იწერება, რომ ოჯახის წევრი არის დევნილი ან იღებს საოჯახო დახმარებას. ასეთ შემთხვევაში აგენტები აფრთხილებენ ხოლმე დახმარების მაძიებლებს, რომ ორივე დახმარებას ერთდროულად ვერ მიიღებენ. ძირითადად, დევნილი მაშინვე იღებს გადაწყვეტილებას, რომელი დახმარება ურჩევნია, დევნილის შემწეობა თუ სოციალური დახმარება. ჩვენი დაკვირვებით ასევე იქცევიან საოჯახო დახმარების მიმღები პირებიც. სოციალური დახმარება შეიძლება დაგენიშნოს და მეორე თვეში შეგიწყდეს. საოჯახო დახმარება კი მუდმივია. ამიტომაც ისინი ამას ანიჭებენ უპირატესობას. საოჯახო დახმარება 2007 წლამდე ძირითადად მარტოხელა ადამიანებს ენიშნებოდათ. დევნილის შემწეობაც მუდმივია, თუ იძულებით გადაადგილებული პირი მაგალითად, აფხაზეთში ან შიდა ქართლის ტერიტორიაზე არ დაბრუნდა. ამიტომ, არჩევანს აკეთებენ დევნილის შემწეობასა და საოჯახო დახმარებაზე. შეუძლებელია ამდენი მოქალაქე ჯერ მიმართავდეს დახმარების დასანიშნად სააგენტოს და მერე უარს ამბობდეს დახმარების მიღებაზე. ეჭვები რომ არსებობს, ამიტომაც ვითხოვდით სიას, მაგრამ უარი გვითხრეს.

**ეკა ნაქევხრიშვილი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის სპეციალისტი:**

— თითქმის ყველა დევნილი სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამაშია ჩართული და სოციალურ დახმარებას იღებენ. ძირითადად მათ გასულ წელს თქვეს უარი დევნილის შემწეობაზე და დახმარების დანიშვნა ითხოვეს.

ოფიციალური მონაცემებით, სოციალური დახმარება ოჯახის უფროსზე გაიცემა 30 ლარის ოდენობით და ყოველ მომდევნო წევრზე 24 ლარის ოდენობით; საოჯახო დახმარება ერთ ადამიანზე 22 ლარს შეადგენს; დევნილის შემწეობაც 22 ლარია.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი დაინტერესდა რამდენი დევნილი და საოჯახო დახმარების მიმღები ოჯახი ცხოვრობს რეგიონში.

დაზუსტებული ინფორმაციით, კახეთში ამ დროისთვის 425 დევნილი ოჯახი ცხოვრობს. საოჯახო დახმარებას კი 1-ლი ივნისის მდგომარეობით, 1420 ბენეფიციარი (ადამიანი) იღებს — სააგენტოს ოჯახების მიხედვით მონაცემები არ აქვს.

1420-ვე ბენეფიციარი ცალკე ოჯახი რომ იყოს, დევნილებთან ერთად სულ 1845 ოჯახს შეადგენს. არადა, სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკური მონაცემებით, მარტო 2010 წლის 1-ლი იანვრიდან 2011 წლის აპრილის ჩათვლით, 2532 ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 57 000-ს და არ გადარიცხვიათ საარსებო შემწეობა იმ მიზეზით, რომ უარი თქვეს დახმარების მიღებაზე. აქვე გასათვალისწინებელია, რომ სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამა 2005 წლიდან ხორციელდება და შესაბამისად, იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებმაც სააგენტოს ცნობით, სოციალური დახმარების მიღებაზე უარი თქვეს, გაცილებით მეტია.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# რეგიონულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში 2013 წლამდე ორ მილიარდამდე ლარი დაიხარჯება

რეგიონული ინფრასტრუქტურის პროექტების განხორციელებაში 2013 წლამდე ორ მილიარდამდე ლარი დაიხარჯება, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მარტვილში, გუბერნატორებთან და მთავრობის წევრებთან შეხვედრაზე განაცხადა.

მიხეილ სააკაშვილმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრისგან რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა.

როგორც რამაზ ნიკოლაიშვილმა განაცხადა, ექვს დიდ ქალაქში მთლიანად გამოიცვლება წყალსადენი და საკანალიზაციო სისტემა და დაწყებული პროექტები 2013 წლამდე დასრულდება. ნიკოლაიშვილის თქმით, წყალსადენის რეაბილიტაციისთვის 850 მილიონი ლარი დაიხარჯება.

ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გათვალისწინებული მილიარდ 335 ათასი ლარიდან საავტომობილო გზებზე მოდის 550 მილიონი ლარი, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე, რაშიც ჩქარი რკინიგზა იგულისხმება, წელს 150 მილიონი დაიხარჯება, მთლიანად რკინიგზაზე კი 510 მილიონია გათვალისწინებული. ასევე, გაერთიანებული წყალმომარაგებისთვის 85 მილიონია გამოყოფილი. ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ წელს, მომავალ წელს და 2013-ში საქართველოში ისტორიული პროექტი განხორციელდეს - უკლებლივ ყველგან უნდა იყოს კარგი წყალსადენი, კარგი გზა და რკინიგზა, რომელიც საქართველოს ჩართავს რკინიგზების ევროპულ ქსელში“, - განაცხადა სააკაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# „დურუჯის“ კანდიდატთა სია ცნობილია

ეკა ირემაშვილი

თეატრალური პრემია „დურუჯი“ 11 ივნისს ყვარელში მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმში გაიმართება და საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს სოლიდური ფულადი პრემიით დააჯილდოვებს. „დურუჯი“ საქველმოქმედო ფონდ „ცისკრის“ ორგანიზებით ტარდება. ღონისძიება წელს უკვე მესამედ იმართება. ყველაზე სოლიდური თეატრალური პრემია წელიწადში ერთხელ გაიცემა.

პრემიის მოსაპოვებლად წელს სურვილი 36-მა კანდიდატმა გამოთქვა — სულ შევიდა 24 თეატრის 36 განაცხადი, მათგან 12 განაცხადი თბილისის თეატრებიდანაა, ხოლო 12 — რეგიონების თეატრებიდან. 21 წარმოდგენა გაიმართა თბილისში, 14 სპექტაკლის სანახავად ჟიურის წევრებმა რეგიონებში იმოგზაურეს.

თეატრალური პრემია „დურუჯის“ მოსაპოვებლად იბრძოდნენ — სურათები უილიამ შექსპირის „ჰამლეტიდან“, „ჰამლეტი.კომ.იქს“ რეჟისორი ლევან ხვიჩია (შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), პიტერ ტურინი „როგორც იქნა“ რეჟისორი იოსებ ბაკურაძე (შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), ჯოვანი ბოკაჩო „დეკამერონი“ რეჟისორი ლევან წულაძე (კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), კოკი მიტანის მიხედვით „ჟოლო“ რეჟისორი ლევან წულაძე (კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), შიო არაგვისპირელის მიხედვით „გიულიჰ“ რეჟისორი გიორგი თავაძე (კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), უილიამ შექსპირის მიხედვით „ჩემი ჰამლეტი“ რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი (კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), ედმონ როსტანი „სირანო დე ბერჟერაკი“ რეჟისორი დავით დოიაშვილი (ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრი), ედნა მაზია „აკრძალული თამაშები“ რეჟისორი მანანა ბერიკაშვილი (ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრი), გრიგორი გორინი „ყველაზე მართალი ადამიანი“ რეჟისორი ელენე მაცხონაშვილი (თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი), სემუელ ბეკეტი „გოდოს მოლოდინში“ რეჟისორი გიორგი აფხაზავა (მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი), ოთარ ბაღათურია „ჭურში“ რეჟისორი ოთარ ბაღათურია (სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი), რეი კუნი „ტაქსისტი გივის სიყვარულის ისტორია“ რეჟისორი მალხაზ ასლამაზიშვილი (სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი), დავით შალიკაშვილი „სტოპ შიდსი“ რეჟისორი დავით შალიკაშვილი (საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი), უილიამ შექსპირი „ტიტუს“ რეჟისორი დავით შაკლიკაშვილი (საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი), მარიუს ფონ მაიენბურგი „მახინჯი“ რეჟისორი დავით თავაძე (თბილისის სამეფო უბნის თეატრი), ინგა გარუჩავა, პეტრე ხოტიანოვსკი „დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო“ რეჟისორი ქეთევან დოლიძე (თეატრი ათონელზე), დანიილ იუვაჩევი „ხარმსი“ რეჟისორი ოთარ ეგაძე (ილიას უნივერსიტეტის თეატრი, ყოფილი ვაკის სარდაფი), ლაშა თაბუკაშვილის „ათვინიერებენ მიმინოს“ მიხედვით „სულის სამჭედლო ანუ სისხლი სისხლის წილ“ რეჟისორი გიორგი სავანელი (ილიას უნივერსიტეტის თეატრი, ყოფილი ვაკის სარდაფი), ედუარდო დე ფილიპო „ნეაპოლი, მილიონერთა ქალაქი“ რეჟისორი შოთა კობიძე (ილიას უნივერსიტეტის თეატრი, ყოფილი ვაკის სარდაფი), „ქალალდის წვიმა“ რეჟისორი ნიკოლოზ საბაშვილი (ახალი თეატრი), ა. დევიძე „გამოკეტილი ჭიშკარი“ რეჟისორი ილია ნიშნიანიძე (კათარზისთან არსებული ნოსტალგიის თეატრი), ლოპე დე ვეგა „ცეკვის მასწავლებელი“ რეჟისორი დავით კობახიძე (სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“), ნილ საიმონი „კალიფორნიული სუიტა“ რეჟისორი იური ცანავა (ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), სამუელ ბეკეტი „გოდოს მოლოდინში“ დამდგმელი რეჟისორი პაატა მილორავა, რეჟისორი დალი ბასილაძე (ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), თამარ ბართაია „მთავარი როლი“ რეჟისორი გეგა ქურციკიძე (ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), ალექსანდრ პუშკინის „მებადური და ოქროს თევზი“ დადგმა ნოდარ იონათამიშვილი, რეჟისორი ლევან კვატაშიძე (ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი), დავით კლდიაშვილი „ბაკულას ღორები“ რეჟისორი დავით ჯიშკარიანი (ქუთაისის ნიღბების თეატრი), თამრი ფხაკაძე „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ რეჟისორი მამუკა ცერცვაძე (ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), ლაშა ბუღაძე „ნაფტალინი“ რეჟისორი ირაკლი გოგია (ახალციხის სახელმწიფო დრამატული თეატრი), გურამ ბათიაშვილი. „ლალი, სიყვარული და სხვები“... რეჟისორი ოთარ კუტალაძე (ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), ლაშა ბუღაძე „ვიდრე მთავარ გმირს ეძინა“ რეჟისორი ირაკლი გოგია (ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრი), დანიელა ჯანჯიჩი „ყვითელი დღეები“ რეჟისორი დავით მღებრიშვილი (ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრი), ნ. იონათამიშვილი „თაგუნიას გასაჭირი“ რეჟისორი ნათია მახაჭაძე (ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი), „კომბლე“ რეჟისორი გივი ჯიბლაძე (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის თოჯინების თეატრი), პავლე ვეჟინოვი „ბარიერი“ რეჟისორი ლევან წიქვაძე (ლაგოდეხის სახალხო თეატრი) და ნანა უგულავა „ალტერ ეგო“ რეჟისორი ნანა უგულავა (ახალგაზრდა მსახიობთა შემოქმედებითი ჯგუფი, ქუთაისი).

რუსთაველის თეატრში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე კი თეატრალური პრემიის ორგანიზატორებმა შეკრნებილ ჟურნალისტებს ნომინანტთა ის „მოკლე ნუსხა“ გააცნეს, რომელიც უკვე შერჩეულია და თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებისთვის შანსი ხუთ კანდიდატს ეძლევა. სულ „დურუჯი“ გამოავლენს საუკეთესოებს შემდეგ ნომინაციებში საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი, საუკეთესო მსახიობი ქალი, საუკეთესო მსახიობი მამაკაცი, საუკეთესო ქართული თანამედროვე პიესის ავტორი.

უკვე ცნობილია იმ ფულადი ჯილდოს ოდენობაც, რომლებსაც ნომინაციებში გამარჯვებულები მიიღებენ — საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარისთვის პრემიის ოდენობა 14.000 ლარს შეადგენს, საუკეთესო მსახიობი ქალი 2.000 ლარს მიიღებს, საუკეთესო მსახიობი მამაკაცმი — 2.000 ლარს. სეზონის განმავლობაში დადგმული საუკეთესო ქართული თანამედროვე პიესის ავტორი კი პრემიის სახით 2.000 ლარს მიიღებს. „მოკლე ნუსხა“ შედგა საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორის ნომინაციისთვისაც. ლაურეატს გადაეცემა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი 10.000 ლარის ოდენობით. ამ ნომინაციაზე წარდგენილი რეჟისორის ასაკი კი 35 წელს არ უნდა აღემატებოდეს. მიღებული თანხა ახალგაზრდა რეჟისორმა მომავალ თეატრალურ სეზონში სპექტაკლის დადგმას უნდა მოახმაროს.

რჩეულები ყვარელში დასახელდებიან. მათ ხუთკაციანი ჟიური გამოავლენს, რომელთა ვინაობა კონფიდენციალურია და მხოლოდ დაჯილდოების ცერემონიალზე გახდება ცნობილი. საუკეთესოს ისინი ფარული კენჭისყრით დაჯილდოებამდე რამდენიმე საათით ადრე შეარჩევენ, თუკი ხმათა რაოდენობა თანაბრად გადანაწილთა ორ კანდიდატს შორის, მაშინ ჟიურის წევრები თანაბარქულიანთა შორის გამარჯვებულს ისევ ფარული კენჭისყრით გამოავლენენ.

# ნიკოლოზ რურუამ თანამშრომლები დააჯილდოვა

ეკა ირემაშვილი



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ სამინისტროს დარბაზში ღირსების ორდენით დაჯილდოების ცერემონიალი გამართა. პროფესიული თეატრალური ხელოვნებისა და პროფესიული მუსიკალური ხელოვნების ხელშეწყობაში შეტანილი წვლილისათვის, წარმატებული პროექტების მხარდაჭერისა და კულტურის სამინისტროში ათობით წლის განმავლობაში ნაყოფიერი საქმიანობისათვის, ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის დირექტორი იამზე გვათუა და ამავე დეპარტამენტის ხელოვნების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ლიკა კოპალეიშვილი.

— მადლობა ყველას, ვინც იზრუნა ჩვენზე. ალბათ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დაფასდეს ადამიანის ათეული წლების განმავლობაში ამ სამინისტროში შრომა. ძალიან ბედნიერი ვარ, მადლობა სამინისტროს, იმ კოლექტივს, ვინც ჩვენს დაჯილდოებაზე იზრუნა, — განაცხადა იამზე გვათუამ.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის 2011 წლის 20 აპრილის განკარგულებით, იამზე გვათუასა და ლიკა კოპალეიშვილს ღირსების ორდენით კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ დააჯილდოვა.

— ჩემთვის ეს ნამდვილად მოულოდნელი იყო. არ ვიცოდი და მხოლოდ დაჯილდოების დღეს გავიგე, რომ თურმე ღირსების ორდენი ჩემთვის უნდა გადმოეცათ. მადლობა ყველას, ვინც ჩვენი შრომა დააფასა, — განუცხადა ჟურნალისტებს ლიკა კოპალეიშვილმა.

# ბათუმში ფესტივალი დაიხურა

ეკა ირემაშვილი

რიგით მეექვსე საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე, რომელმაც სრულიად საქართველო მოიცვა, ბათუმში ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრში დასრულდა. ფესტივალი ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების შერიგებასა და მეგობრობას მიეძღვნა. წლევანდელი ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ქართველი პიანისტი ალექსანდრე კორსანტია იყო. საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ 2006 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა აკაკი რამიშვილის ფონდ „ტრადიცია და ინოვაციასთან“ ერთად დააარსა.

ფესტივალის ფარგლებში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ გალაკონცერტზე პირველად შესრულდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ახალი მუსიკალური ნაწარმოები „სანქტუს“, რომელიც ოთხი სოლისტის, გუნდისა და ორკესტრისთვის არის შექმნილი. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა პიანისტებმა — ვლადიმერ ფელცმანმა, სერგეი ბაბაიანმა და მომღერალმა ტეჰილა ნინი გოლფშტეინმა.

საქართველოს პატრიარქის საგალობლების არანჟირების ავტორმა კომპოზიტორმა ზვიად ბოლქვაძემ რუსთაველის თეატრში საავტორო კონცერტი გამართა. „გზა მიდის“ — ასე უწოდა ხელოვანმა თავის პირველ შემოქმედებით საღამოს, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა. კულტურის

გაგრძელება მე-14 გვერდზე

SMS-განცხადებები - 3090

იყიდება

❖ საგურამოში, საუკეთესო ადგილზე 4-სართულიანი დიდი სახლი. ფასი – მოლაპარაკებით, შეიძლება განვადებაც. 899-90-63-40.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; [illegible] ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაჟეჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899 97 85 46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

# მიკოლა ნაკონეჩნი: „ქართულად თამაში არ შემიძლია“

საქართველოს თასის მფლობელის, „გაგრას“ უკრაინელი ნახევარმცველი მიკოლა ნაკონეჩნი შვებულებას მშობლიურ ნიკოპოლში ატარებს. ცხადია, ქართული ტიტულის მფლობელი ფეხბურთელი უყურადღებოდ არ რჩება და იქაურ მედიასთან ხშირად საუბრობს.

ერთ-ერთ ინტერვიუში ნაკონეჩნიმ განაცხადა, რომ „გაგრაში“ დარჩენა და ანატოლი პისკოვეცის ხელმძღვანელობით მუშაობა მომავალშიც სურს.

— ***როგორ მოხდა, რომ თქვენ და ორდინსკი კიევის ოლქის ჩემპიონატიდან საქართველოში გადახვედით?***

— იმ პერიოდში ანატოლი პისკოვეცი კიევის ოლქის ერთ-ერთ გუნდში მუშაობდა და ეტყობა, მისი გუნდის წინააღმდეგ თამაშის დროს მოვეწონე. ყოველ შემთხვევაში, დამირეკა და მითხრა, რომ ამბიციურ ქართულ კლუბში სამუშაოდ მიდიოდა და მეც მიმიწვია. ცხადია, ჩემთვის საინტერესო იყო ცნობილი მწვრთნელის ხელმძღვანელობით მუშაობა და ძალების ახალ გარემოში მოსინჯვა. ამიტომ, გადავწყვიტე გამერისკა. ჩემთან ერთად □„გაგრაში“ კიდევ რამდენიმე უკრაინელი გადავიდა, მაგრამ მათ საქმე არ აეწყოთ და მხოლოდ მე დავრჩი. ნახევარი წლის შემდეგ კი, ვოლოდია ორდინსკი შემოგვიერთდა, რომელიც მწვრთნელს ასევე კიევის ოლქის ჩემპიონატში მოწონებია.

— ***უცხო ქვეყანაში როგორ მიგიღეს?***

— ძალიან თბილად. საერთოდ, ქართველები თავისი სიკეთით და სტუმართმოყვარეობით განთქმული ხალხია, ხოლო უკრაინელებთან განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა აქვთ. გულღიად არა მხოლოდ ფეხბურთელები და კლუბის პერსონალი გვხვდება, არამედ უბრალო ადამიანებიც.

— ***ერთია თქვენი სლავური გარეგნობა, ხოლო სულ სხვაა ორდინსკი. ალბათ, ის საქართველოში თავისიანად ითვლება?***

— ვოლოდიას სახასიათო ცხვირისა და გარეგნობის გამო, სახლშიც კი მეკითხებიან: „ფოტოზე შენს გვერდით ეს ქართველი ვინ არის?“

— ***ფლანგზე თამაშობთ?***

— არა, ნახევარდაცვის ცენტრში, ხოლო ორდინსკი — გამთამაშებლად.

— ***გაგრა აფხაზეთის საკურორტო ქალაქია, მაგრამ თქვენი გუნდის დისლოცირების ადგილი თბილისია.***

— ჩვენი კლუბის პრეზიდენტი წარმოშობით აფხაზეთიდანაა და როგორც პატრიოტმა, გუნდისთვის ქალაქის სახელის დარქმევა გადაწყვიტა. თუმცა, ჩვენ საქართველოს დედაქალაქში ვცხოვრობთ და ვვარჯიშობთ. გაგრაზე ვერაფერს გეტყვით, რადგან იქ არ ვარ ნამყოფი, ხოლო თბილისი შთამბეჭდავია. ლამაზი ქალაქია, მუდმივად ვითარდება, ბავშვებისთვის ბევრს აკეთებენ — საფეხბურთო, საჩოგბურთო მოედნებს.

— ***ევროთასების მატჩზე, რომელსაც „კარპატი“ საქართველოში ატარებდა, სტადიონზე შუქი ჩაქრა. ელექტროენერგიის მიწოდების მხრივ პრობლემებია?***

— ხანდახან შუქი თბილისშიც ქრება. თუმცა, მატჩების დროს მსგავსი რამ არ მახსოვს.

— ***თბილისში სხვა გუნდებიცაა და „გაგრა“ გულშემატკივრების მოსაზიდად როგორ იბრძვის?***

— პირველყოვლისა თამაშით. გულშემატკივრების სიმპათიები თანდათან მოვიპოვეთ — სეზონის ბოლოს ჩვენს მყუდრო სტადიონზე ისინი გაცილებით მეტნი იყვნენ, ვიდრე დასაწყისში. და არა მარტო გულშემატკივრები — „გაგრას“□ თამაშებზე სპეციალისტები, მენეჯერები, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაიაც დადის ხოლმე.

— ***გყავთ გუნდში ისეთი ფეხბურთელი, ვისაც ქეცბაია დააკვირდებოდა?***

— რა თქმა უნდა. ბოლო პერიოდში „გაგრას“ მოთამაშეები შესამჩნევად პროგრესირებენ და სამი მათგანი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს. ჩვენი ნიგერიელი ლეგიონერი აბაიომი ოვონიკოკო კი, ნატურალიზაციის პროცესს გადის, რათა საქართველოს სახელით თამაშის უფლება ჰქონდეს. სხვათა შორის, ბევრს საუბრობენ ბელგიაში მის სავარაუდო გადასვლაზე.

— ***ეს ბიჭი ქართულად უკვე საუბრობს?***

— რა თქმა უნდა. უკეთ, ვიდრე რუსულად. უკვე სამი წელია, საქართველოშია და იქაურობას შეეგუა. ერთად ბევრ დროს ვატარებთ — ის ქართულსა და ინგლისურს მასწავლის, ხოლო მე კონსულტაციას რუსულსა და უკრაინულში ვუწევ.

— ***ჩვენთან არის დამკვიდრებული სტერეოტიპი, რომ ქართული ფეხბურთი ტექნიკური და ტემპიანია.***

— ის ტექნიკაზეა აგებული. მე ქართულად თამაში არ შემიძლია, მით უმეტეს, მწვრთნელიც უკრაინელი გვყავს.

— ***საქართველოს პირველი ლიგა უმაღლესისგან დიდად განსხვავდება?***

— შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს უმაღლესი ლიგა უკრაინის პირველი ლიგის დონეზეა. თუმცა, უკრაინაში პირობები გაცილებით უკეთესია. ჩვენს გუნდში ნორმალური ინფრასტრუქტურაა, ხოლო მრავალ სხვა კლუბს მსგავსი პირობები არ აქვს.



— ***იქაური გუნდებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგეწონათ?***

— თბილისის „დინამო“, რომელსაც საქართველოს თასის მეოთხედფინალში შევხვდით. შინ 1:2 წავაგეთ, ხოლო ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე იგივე ანგარიშით გავიმარჯვეთ. პენალტების სერიაში კი უფრო ძლიერები ჩვენ აღმოვჩნდით.

— ***რამდენად დიდი წვლილი შეიტანეს „გაგრას“ ტრიუმფში უკრაინელმა ფეხბურთელებმა?***

— არ მინდა, ვინმე გამოვარჩიო და ვთქვა, რომ გუნდში უკრაინელები „ქმნიდნენ ამინდს“. საერთო წარმატებაში წვლილი კლუბის თითოეულმა წევრმა შეიტანა — ფეხბურთელებით დაწყებული, □„გაგრას“□ ფუნქციონერებით დამთავრებული.

— ***უკრაინელები „გაგრას“ მომავალშიც დაეხმარებიან?***

— ზაფხულში კლუბთან კონტრაქტები დაგვიმთავრდა და ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, ანატოლი პისკოვეცის ხელმძღვანელობით თამაშის სურვილი მაქვს. უკვე ამდენი გავაკეთეთ და კიდევ ბევრის გაკეთება გვმართებს.

# ევროპაზე სოხუმის წარგვადგენს

წლევანდელ წელს საქართველოს ევროპაზე ორი აფხაზური გუნდი წარადგენს. ფეხბურთში ეს საქართველოს თასის მფლობელი „გაგრა“ იქნება, რომელიც ევროპის ლიგაზე ითამაშებს, ხოლო კალათბურთში საევროპო განაცხადი და ევროჩელენჯზე თამაშის სურვილი „სოხუმმა“ გამოთქვა.

აღსანიშნავია, რომ ქართული საკალათბურთო კლუბები ევროპაზე იშვიათად ჩნდებიან და ისიც წარუმატებლად. 1997 წელს კორაჩის თასზე თბილისის “დინამომ“ ითამაშა, ხოლო ევროპის თასზე — “ვითამ“. დინამოელებმა საკვალიფიკაციო ბარიერი ვერ გადალახეს, „ვითამ“ კი ჯგუფში ითამაშა. მას მერე ქართულმა კლუბმა ევროშეჯიბრებაში 2002 წელს ითამაშა, როდესაც “დინამომ“ “ჩელენჯ თასის“ ჯგუფში იასპარეზა. ამას მოჰყვა ხუთწლიანი შესვენება და რუსთავის “ენერჯიმ“ (2007-08) ორჯერ ფიბას თასის საკვალიფიკაციო მატჩები ჩაატარა, ჯერ “ამსტერდამთან“, შემდეგ “სუმიხიმპრომთან“... ეს იყო და ეს.

ახლა კი ევროპაზე კიდევ ორი გუნდი ითამაშებს — „სოხუმი“ და ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი „არმია“. ორივე გუნდმა ოფიციალურად შეიტანა განაცხადი. შეიძლება ვინმეს გაუკვირდა, ევროტურნირებში თამაშისთვის ჩვენს ფედერაციაში განაცხადის შეტანა რა საჭიროაო. ახლავე გაგარკვევთ: ნებისმიერმა ქართულმა კლუბმა ევროპის საკლუბო ტურნირში მონაწილეობისთვის განაცხადი ჯერ ეროვნულ ფედერაციაში უნდა შეიტანოს. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა შეაფასებს, რამდენად მიზანშეწონილია გუნდის საერთაშორისო ასპარეზზე გაშვება და ამის მერე თავად აგზავნის განაცხადს ფიბაში. ამას მოჰყვება შესატანის გადახდის პროცედურა და ივლისის დასაწყისში ევროჩელენჯის წილისყრა...

ევროპაში სულ სამი შეჯიბრებაა: ევროლიგა, ევროთასი და ევროჩელენჯი. ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე, ევროლიგაზე ქართველებს არავინ დაგვიშვებს, რადგან საკლუბო რეიტინგი მეტად დაბალი გვაქვს. 2002 წლის მერე ქართულმა კლუბებმა ევროპულ სარბიელზე მხოლოდ 4 მატჩი გამართეს და ოთხივე წააგეს. ასე რომ, სადღეისოდ “არმიასაც“ და “სოხუმსაც“ ევროვოიაჟის დაწყება ევროჩელენჯიდან მოუწევს.

საკითხავი ის რჩება, რამდენად წარმოვაჩენთ თავს ევროპაში. აქამდე ჩვენი გუნდები, თამამად შეიძლება ითქვას, უფრო მონაწილეობდნენ. ბოლო ორი ასპარეზობისას საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელებით დაკომპლექტებულმა “ენერჯიმ“ პირველი ეტაპიც კი ვერ გადალახა. ყველასთვის ნათელია, რომ გუნდების გაძლიერებაა საჭირო. ქვეყნის ჩემპიონი “არმია“ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე საუკეთესო კალათბურთელებით კი არის დაკომპლექტებული, მაგრამ 3-4 კარგი ლეგიონერის დამატებას აპირებს. რაც შეეხება „სოხუმს“, მისი პირველი ნაბიჯი ის არის, რომ შეინარჩუნა ლატვიის ნაკრების მწვრთნელი აინარს ბაგაცკისი, რომელთანაც ერთი წლით გაახანგრძლივა ხელშეკრულება.

აინარს ბაგაცკისთან სამომავლო გეგმები შეთანხმებულია. შემადგენლობას მთავარი მწვრთნელი დააკომპლექტებს და სოხუმელებსაც ეიმედებათ, რომ ბაგაცკისი ძლიერ ლეგიონერებს შეარჩევს.

ჯერჯერობით კი უცნობია, ვინ ჩაირიცხება “სოხუმში“, ასევე ვერაფერს გეტყვით წამსვლელთა შესახებაც. ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ შემადგენლობა 60-70 პროცენტით გადახალისდება. იმასაც ამბობენ, გუნდში მაღალი კლასის უცხოელებს ვიხილავთო. მათი შერჩევისთვის დროა საჭირო. ჩვენც ისღა დაგვრჩენია, მოთმინებით დაველოდოთ.

# მანჩესტერი ჩიჩარიტოს შენარჩუნებას ცდილობს

მექსიკელმა თავდამსხმელმა, 23 წლის ხავიერ ერნანდესმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში თავი პირველსავე სეზონში დიდებულად წარმოაჩინა და მისი შეძენა მადრიდის „რეალს“ მოუნდა. ამ ფაქტმა ინგლისის ჩემპიონი დაძაბა და ფეხბურთელისთვის გასამრჯელოს გასამმაგება გადააწყვეტინა. ამბობენ, რომ მომავალი სეზონიდან ერნანდესი, იგივე ჩიჩარიტო, კვირაში 75.000 გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ ეფექტური თამაშის მიუხედავად, ერნანდესი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ანაზღაურების მქონე ფეხბურთელი იყო... უფრო სწორად კი, ამ წუთას ასეთადვე რჩება. საქმე ის გახლავთ, რომ ხელფასის გასამმაგების შესახებ „იუნაიტედის“ ოფისში მექსიკელს მას მერე დაელაპარაკებიან, რაც ის კონკაკაფის „ოქროს თასიდან“ დაბრუნდება. მანამდე კი, ჩრდილო და ცენტრალური ამერიკის ჩემპიონატში ჩიჩარიტომ უკვე გამოიჩინა თავი, სალვადორთან შეხვედრაში სამი გოლი შეაგდო.

არადა, მანჩესტერელებს სულ სხვა გეგმები ჰქონდათ. „იუნაიტედი“ „ასტონ ვილადან“ 25 წლის ეშლი იანგის გადაბირებას ცდილობს და თანხები, ჯერჯერობით, ამ მიმართულებით ჰქონდა მიმართული — მისი შეძენა 20 მილიონი გირვანქა უჯდება და სატრანსფერო თანხის გარდა კი, ბუნებრივია, მისთვის ხელფასიც ექნება გადასახდელი. ახლა სიტუაცია ცოტა შეიცვალა და არავინ იცის, როგორ გაგრძელდება მოლაპარაკებები იანგთან.

რაც შეეხება იანგს, ის უკვე შეხვდა „ასტონ ვილას“ მეპატრონეს, ამერიკელ რენდი ლერნერს და უთხრა, რომ მისი, უმწვრთნელოდ დარჩენილი გუნდი (მოგეხსენებათ, „ასტონ ვილას“ თავკაცი ჟერარ ულიე გულის ავადმყოფობის გამო სამსახურიდან წავიდა) ამბიციებს ველარ უკმაყოფილებს. იანგს, რომელსაც ბოლოხანს ინგლისის ნაკრებში იძახებენ და შაბათს შვეიცარიას გოლიც გაუტანა, საკუთარი შესაძლებლობების ჩემპიონთა ლიგაში გამოცდა სურს.

კიდევ, იანგის „ასტონ ვილაში“ ყოფნა-არყოფნას ერთი თავისებურება აქვს: მას ბირმინგემელებთან ხელშეკრულების ვადა გაისად ამ დროს ეწურება და, ბუნებრივია, ლერნერს ურჩევნია ფეხბურთელი დღეს 20 მილიონად გაყიდოს, ვიდრე ერთი წლის შემდეგ უფასოდ გაუშვას. ინგლისში იანგს უკვე მანჩესტერელად თვლიან, მაგრამ...

შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ განახლება-გადახალისების ფართო გეგმა აქვს შედგენილი, რომლის პირველი შემადგენელი ნაწილი მადრიდის „ატლეტიკოს“ახლა უკვე ყოფილი მეკარე დავიდ დე ხეა გახლდათ. იანგის შემდეგ ფერგიუსონი „ევერტონს“ მიადგება და ნახევარმცველ ჯეკ როდუელში 25 მილიონ გირვანქას შესთავაზებს. ამბობენ იმასაც, რომ სერ ალექსს „ასტონ ვილასგან“ 21 წლის მცველის, კიერან კლარკის გადაბირებაც უნდა. ეს ახალგაზრდა, რომელზეც ამ ბოლო დროს აქტიურად ალაპარაკდნენ, სავარაუდოდ, 7 მილიონი გირვანქა ღირს.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ევრო-2012. შესარჩევი ეტაპი

**ა ჯგუფი**

აზერბაიჯანი-გერმანია ... 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გერმანია | 7 | 7 | 0 | 0 | 22:3 | 21 |
| 2.ბელგია | 7 | 3 | 2 | 2 | 15:10 | 11 |
| 3.თურქეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:7 | 10 |
| 4.ავსტრია | 6 | 2 | 1 | 3 | 10:10 | 7 |
| 5.ყაზახეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 2:15 | 3 |
| 6.აზერბაიჯანი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:18 | 3 |

**ც ჯგუფი**

ფარერები-ესტონეთი ... 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 14:1 | 16 |
| 2.სლოვენია | 7 | 3 | 2 | 2 | 9:4 | 11 |
| 3.სერბეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | 8 |
| 4.ესტონეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | 7 |
| 5.ჩრ.ირლანდ. | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 6 |
| 6.ფარერები | 7 | 1 | 1 | 5 | 5:18 | 4 |

**დ ჯგუფი**

ბელარუსი-ლუქსემბურგი ... 2:0

ბოსნია-ალბანეთი ... 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საფრანგეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:2 | 13 |
| 2.ბელარუსი | 7 | 3 | 3 | 1 | 6:2 | 12 |
| 3.ბოსნია | 6 | 3 | 1 | 2 | 8:7 | 10 |
| 4.რუმინეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 8 |
| 5.ალბანეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:6 | 8 |
| 6.ლუქსემბურგი | 7 | 0 | 1 | 6 | 1:13 | 1 |

**ე ჯგუფი**

შვედეთი-ფინეთი ... 5:0

სან მარინო-უნგრეთი ... 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჰოლანდია | 6 | 6 | 0 | 0 | 21:5 | 18 |
| 2.შვედეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 20:6 | 15 |
| 3.უნგრეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 18:13 | 12 |
| 4.მოლდოვა | 6 | 2 | 0 | 4 | 7:9 | 6 |
| 5.ფინეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 11:11 | 6 |
| 6.სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 0:33 | 0 |

**ამხანაგური მატჩები**

ნორვეგია-ლიტვა ... 1:0
რუსეთი-კამერუნი ... 0:0
ავსტრია-ლატვია ... 3:1
იტალია-ირლანდია ... 0:2
ვენესუელა-ესპანეთი ... 0:3
პარაგვაი-ბოლივია ... 0:0
ეკვადორი-საბერძნეთი ... 1:1
ბრაზილია-რუმინეთი ... 1:0

**კონკაკაფი. ოქროს თასი**

პანამა-გვადელუპე ... 3:2
აშშ-კანადა ... 2:0

**ეჩ-2013. შესარჩევი მატჩები (21)**

სომხეთი-ჩერნოგორია ... 4:1
ლიტვა-მალტა ... 1:2

**ამხანაგური მატჩი (21)**

ესტონეთი-ლატვია ... 1:0

## კალათბურთი

**ნბა. პლეი-ოფი**

**ფინალი 4 მოგებამდე**

დალასი-მაიამი ... 86:83
სერიის ანგარიში ... 2:2

**ეჩ-2011**

**ქალები**

სერბეთი-გერმანია ... 64:74
უნგრეთი-ბულგარეთი ... 71:57
უკრაინა-ჰოლანდია ... 51:52
იტალია-ბელგია ... 68:46

## ჩოგბურთი

**ატპ. ლონდონი. ბალახი**

დელ პოტრო-ისტომინი ... 6:4;6:2
მალისე-ბაჰინგერი ... 6:4;6:4
რასელი-გრემელმაიერი ... 6:3;7:5
ებდენი-დევ ვარმანი ... 7:5;6:3
ტიპსარევიჩი-კავჩიჩი ... 6:4;6:4
შტეპანეკი-სოედა ... 6:1;6:3
როდიკი-ლოპესი ... 7:6;6:7;6:4
ნალბანდიანი-მარჩენკო ... 6:3;6:4
კიურეი-შუტლერი ... 7:6;5:7;6:3
გულბისი-მანარინო ... 3:6;3:6
კარლოვიჩი-ანდერსონი ... 4:6;6:7
ვერდასკო-მაიუ ... 6:2;6:3
ვავრინკა-უორდი ... 6:7;3:6
ლოდრა-ბენეტო ... 6:4;7:5
ცონგა-ბერერი ... 6:0;6:1

**ვტა. ბირმინგემი. ბალახი**

ჰლავაჩკოვა-კრეიბასი ... 6:3;6:1
რიბარიკოვა-ვანდევეიე ... 6:2;6:1
მორიტა-ტომლიანოვიჩი ... 6:3;3:6;7:6
როდიონოვა ან.-მაკჰეილი ... 6:3;6:7;2:6
პაჩეკი-მირზა ... 6:3;4:6;6:2
ვინჩი-ლუჩიჩი ... 7:6;6:7;5:7
გოვორცოვა-რუზაი ... 5:7;0:6
კანეპი-როდიონოვა არ. ... 4:6;2:6

# კაპელოს ინგლისში შეუტიეს

ინგლისში არ წყდება ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოსადმი კრიტიკა. ჯერ კიდევ გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ კაპელომ შვეიცარიელებთან ფრე (2:2) ფეხბურთელების გადაღლას დააბრალა, რასაც ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელისგან, სტიარტ პირსისგან კრიტიკა მოჰყვა. ახლა კაპელოს წარსულში ცნობილმა ინგლისელმა თავდამსხმელმა, „არსენალის“ ლეგენდამ, იან რაიტმა გაზეთ „სანის“ ტრადიციულ სვეტში შეუტია.

— ჯობს ჩვენმა მწვრთნელმა დაღლაზე მეტად ტაქტიკასა და ფეხბურთელების სწორად შერჩევაზე ილაპარაკოს. ჩვენ, შაბათს ფრედ იმიტომ კი არ ვითამაშეთ, რომ ფეხბურთელები გადაღლილები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ჯარიმიდან ორი გოლი გავუშვით, რაც, არც მეტი, არც ნაკლები, დანაშაულია. ასეთი რამ სანაკრებო კი არა, გაცილებით დაბალ დონეზეც არ ხდება. ჩვენს ფეხბურთელებს აშკარად ეძინათ, მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე უფრო საღად თამაშობდა და გაცილებით შემოქმედებითი იყო. გახსოვთ ბოლო 25 წუთი? ეს იყო გამაღიზიანებელი მონაკვეთი, როდესაც ჩვენ მეტოქის კარზე შტურმი უნდა მოგვეწყო, სანაცვლოდ კი სულ ორჯერ თუ ვუჩხვლიტეთ მოწინააღმდეგეს. ისე, ერთი-ორი კაცი შესაძლოა მართლა დაიღალა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ჩამორჩენის გამოსასწორებლად ვხარჯავდით ენერგიას. ჩამორჩენით კი იმიტომ ჩამოვრჩით, რომ დასაწყისში ორი უხეში შეცდომა დაუშვით. კიდევ, ინგლისის ნაკრები შაბათს ბურთს ვერ აკონტროლებდა და ეს ძალიან მაშფოთებს.

მოამზადა მიხეილ ყორღოლაშვილმა

## დღის კალენდარი



### 9 ივნისისთვის

**წლის 160-ე დღე,**
**ახალ წლამდე დარჩა 205 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

**აღდგომიდან მე-7 შვიდეული.**
**ხუთშაბათი**

შემდგომი დღესასწაული ამაღლებისა.

ღირსისა ბასილისა, მეფე ბაგრატ III-ის ძისა (XI); ღირსისა მიქაელ პარეხელისა (VIII-IX); მღვდელმოწამისა თერაპონტისა, სარდიელი ეპისკოპოსისა (III); მოწამეთა თეოდორა ქალწულისა და დიდიმო მხედრისა (304); მართლისა იოანე რუსისა, აღმსარებლისა (1730).

წმიდა მღვდელმოწამე თერაპონტე, ეპისკოპოსი სარდიისა III საუკუნეში ევნო ქრისტეს სახელისათვის. იგი თავდადებულად აღასრულებდა თავის სამღვდელმთავრო მსახურებას, რომლის დროსაც მან მრავალი წარმართი მოაქცია ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. ამისათვის წმიდანი იულიანე განმგებელს წარუდგინეს განსასჯელად, რომლის წინაშეც მღვდელმთავარმა უშიშრად აღიარა თავი ქრისტიან ეპისკოპოსად. იგი საპყრობილეში ჩააგდეს და სასტიკად აწამეს. იქ, ხანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ წმიდა მღვდელმთავარმა თერაპონტემ დაასრულა თავისი მოწამებრივი ღვაწლი.

წმიდა მოწამენი: თეოდორა ქალწული და დიდიმ მხედარი იმპერატორ დიოკლეტიანეს დევნულობის დროს ევნენ ქრისტეს სჯულისათვის, ქალაქ ალექსანდრიაში.

წმიდა ქალწული თეოდორა ალექსანდრიის მმართველ ევსტრატის სამსჯავროს წარუდგა და უშიშრად აღიარა მის წინაშე თავი ქრისტიანად. ევსტრატის ბრძანებით წმიდანი საპყრობილეში წაიყვანეს, სადაც წმიდა დიდიმ მხედარმა იხსნა გარყვნილი ჭაბუკებისაგან. როცა ეს ევსტრატიმ შეიტყო, იგი მხნედ განრისხდა და ბრძანა მასთან მიეყვანათ წმიდა დიდიმ. ქალაქის განმგებლის წინაშე მან მხნედ აღიარა თავი ქრისტიანად, რის გამოც სიკვდილით დასაჯეს. განმგებლის ბრძანებით ორივე წმიდანს თავები მოჰკვეთეს.

### დაიბადნენ:

1672 — პეტრე I, რუსეთის პირველი იმპერატორი, სანკტ-პეტერბურგის დამაარსებელი. გარდაიცვალა 1725 წელს.

1781 — ჯორჯ სტეფენსონი, ინგლისელი კონსტრუქტორი და გამომგონებელი, პირველი ორთქლმავლის ავტორი. გარდაიცვალა 1848 წელს.

1812 — იოჰან გოტფრიდ ჰაალე, გერმანელი კონსტრუქტორი, 1846 წელს აღმოაჩინა პლანეტა ნეპტუნი. გარდაიცვალა 1910 წელს.

1843 — ბერტა ფონ ზუტნერი, ავსტრიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1943 წელს.

1872 — კონსტანტინე (კოტე) მარჯანიშვილი, გამოჩენილი რეჟისორი, თეატრის მოღვაწე. გარდაიცვალა 1933 წელს.

1927 — დავით ჯოხაძე, ბიოლოგი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

1935 — ნუგზარ ალექსიძე, ქართველი ბიოქიმიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

1940 — რისმაგ გორდეზიანი, ფილოლოგი, საქართველოსა და საქსონიის (გერმანია) მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

### გარდაიცვალნენ:

68 — ნერონი, რომის მეხუთე იმპერატორი, თავი მოიკლა.

1870 — ჩარლზ დიკენსი, ინგლისელი მწერალი.

1974 — მიგელ ანხელ ასტურიასი, გვატემალელი მწერალი, დიპლომატი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1989 — ჯორჯ უელს ბიდლი, ამერიკელი გენეტიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1994 — იან ტინბერგენი, ჰოლანდიელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

### მოვლენები:

1815 — მუშაობა დაასრულა ვენის კონგრესმა, რომელიც მოიწვიეს 1814 წლის სექტემბერში, ნაპოლეონის დამხობის შემდეგ.

1912 — რუსეთის III სახელმწიფო დუმამ მუშაობა დაასრულა.

1920 — დაიწყო სომხეთ-თურქეთის ომი. თურქეთის ჯარებმა დაიწყეს საომარი მოქმედებები დაშნაკური სომხეთის წინააღმდეგ.

1935 — საბჭოთა კავშირში დაწესდა სიკვდილით დასჯა საზღვარგარეთ გაქცევისთვის.

1967 — ექვსდღიანი ომის დროს ისრაელის არმიამ მიაღწია სუეცის არხს. ეგვიპტე და მისი მოკავშირეები დამარცხდნენ.

### ღირსსახსოვარი დღე:

უგანდა — გმირების დღე.
დსთ — მსუბუქი მრეწველობის დღე
აშშ, ოკლაჰამა — მოხუცების დღე

**მედიანიუსი**

# ეროვნულ არქივში ეტრატების რესტავრაცია დასრულდა

*ეკა ირემაშვილი*

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიაში ძველ საბუთთა განყოფილებაში დაცული, XV-XVI საუკუნეების ოთხი ეტრატის რესტავრაცია დასრულდა. სამი თვის განმავლობაში რესტავრატორებმა დოკუმენტებს ჩაუტარეს დეზინფექცია, დარბილების შემდეგ გაწმინდეს, ნაწერი გაამაგრეს, დაზიანებული ადგილები შეავსეს და სპეციალური დამცავი ფენით დააკონსერვეს. როგორც ეროვნულ არქივში აღნიშნავენ, განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა მუშაობა ეტრატზე, რომელიც მოიცავს ორ კეფს (ფურცელი) და გადაკერებულია თეთრი აბრეშუმის ძაფით. საბუთის ორივე მხარეს დაწერილია ორი სხვადასხვა დოკუმენტი. წინა მხარეს დაწერილია 1442-1446 წლების ყმა-მამულის შეწირულების სიგელი ვახტანგ IV-ისა გელათის ღმრთისმშობლის ეკლესიისადმი. ახლავს ხელრთვა, საბუთის ზურგზე მიწერილია 1442-1447 წლების სოფელ კვაშხიეთის შეწირულების სიგელი დედოფალ თამარისა (ვახტანგ IV-ის მეუღლე) გელათის ღმრთისმშობლის ეკლესიისადმი, ახლავს ხელრთვა. დღემდე გამოცემული ძველ საბუთების არც ერთ ნუსხაში დედოფალ თამარის მიერ გაცემული ეს საბუთი აღწერილი არ არის. ეროვნულ არქივში გამოსაცემად მომზადებულია XI-XVIII საუკუნეების ქართულ საბუთებზე არსებული ხელრთვების კატალოგი, სადაც ხსენებული დოკუმენტი პირველად დაიბეჭდება. რესტავრირებულ დოკუმენტებს შორის ასევე არის — 1464 წლის 13 დეკემბერს გაცემული სოფლების ფოსუისა და ოროტას წყალობის წიგნი ქართლის კათალიკოს მარკოზისა მეჯინიბეთუხუცეს მამისა ბერინაშვილისადმი, 1464 წლის 19 იანვარს გაცემული ყმა-მამულის შეწირულების სიგელი გიორგი VIII-ისა გელათის ღმრთისმშობლის მონასტრისადმი, ახლავს ხელრთვა. 1525-1550 წლების ბიჭვინთის იადგარი, ნუსხური. იადგარი სამი ნაწილისაგან შედგება — შესავალი, სისხლის განაჩენის დადგენილებანი და დამტკიცება. ამ ტექსტს მოსდევს XVII-XVIII საუკუნეების შეწირულების მინაწერები, რომლებიც ძირითად ტექსტზე თითქმის ორჯერ მეტია. ბიჭვინთის იადგარი არის აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადგარი, რომელიც წარმოადგენს XVI საუკუნის მეორე ნახევარში გადაწერილ პირს. ისტორიკოსთა ვარაუდით, დედანი შედგენილი უნდა იყოს XVI საუკუნის დასაწყისში, იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის დროს. რესტავრირებული დოკუმენტები ლაბორატორიიდან საცავში გადაინაცვლებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლეები ესტუმრნენ. ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში მათ გამოფენა „სესილია“ დაათვალიერეს, რომელიც ცნობილი ქართველი მსახიობის სესილია თაყაიშვილის დაბადებიდან 105 წლის იუბილეს მიეძღვნა.მოსწავლეები ასევე გაეცნენ ეროვნული არქივის ცენტრალურ საისტორიო არქივსა და კინოფოტოფონოდოკუმენტების არქივებში დაცულ უნიკალურ მასალებს. საისტორიო არქივის თანამშრომლებმა ბავშვებს IX საუკუნის სახარება, X საუკუნის ოთხთავი, გიორგი II-ის შეწირულობის წიგნი, დავით აღმაშენებლის ანდერძი, XVI საუკუნის გულანი, ერეკლე II-ის წერილი ქალიშვილ თეკლასადმი (ავტოგრაფი), თეიმურაზ I-ის ლექსების კრებული გააცნეს. მოსწავლეებმა დაათვალიერეს დიმიტრი ერმაკოვის მიერ გადაღებული რკინიგზის მშენებლობის ამსახველი ფოტოები და ალექსანდრე ივანიცკის თბილისისა და მცხეთის ხედები. ეროვნული არქივის თანამშრომლები პერიოდულად ატარებენ ღია გაკვეთილებს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებისთვის, რაც ხელს უწყობს მათი კულტურული ღირებულებების განმტკიცებას, მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებას საქართველოს ისტორიული, კულტურული მოვლენების, ასევე ცნობილი მოღვაწეების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი თეონა იაშვილი ესტონეთის სახელმწიფო არქივის დირექტორს მარკე ტიდუსს შეხვდა. შეხვედრა ესტონეთში საქართველოს ეროვნული არქივის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში შედგა. შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს ციფრულ არქივების ფორმირებასა და დოკუმენტების დიგიტალიზაციასთან დაკავშირებით. ქართული მხარე გაეცნო ესტონეთის ციფრული არქივების მუშაობის პრინციპს. ესტონეთის სახელმწიფო არქივის ხელმძღვანელმა მზადყოფნა გამოთქვა, უმასპინძლოს საქართველოს ეროვნული არქივის საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებს და დეტალურად გააცნოს ციფრული არქივების შექმნისა და ხელმისაწვდომობის საკითხები.

საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავთან დაკავშირებით ტალინში ესტონეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამოფენა გაიხსნა, რომლის ორგანიზატორები არიან ესტონეთში ქართველთა სათვისტომო და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი. გამოფენის გახსნას დაესწრო ეროვნული არქივის დელეგაცია, რომელსაც ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი თეონა იაშვილი ხელმძღვანელობდა, ასევე, ესტონეთში ქართველთა სათვისტომოს ხელმძღვანელი მაკა სამხარაძე, საქართველოს ელჩი ესტონეთში რუსლან აბაშიძე. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული 1918-1924 წლებით დათარიღებული წერილობითი და ფოტოდოკუმენტები, რომლებიც ასახავს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბების პროცესს, მისი მთავრობის მოღვაწეობას. გამოფენილ მასალებს შორის იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონები, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი და მისი აღწერილობა, საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი კრების ოქმი, კანონი „საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ“ და სხვა საინტერესო დოკუმენტები. ფოტოებზე ასახულია დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები, საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავ ზეიმზე სტუმრად მყოფი II ინტერნაციონალის დელეგაცია თბილისში, დამფუძნებელი კრების სხდომა, სახალხო გვარდიელთა ჯგუფი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა 1989-2010 წლებში. თანამედროვე პერიოდის ფოტოები საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ფოტოარქივშია დაცული.

# ბათუმში ფესტივალი დაიხურა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სამინისტრო განაგრძობს ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსების მხარდაჭერას. კონცერტში მონაწილეობდნენ გორის ქალთა კამერული გუნდი, ეროვნული მუსიკალური ცენტრის ორკესტრი და სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდი. ახალგაზრდა კომპოზიტორის პირველ საავტორო საღამოზე გაჟღერდა ზვიად ბოლქვაძის საგუნდო მუსიკა, კინო მიუსიკა და ბალადები მისივე შესრულებით. პირველ საავტორო საღამოს ახალგაზრდა კომპოზიტორმა თავად უდირიჟორა. საღამოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, ღონისძიებებისა და რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტმენტის დირექტორი მარინა ბერიძე და კულტურის სამინისტროს სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. პროექტის ავტორი და კოორდინატორი სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტმენტის დირექტორი მარინა ბერიძე იყო.

საავტორო კონცერტის ჩატარების შემდეგ ზვიად ბოლქვაძე კვლავ შეუერთდა ფესტივალს „აღდგომიდან ამაღლებამდე“ და ბათუში დასკვნით ღონისძიებაშიც მიიღო მონაწილეობა.

# გიორგი უშიკიშვილი მეორედ ქორწინდება

დასაწყისი მე-16 გვერდზე

კუპატაძემ ერთმანეთი 3 წლის წინ მეგობრის მეშვეობით გაიცნეს. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელი დიდხანს და ერთგულად მალავდა თავის რჩეულს მას მედიის წარმომადგენლებისგან. როგორც გიორგი უშიკიშვილი ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებდა, რჩეულის გულის მოგება ძალიან გაუჭირდა, თუმცა კახურმა სიჯიუტემ თავისი გაიტანა და საწადელს მაინც მიაღწია.

წყვილს გადაწყვეტილი აქვს ძველი, ტრადიციული ქორწილი სრული წესების დაცვით გადაიხადოს. მათი სურვილია, მათი საქციელი უძველესი ტრადიციის აღდგენისკენ გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯი იყოს.

# საპატრიარქოსთან არსებული ხევსურული სახლი „სამედაშენისო“ დღეს გაიხსნება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ორგანიზებით დღეს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ხევსურული სახლი „სამედაშენისო“ გაიხსნება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფონდიდან აცნობეს, ხევსურული სახლი „სამედაშენისო“ იქნება მრავალპროფილიანი ცენტრი, სადაც დაინტერესებული პირები შეისწავლიან როგორც მთის რეგიონების ხალხურ სიმღერებს, ასევე ხალხური რეწვის სვდასხვა სახეობას — თექას, ტოლის ქსოვას. აგრეთვე, გაეცნობიან და შეისწავლიან მთის მივიწყებული კერძების დამზადებას. გარდა ამისა, მოეწყობა ტურისტული გასვლები ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში, ხევში და სხვა მაღალმთიან რეგიონებში.

სახლის გახსნის იდეა საპატრიარქოსთან არსებულ ანსამბლ „დები გოგოჭურების“ წევრებს ეკუთვნით. ანსამბლის გენერალური მენეჯერია იოსებ ოხანაშვილი.

**ინტერპრესნიუსი**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. წყლით სამკურნალო აბაზანა; 2. გრძელნისკარტა და გრძელფეხა ჭაობის ფრინველი; 3. სხვადასხვა მწერალთა რჩეულ ნაწარმოებთა კრებული; 4. ყველაზე დიდი მდინარე ევროპაში; 5. ბუნების სურათი, საერთო ხედი; 8. პოლონელი კომპოზიტორი, პიანისტი; 9. ქართველი მგოსანი ქალი; 12. დიდი სარეკლამო სტენდი; 14. მუსლიმანთა ყოველდღიური, ხუთჯერადი ლოცვა; 16. ბრაზილიელი მწერალი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე.

**თარაზულად:** 1. საეკლესიო წესით ქორწინება; 6. სოფოკლეს ტრაგედია; 7. მათხოვარი მაწანწალას სახელწოდება საფრანგეთში; 9. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორწინების შთამომავალი სამხრეთ ამერიკაში; 10. ცალკეული სტადია, მომენტი რაიმე პროცესის განვითარებაში; 11. იურიდიულად გაფორმებული სავალო ხელშეკრულება, ხელწერილი, თამასუქი; 13. ღვინის სასმისი; 15. შიშით გამოწვეული მღელვარება; 17. მშრალად, შეუკმაზავად მოხარშული ძროხის ან ცხვრის ხორცის კერძი; 18. იტალიური, ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ფირმა; 19. ჩრდილო ამერკიაში გავრცელებული დიდი დათვი; 20. პარიზის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. შაგალი; 2. საბრა; 3. ოლიმპი; 4. დურაჯი; 6 ასთენია; 9. ჰობოი; 11. პეიზაჟი; 15. კლეპსიდრა; 16. „ხორუმი“; 17. კაპილარი; 19. აპენინი; 21. ვაიმარი; 22. დიდუბე.

**თარაზულად:** 5. გარიგება; 7. სხოლარი; 8. პრიზმა; 10. ჭონქაძე; 12. ჯოლტი; 13. „ოსერი“; 14. დიოსკურია; 18. მაზდა; 20. გოპაკი; 23. ბიუსტი; 24. იორი; 25. რომული; 26. ბარი; 27. გრანიტი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქართლი; 2. „ფეტა“; 3. სეფედროშა; 4. „ნივეა“; 5. ვაქცინა; 8. რწმენა; 9. გალაქტიკა; 12. ხვიფლი; 14. ამბანი; 16. იბიცა.

**თარაზულად:** 1. ქსილოფონი; 6. ნემეზიდა; 7. რეკრუტი; 9. გაბენი; 10. დალი; 11. ფეოდალი; 13. პრალა; 15. ავლანი; 17. „ბარამბო“; 18. ოფორტი; 19. ბრინჯი; 20. ბალასტი.

# ჟიზელ ბუნდხენი პირველი მილიარდერი მოდელი შეიძლება გახდეს

ბრაზილიელი სუპერმოდელი ჟიზელ ბუნდხენი, რომელიც უკვე შვიდი წელია რაც ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონე სუპერმოდელების რეიტინგს უდგას სათავეში, მსოფლიო მოდის ისტორიაში პირველ მილიარდერ მოდელად შეიძლება იქცეს.

როგორც ჟურნალ „ფორბსის“ ექსპერტები აღნიშნავენ, ბრაზილიელი ფოტომოდელი ამ მიზნისაკენ გაბედული ნაბიჯებით მიიწევს.



მიუხედავად იმისა, რომ ჟიზელ ბუნდხენის წლიური შემოსავალი 45 მილიონ დოლარს არ აღემატება, ბოლო 10 წლის განმავლობაში მან 250 მილიონი დოლარი დააბანდა სხვადასხვა ბიზნესპროექტებში. რაც მთავარია, ბუნდხენი მეტად მომჭირნედ ხარჯავს ფულს, გარდა ამისა, თავისი აქტივების საბაზრო ღირებულების ზრდაზე ზრუნავს.

თავისი კოლეგებისაგან განსხვავებით, ჟიზელ ბუნდხენმა საკუთარი სახელი სავაჭრო ნიშნად აქცია. მსოფლიოში სანდლების ცნობილ მწარმოებელ „გრენდენესთან“ ერთად ფოტომოდელი საფირმო ფეხსაცმელს უშვებს სახელწოდებით „იპანემა“. გასულ წელს ამ სახელწოდების ფეხსაცმლის გაყიდვის მოცულობამ 25 მილიონი წყვილი შეადგინა.

ფოტომოდელი გარდა ამისა, ქალის ტანისამოსსაც უშვებს. ბრაზილიაში ამ სექტორის შემოსავლები გასულ წელს 22%-ით გაიზარდა.

გასული წლის მაისში ჟიზელ ბუნდხენმა კომპანია „ჰოუპთან“ ერთად ქალის თეთრეულის მწარმოებელი ერთობლივი საწარმო დააარსა. მანეკენს ამ საწარმოში წილი ეკუთვნის, გარდა ამისა, ბრაზილიელმა პარტნიორს საკუთარი სახელი არ მიჰყიდა და „ჟიზელ ბუნდხენ ბრაზილიან ინთიმეითის“ თეთრეულის გამოშვება დაიწყო.

მანეკენს გარდა ამისა, უძრავი ქონების არაერთი ობიექტი ეკუთვნის. მათ შორის არის სასტუმრო ბრაზილიის სამხრეთით, მიწის ნაკვეთი ქალაქ ტრანკოსოს პრესტიჟულ რაიონში, ვილა კოსტა-რიკაში, მშენებარე სახლი კალიფორნიის შტატის ქალაქ ბრენტვუდში.

ჟიზელ ბუნდხენმა და მისმა მეუღლემ ტომ ბრედლიმ სახლის ასაშენებლად 11 მილიონი დოლარის ღირებულების მიწა იყიდეს, კიდევ 20 მილიონი სახლის მშენებლობას დაახარჯეს. მათი სახლი სანტა მონიკას უბეს და სანტა კატალინას კუნძულს გადაჰყურებს. „ფორბსის“ უძრავი ქონების ექსპერტების თქმით, დასრულების შემდეგ სახლის ღირებულება ხარჯებს რამდენჯერმე გადააჭარბებს.

ამგვარად, როგორც „ფორბსი“ ასკვნის, ჟიზელ ბუნხენმა ბიზნესში საკუთარი წილი და უძრავი ქონება რომ გაყიდოს, მართლაც შეიძლება მილიარდერი გახდეს.

ბიზნესმენობას და პროფესიას არც დედობაში შეუშლია ხელი. ტომ ბრედიზე გათხოვების შემდეგ ჟიზელ ბუნდხენს ბავშვი შეეძინა და ამის შემდეგ კანონმდებლებს ურჩია, ქალებისათვის ექვსი თვის განმავლობაში ბავშვის კვება სავალდებულოდ დაეწესებინათ. აღსანიშნავია, რომ თავად ბავშვის ექვსი თვის განმავლობაში ძუძუთი კვება ვერ შეძლო.

# ესპანური მზის ელექტროსადგური ღამითაც მუშაობს

ესპანეთში მუშაობა დაიწყო მსოფლიოში პირველმა კომერციულმა მზის ელექტროსადგურმა, რომელსაც ელექტროენერგიის გამომუშავება მოღრუბლულ ამინდსა და ღამითაც შეუძლია.

მიზეზი გახლავთ ის, რომ ელექტროსადგური სითბოს სპეციალური „დამაგროვებელით“ არის აღჭურვილი. სითბოს შუალედური მატარებლის როლს ასრულებს გამლღვალი მარილი, რომელიც მზის ენერგიას ორთქლის ტურბინებს გადასცემს.

მზის სხივების ზემოქმედებით მარილი 500 გრადუსამდე ცხელდება და ამის წყალობით კომპლექსს მზის ჩასვლიდან 15 საათის განმავლობაში მუშაობა შეუძლია.



სადგური შედგება მაღალი კოშკისა და 1293 სარკისაგან, რომელთაგან თითოეულის ფართობი 96 კვ მეტრია. სარკიდან არეკვლილი მზის სხივები კოშკში მდებარე მარილის საცავს 565 გრადუსამდე აცხელებს. სარკეების საერთო ფართობი 250 ათასი კვადრატული მეტრია.

გარდა მარილისა, სადგური აღჭურვილია სპეციალური ცისტერნებით, სადაც გახურებულ წყლის ორთქლს ინახავენ. მისი მარაგი ელექტროსადგურს მზის გარეშე ერთი საათის განმავლობაში მუშაობის შესაძლებლობას აძლევს, რაც სადგურს მოულოდნელი ღრუბლებით გამოწვეული შეფერხებებისაგან იცავს.

სადგური „ჯემასოლარი“ ელექტროენერგიას წელიწადში 270 დღის განმავლობაში გამოიმუშავებს. ეს მაჩვენებელი ალტერნატიული ენერგიის წყაროებზე მომუშავე სხვა სადგურების მაჩვენებლებზე სამჯერ მეტია. იგი წელიწადში 110 გიგავატ-საათ ენერგიას გამოიმუშავებს.

„ჯემასოლარის“ მშენებლობის ღირებულებამ 400 მილიონი ევრო შეადგინა. სადგური უკვე ჩართულია საერთო ენერგეტიკულ ქსელში და მას ელექტროენერგიით 25 ათასი სახლის მომარაგება შეუძლია. იგივე სიმძლავრის, ოღონდ საწვავზე მომუშავე ელექტროსადგური წელიწადში ატმოსფეროში 30 ათას ტონა ნახშირორჟანგს გააფრქვევდა.

სადგურის დაპროექტებასა და მშენებლობაში ესპანური, ფრანგული, ჩეხური და ამერიკული კომპანიები მონაწილეობდნენ. პროექტში მონაწილეობდა აგრეთვე არაბთა გაერთიანებული საემიროების კომპანია „მასდარი“, რომელიც აბუ დაბიში მსოფლიოში უდიდესი მზის ელექტროსადგურის აშენებას გეგმავს.

მხურვალე და მზიანი კლიმატის მქონე ესპანეთში სხვადასხვა ზომის კიდევ რამდენიმე მზის ელექტროსადგური მუშაობს. 2013 წლისათვის სხვადასხვა პრინციპზე მომუშავე ამ სადგურებში გამომუშავებულმა ენერგიამ სევილიის მასშტაბების ქალაქის ენერგომოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილონ.

მსგავსი სადგურების მშენებლობა ძვირი ჯდება, ამიტომ მაღალია მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულება. ამასთან, „მზიური ტექნოლოგიების“ განვითარებასთან ერთად თვითღირებულება შემცირდება. ამ პროექტის სრული მასშტაბებით ამუშავების შემდეგ ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გაფრქვევა წელიწადში 600 ათასი ტონით შემცირდება.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# „ვოლვომ“ ახალი ელექტრომობილის გამოცდა დაასრულა



შვედური კომპანია „ვოლვო“ ახალი ელქტრომობილის, „ვოლვო სი ელექტრიქის“ გამოცდების დასკვნით ეტაპზე გავიდა და უკვე მის სერიულ წარმოებას შეუდგა.

მიმდინარე წლის ზაფხულის ბოლოს პირველი მომხმარებლები ახალ ავტომობილებს მიიღებენ.

ჯერჯერობით მთავარ შემკვეთთა შორის კომერციული ორგანიზაციები და სახელმწიფო დაწესებულებები არიან.

ახალ „ვოლვოს“ თავდაპირველად ევროპის ოთხ ქვეყანას მიაწვდიან, შვედეთს, ბელგიას, ჰოლანდიას და ნორვეგიას.

„ვოლვო“ უკვე ერთი წელია რაც 50 ავტომობილს ექსპლოატაციის სხვადასხვა პირობებში ცდის. ავტომობილის აკუმულატორების დამუხტვას საოჯახო ქსელიდან 7 საათი სჭირდება. ელექტრულ „ვოლვოს“ აკუმულატორების ერთი დამუხტვის საშუალებით 150 კმ-ის გავლა შეუძლია, მისი მაქსიმალური სიჩქარე საათში 130 კმ-ია.

მომავალი წლის ბოლოსათვის ვოლვო ბაზარზე 250 ცალ „სი30 ელექტრიქს“ გამოუშვებს. მოგვიანებით, ბაზრის დაინტერესების მიხედვით, წარმოების მოცულობა შეიძლება გადაისინჯოს.

# „ქართული აკადემია“ „მედიაპალიტრის“ გამო შეშფოთდა

საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დასაცავად „ქართული აკადემია“ ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს მათ ხელთ არსებული ბერკეტების გამოყენებას სთხოვს. ამის შესახებ ნათქვამია დღეს „ქართული აკადემიის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

აღნიშნული განცხადებით „ქართული აკადემია“ 7 ივნისს შემოსავლების სამსახურის მიერ „მედიაპალიტრის“ სტრუქტურების არაგეგმიური შემოწმების ფაქტს ეხმაურება.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქმე გვაქვს არა გამოხატვისა თუ სხვა უფლებების ცალკეულ დარღვევებთან, არამედ ზემოხსენებულ ტოტალურ ტერორსა და ფართომასშტაბიან რეპრესიებთან.

— პოლიტიკურად და მორალურად გაკოტრებული, საკუთარ ხალხთან ბრძოლაში დამარცხებული სააკაშვილის ავტოკრატიული ხელისუფლება დაადგა ნეობოლშევიკური ტოტალიტარიზმის შეუქცევად გზას. ქართველი ხალხი დგას უაღრესად საშიში გამოწვევის წინაშე, ქვეყანას კი ემუქრება დემოკრატიული სამყაროსაგან იზოლაციის საფრთხე, — ნათქვამია განცხადებაში.

„ქართული აკადემია“ ქართულ საზოგადოებას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ ძალებს მაქსიმალური კონსოლიდაციისაკენ მოუწოდებს, რათა სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ქვეყანა არ გადაჩეხოს ტერორისა და სახელმწიფოებრივი უპერსპექტივობის უფსკრულში.

— ამასთან, მოვუწოდებთ მეგობარი ქვეყნების მთავრობებს, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ბერკეტები, შეაჩერონ წონასწორობადაკარგული ხელისუფლება, რათა არ მოხდეს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების საბოლოო დასამარება, რაც საშიშია როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი, ისე რეგიონალური უსაფრთხოებისათვის, — აღნიშნულია განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ბატონ თემურ ქეცბაიას დედის

**ფლორა ჯიქია-ქეცბაიას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# თსუ-ში შესაძლოა ჰერალდიკის მიმართულება ჩამოყალიბდეს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დღეს საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ელდარ შენგელაია და ჰერალდიკის საბჭოს თანამშრომლები ესტუმრნენ.

როგორც „მედიანიუსს“ უნივერსიტეტიდან აცნობეს, სტუმრებმა შეხვედრაზე უნივერისტეტის რექტორსა და პროფესურას ჰერალდიკის საბჭოს ამჟამინდელი მუშაობის სპეციფიკა და მისი პრიორიტეტები გააცნეს. უნივერსიტეტის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის თქმით, შესაძლოა უნივერსიტეტში ჩამოყალიბდეს ჰერალდიკის შემსწავლელი კურსი და მიმართულება.

შეხვედრაზე მოეწყო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო პორტოლანები (საზღვაო რუკები) — XIV-XVI საუკუნეების რუკების ასლები დიდი ბრიტანეთის სამეფო ბიბლიოთეკიდან, პარმის ბიბლიოთეკიდან, პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკიდან, რომლებზეც საქართველო ფიქსირდება ხუთჯვრიანი დროშით. 2011 წელს მიღებული და დამტკიცებული საქართველოს მუნიციპალიტეტების საკრებულოთა სიმბოლიკა (დროშა და გერბი).

შეხვედრის დასრულებისას სტუმრებმა სტუდენტებს საბჭოს მიერ გამოცემულ სამეცნიერო და პრაქტიკულ ლიტერატურა გადასცეს, რომელიც ძირითადად ჰერალდიკის ისტორიას და კომისიის მუშაობის სპეციფიკას ეხება.

**მედიანიუსი**

# ონში მიწისძვრა მოხდა

გუშინ რაჭაში მიწისძვრა მოხდა. როგორც „მედიანიუსს“ საქართველოს სეისმური მონიტორინგის ცენტრიდან აცნობეს, მიწისქვეშა ბიძგები თბილისის დროით 12:12 საათზე დაფიქსირდა და მისი ეპიცენტრი ქალაქი ონი იყო

მიწისძვრის სიმძლავრემ 3.1 მაგნიტუდა შეადგინა. მიწისძვრას ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია.

**მედიანიუსი**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი
9 ივნისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** მედ-ინფო **19.05** დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00, 03.20** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** სი ბემოლი **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"დიდი ღამე"** **04.20** მხ. ფ. **"ზოროს ნიღაბი"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **19.00** დოკ. ფილმი "ძველი საბერძნეთის გმირები" **20.00** მხ. ფილმი **"ჰოლივუდელი გამომძიებლები"** **01.00** მხ. ფილმი **"მინის სახლი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ნიჭიერი (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"ავრორა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** პროფილი **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** შეგირდი (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** **შეგირდი** **23.40** რემონტი (გან.) **00.00** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი (გან.) **01.55** მხ. ფ. **"ლამაზი ქალი"** (ჯ. რობერტსი) (სუბტ.) **04.15** მხ. ფილმი **"კონტროლი"** (12) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.00** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **00.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **02.00** ფარული კამერა **02.30** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.00** სცენა **11.50** სერ. **"მომიყევი ერთი ამბავი"** **12.50, 19.30** სერ. **"უკვალოდ"** **14.50** სცენა **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.30** დროის ვექტორი **18.00** დოკ. ფილმი **21.00** სერ. **"მამები"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დოკ.ფ."პირიქითა ხევსურეთი" **11.00** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"განგაში"** **13.30** კონცერტი – ლ. პავაროტი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"ორომტრიალი"** **16.55** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.20** მოგაზაურობა ბარტ ვულფთან ერთად **17.45** მულტსერ. "მოგზაურობა ისტორიაში" **18.05** სალვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფ. **"ხაფანგი"** 1-ლი ს. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** წარმატების ფორმულა **22.20** დოკ. ფილმი "ფალავნები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჟურნალისტის დღიური **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **01.20** კონცერტი – ე. ბოლქვაძე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**9 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6583 |
| ევრო | 2,4216 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7208 |
| რუსული რუბლი | 0,0597 |

## ამინდის პროგნოზი 9 ივნისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-27, ღამით — 14-16

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა ტემპერატურა დღისით — 25-27, ღამით — 16-17

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, მზე, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-24, ღამით — 6-14







წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146

## რონალდო ბრაზილიის ნაკრებს 15 წუთში დაემშვიდობა

**ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ფორვარდმა რონალდომ გუშინ ეროვნულ გუნდში ბოლო მატჩი ითამაშა. რუმინეთთან ამხანაგურ შეხვედრაში "სელესაოშ" მინიმალური ანგარიშით, 1:0 გაიმარჯვა.**



34 წლის ფეხბურთელი მოედანზე პირველი ტაიმის 30-ე წუთზე გამოვიდა და 15 წუთი დაჰყო — მეორე ტაიმის დასაწყისში ის თავდამსხმელმა ნილმარმა შეცვალა.ეს მატჩი პენტაკამპეონების შემადგენლობაში რონალდოს კარიერაში 98-ე იყო. ნაკრებში მან 62 გოლი გაიტანა.

ეს იყო "ფენომენის" გამოსათხოვარი მატჩი სანაკრებო დონეზე, თორემ საკლუბო დონეზე კიდევ რამდენიმე მატჩს გამართავს. ის "კორინთიანსის" შემადგენლობაში რამდენიმე ამხანაგურ მატჩში მიიღებს მონაწილეობას. უკვე ცნობილია, რონალდო ყოფილი კლუბების, "ინტერის" და "ბარსელონას" წინააღმდეგ ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ რონალდოს თავისი კარიერის მანძილზე "კრუზეიროს", პსვ-ს, "ბარსელონას", "ინტერის", "რეალის", "მილანის" და "კორინთიანსის" შემადგენლობაში 517 ოფიციალური მატჩი აქვს ჩატარებული და 352 გოლი გაუტანია.

მ. ჟ.

## გიორგი უშიკიშვილი მეორედ ქორწინდება



ეკა ირემაშვილი

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი შაბათს, 11 ივნისს მეორედ დაქორწინდება. მისი რჩეული 21 წლის ნანუკა კუპატაძეა, რომელიც თეატრალური უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი და მომავალი მსახიობია. ნანუკა ქუთაისელია და უნივერსიტეტშიც ქუთაისის ჯგუფში სწავლობს. გიორგი და ნანუკა დანიშნულებიც არიან და შაბათს თავის სიყვარულს კანონიერად და რაც მთავარია, ღვთის წინაშე ჯვრისწერით დაავგირგვინებენ. მათი მეჯვარეები კი უახლოესი მეგობრები იქნებიან.

გიორგი უშიკიშვილისთვის ეს მეორე ქორწინებაა, ნანუკასთვის კი — პირველი. მომღერალი პირველ ქორწინებაში დაახლოებით წელიწად-ნახევარი იმყოფებოდა. პირველი ოჯახის დანგრევის მიზეზად ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელი ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ასახელებს.

გიორგი უშიკიშვილმა და ნანუკა

გაგრძელება მე-14 გვერდზე

# 30 მაისიდან

# იყიდება

**100 წიგნი**

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




ტომი 6

# რიშელიე

**გაზეთი და წიგნი ერთად**
**8 ლარი**

## ასტროპროგნოზი 9 ივნისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე სასიკეთოა

**ვერძი** — თქვენი ცხოვრება სასიკეთოდ შეიცვლება. **კურო** — პრობლემას ადვილად მოაგვარებთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, არავინ არის თქვენი კონკურენტი. **კირჩხიბი** — ჩაიარა პრობლემამ, წარმატებული დღეა. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **სასწორი** — არ დაიგვიანოთ, არ დაგელოდებიან. **მშვილდოსანი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მორიელი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, არ გადაიღალოთ. **თხის რქა** — თქვენი საქმე კარგად არის, მაგრამ მაინც არ მოდუნდეთ. **მერწყული** — ყველაფერი იღონეთ, არ გაუშვათ შანსი ხელიდან. **თევზები** — დაფიქრდით და ისე იმოქმედეთ, უარი არ თქვათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სხივმოსილი წმინდა თასი; 2. ზღვისპირა კურორტი საქართველოში; 3. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 4. ცირკის მასხარა; 6. ძლიერმომქმედი ნარკოტიკი; 9. ბაგირზე დაკიდებული პატარა საცალფეხო ხიდი მდინარეზე; 11. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საფრანგეთში; 15. ჯაშუშთა ქსელის ხელმძღვანელი უცხო სახელმწიფოში; 16. ძველბერძენი დრამატურგი; 17. ნანადირევისთვის განკუთვნილი მონადირის ჩანთა; 19. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 21. სახალხო მთქმელი, პოეტი, მომღერალი უკრაინაში; 22. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში.

**თარაზულად:** 5. სასჯელიდან პირობით განთავისუფლება; 7. პნევმატური მოწყობილობა, რომლითაც ნავთობსა და წყალს ამოაქაჩავენ ჭაბურღილიდან მიწის ზედაპირზე; 8. საკუთრებაში არსებული ნივითიერი ფასეულობანი; 10. მარნეულის ძველი სახელწოდება; 12. ბალჩეული ხილი; 13. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 14. დანიელი მეზღაპრე; 18. ქვეწარმავლის შხამი; 20. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 23. პოემა „ალუდა ქეთელაურის" პერსონაჟი; 24. პატარა კაფე, რესტორანი; 25. სათეატრო ცეკვის ხელოვნება; 26. აუქციონზე გასაყიდად გატანილი ნივთი; 27. რკინის მადნიდან თუჯის გამოსადნობი სპეციალური ღუმელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

